ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 30 ნოემბერი, 2009 | №308 (5049) | ფასი: 30 თეთრი

## ქარელში ეკლესია გაძარცვეს

გვ.2



გვ.4

# სასწრაფოდ უნდა მოხდეს ოპოზიციის ლიდერების ლუსტრირება!



## სააკაშვილი მოსკოვში ემისრებს აგზავნის

გვ.5



გვ.3

## კირკიტაძე და ბოკერია ერთმანეთს ისევ დაუპირისპირდნენ



ოპოზიცია ნაციონალებს დიდ არეულობას უწინასწარმეტყველებს

## ნაციონალებთან შედარებით, კომუნისტები პატრიოტები იყვნენ

გვ.7

## ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაც აღარ შეუძლია

გვ.2

რატომ გაიგიჟეს თავი ნაციონალებმა 30%-იან ბარიერზე





## თვითმმართველობის არჩევნებში პარლამენტის წევრებიც იყრიან კენჭს

გვ.2

თბილისი მერს 4 წლის ვადით აირჩევს

## თორთლაძის პარტიას თბილისის მერობის კანდიდატი ეყოლება

გვ.3



## უგულავა მწვანე ნარგავებს ანადგურებს

გვ.5

საქართველოში სასამართლო ხელისუფლება, როგორც ასეთი, ფაქტობრივად, არ არსებობს

## რატომ შეიქმნა ადვოკატთა ახალი გაერთიანება

გვ.4



## რა დგას საბაჟო კავშირის უკან

გვ.6



## ინგუშეთში მილიციის მაღალჩინოსანი მოკლეს

გვ.6

3 თომას ჰამერბერგი ცხინვალში არ შეუშვეს

2 დღეს ნათელაშვილი ოპოზიციონერ ლიდერებს შეხვდება

5 საქართველოში ღორის გრიპის 30 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა

7 საქართველოში საწვავის ხარისხი დამაკმაყოფილებელია

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაც აღარ შეუძლია

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ექსპერტ პაატა ზაქარეიშვილთან



***— ბატონო პაატა, ახალ საარჩევნო კოდექსს პარლამენტი, ალბათ, უახლოეს მომავალში დაამტკიცებს. თქვენი აზრით, რამდენად ლიბერალური იქნება NDI-ს ფორმატში შემუშავებული კანონპროექტი?***

— ლიბერალური კი არა, ძალიან დრაკონული კოდექსია. რომელ ლიბერალურზეა ლაპარაკი. ეს არის ძალიან ამაზრზენი, უტიფარი ქცევა ხელისუფლებისა და ამით ხაზს უსვამს თავის უსუსურობას და იმას, რომ პანიკაში იმყოფება, არ შეუძლია, დემოკრატიულ რეჟიმში გაიმარჯვოს და მიაღწიოს წარმატებას. ეს არის ყოვლად მიუღებელი, ანტისახელმწიფოებრივი ქცევა ხელისუფლების მხრიდან. დღეს მათ ხელშია ძალა და ამ ძალას იყენებენ მხოლოდ თავიანთ და არა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

***— გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ კანონპროექტს ოპოზიციის ნაწილმაც დაუჭირა მხარი...***

— ეს არის ჩვენი საზოგადოება, ესა ვართ ჩვენ და ჩვენი სამშობლო. კეთილი ვინებოთ და ამას თვალი გავუსწოროთ. მინდა, მიხვდეს ქართველი საზოგადოება, რომ დემოკრატიაში ცხოვრობს დედამიწის ზურგზე მოსახლეობის მხოლოდ 20%. ესენია ევროკავშირის სახელმწიფოები, შეერთებული შტატები, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, იაპონია, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები დგანან ხელისუფლებაზე მაღლა, სადაც არის სამართლებრივი სახელმწიფოები. ლათინოამერიკული ქვეყნების მთელი რიგი, მთელი აფრიკული სახელმწიფოები, აზიური სახელმწიფოები, ჩვენც, მათ შორის, ყველანი არადემოკრატიულ სივრცეში ვცხოვრობთ. ეს არის ბუნებრივი სივრცე. ეს არ არის ცივილიზებური სივრცე. ეს არის ჩვენი საზოგადოების არჩევანი. მორჩა, ჩვენგან მეტი არაფერი გამოდის. ამაში კატასტროფა არაფერია. არ გვინდა დემოკრატია? ვიცხოვროთ არადემოკრატიაში.

***— ალიანსი 50%-იან ბარიერს ითხოვდა და მას დანარჩენი ოპოზიციაც უჭერდა მხარს, თუმცა მოულოდნელად ყველამ 30%-იანს დაუჭირა მხარი. როგორ ფიქრობთ, რა მოხდა, რატომ შეიცვალეს პოზიცია ამ ფორმატში მომუშავე ოპოზიციურმა პარტიებმა?***

— მე შემიძლია, მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვა. ალბათ, ზოგი იყიდეს, ზოგი დააშინეს, ზოგს რაღაცას შეჰპირდნენ, ზოგსაც დაემუქრნენ. რა მნიშვნელობა აქვს, რა მოხდა, ფაქტია, რომ ამ პოლიტიკურმა ძალებმა ხმა მისცეს 30%-ს. მათ ხელი შეუწყვეს არადემოკრატიული ინსტიტუტის გაძლიერებას საქართველოში. ეს მათ სინდისზე იყოს. საზოგადოება, ბოლოს და ბოლოს, გონს უნდა მოეგოს და არჩევნებზე ამ კატეგორიის ხალხს ხმა არ უნდა მისცენ. იმ პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს 30%-ს, ჩვენგან ხმები არ უნდა მიიღონ. ეს იქნება ძალიან მკაფიო, ცხადი პოლიტიკური ნაბიჯი ქართველი საზოგადოებისა.

***— რაც შეეხება პრაიმერს, ოპოზიციის ნაწილი მაინც აპირებს მის ჩატარებას...***

— პრაიმერის ჩატარებას აზრი არა აქვს. მე არ ვიცი, რას ეფუძნება ეს ყველაფერი. პრაიმერი შეიძლება იყოს მხოლოდ შიდა პარტიული. ვერ ვხვდები, პრაიმერი როგორ უნდა ჩატარდეს საზოგადოებაში, სადაც უამრავია ისეთი ადამიანიც, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას უჭერს მხარს. შეიძლება, ეს ხალხი მივიდეს და იმ კანდიდატს მისცეს ხმა, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას აწყობს. ბევრი გამოვა და იმ კანდიდატს მისცემს ხმას, ვისაც დაავალებს ნაციონალური მოძრაობა. მაინტერესებს, როგორ მოხდება ნაციონალური პარტიის მომხრეების გამორჩევა ამ პრაიმერიდან? როგორ მოხდება მათი გაფილტვრა?!

***— ფიქრობთ, რომ აზრი არა აქვს პრაიმერის ჩატარებას?***

— ზოგადად, ეს შეიძლება ზარალის მომტანიც იყოს. როგორ შეიძლება, სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე პარტიები შეთანხმდნენ ერთ კანდიდატზე. ეს აბსურდულია. რაც საქართველო დამოუკიდებელია, მთელი ამ ხნის განმავლობაში ვიღაცას

### რატომ გაიგიჟეს თავი ნაციონალებმა 390-იან ბარიერზე

ვებრძვით. ჯერ ვებრძოდით კომუნისტებს, მერე — გამსახურდიას, მერე — შევარდნაძეს, ახლა — სააკაშვილს. როდის უნდა ვიბრძოლოთ რაღაცისთვის? სულ ვიღაცის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება?! საჭიროა არა — ვიღაცის წინააღმდეგ, არამედ რაღაცისთვის ბრძოლა. საჭიროა მრავალპარტიული სისტემა. ქართველმა ხალხმა უნდა გამოიჩინოს გონიერება და ერთ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას მისცეს ხმა. პოლიტიკური პარტიების გაერთიანება არ უნდა იყოს იძულებითი, სავალდებულო არ უნდა იყოს ეს გაერთიანება. ალიანსი არის ნებაყოფლობითი გაერთიანება. საზოგადოებამ ხმა უნდა მისცეს იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ბუნებრივად იქცევიან და არა — ხელოვნურად. ქვეყანაში უნდა იყოს, მაქსიმუმ, 4-5 პოლიტიკური საარჩევნო სუბიექტი, რომელიც წარდგება ქართველი ამომრჩევლის წინაშე. ქართველმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ვის აძლევს ხმას. მანამ, სანამ არ მივხვდებით, რომ ხელისუფლებას ხმა არ უნდა მივცეთ, ყოველთვის მოიგებს ხელისუფლება.

***— ამ პირობებში რამდენად აქვს ოპოზიციას შანსი, გაიმარჯვოს ადგილობრივ არჩევნებში?***

— 15-20 წელი გავიდა დამოუკიდებლობიდან და ჩვენ კიდევ ამ თამაშს ვთამაშობთ. ოპოზიცია კი არა, ხალხი უნდა გაერთიანდეს, ხელისუფლების მოედანზე კი არ უნდა ვითამაშოთ, ის უნდა ვათამაშოთ ჩვენს მოედანზე. ყველამ ერთ პოლიტიკურ ძალას უნდა მისცეს ხმა.

***— ოპოზიცია აცხადებს, ხმას გვაძლევს საზოგადოება, მაგრამ ხელისუფლება გვიყალბებსო...***

— ის, რომ ხელისუფლებამ 30%-ზე გაიგიჟა თავი და პანიკაში ჩავარდა, დაარღვია ყველა შეთანხმება და 30%-ით გავარდა პარლამენტში, იმას ნიშნავს, რომ მას 30%-ზე მეტის გაყალბების რესურსი არ გააჩნია. ალიანსმა თავისი პრინციპულობით და 50%-ის გარშემო ტრიალით დააფიქსირა ხელისუფლების უსუსურობა და დაგვანახვა, რომ ხელისუფლებას არ შეუძლია 30%-ზე მეტის გაყალბება. ეს არის მშვენიერი შეტყობინება ხალხისათვის, რომ სააკაშვილი არ არის ყოვლისშემძლე. რა თქმა უნდა, სააკაშვილს შეუძლია, არჩევნები 100%-ით გააყალბოს, მაგრამ ეს 100% იყვირებს. ის ცდილობს, მინიმალურად გააყალბოს. სააკაშვილს თავისი ერთგული ხალხის მხარდაჭერა ექნება თბილისში. ეს არის მოსახლეობის დაახლოებით 20%. კიდევ 5% დაემატება იმ ხალხისა, რომელსაც ეშინია სააკაშვილის, ვერ ხედავს ოპოზიციაში ძალას და მივიდეს და შეიძლება არც ისე გულწრფელად, მაგრამ მაინც მას მისცეს ხმა. სააკაშვილმა იცის, რომ მას ისე რომ ვერ დაუმტკიცონ, მაქსიმუმ, 7-10%-ის გაყალბება შეუძლია, რომელშიც გამოჭერა ძალიან ძნელი იქნება. მას უნდა, რომ ამ გაყალბებამ არ იყვიროს, რათა მსოფლიომ არ დაინახოს. სწორედ ამიტომ შეეცდება, მინიმალურად გააყალბოს. ეს მშვენიერი მესიჯი იყო საზოგადოებისათვის, რომ ის არის უსუსური და გაყალბების რესურსებიც კი აღარ გააჩნია იმდენად ძლიერი, რომ ასე თამამად წასულიყო 50%-იან ბარიერზე. თუ საზოგადოების დიდი ნაწილი ხმას მისცემს ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას, რომელიც 30%-ზე მეტს აიღებს, მაშინ არანაირი პრობლემა აღარ იქნება. ხალხი უნდა შეეცადოს, რომ სააკაშვილს არ მისცეს ხმა, რათა მისი ხმების გაყალბების კოეფიციენტი იყოს იმდენად მაღალი, რომ ამან იყვიროს. როცა 2-3%-ს აყალბებ, ამის შემოწმება და დამტკიცება ძალიან ძნელია, მაგრამ, როცა აყალბებ 20, 30 ან 40%-ს, ეს ჩანს, ყვირის და ამის დამტკიცება ადვილია. წარმოიდგინეთ, უბანზე არის ასი კაცი სიით. თუ ასივე მივიდა არჩევნებზე და ხმა არ მისცა სააკაშვილს, ამ უბანზე შეუძლებელია, რომ რაღაც გაყალბდეს. რაც ნაკლები მივა ამ ასი კაციდან, გაყალბების შანსები მით უფრო იზრდება. ამიტომ, კეთილი უნდა ვინებოთ ყველამ და დავიმახსოვროთ უპირველესი ამოცანა: აუცილებლად მივიდეთ არჩევნებზე და არავითარ შემთხვევაში ხმა არ მივცეთ სააკაშვილის კანდიდატს. ხმა უნდა მივცეთ ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც ექნება პროგრამა და გვთავაზობს ამ სიტუაციიდან რეალურ გამოსავალს, რომელიც გამოცდილი პოლიტიკოსია და გუშინ არ მოსულა პოლიტიკაში. თუ ასეთი პარტია არა გყავს, ჯობია, შენი ბიულეტენი საერთოდ გადახაზო და სხვას არ მისცე მისი გამოყენების საშუალება.

***— მთავარი საზოგადოების აქტიურობაა?***

— აუცილებლად. ხელისუფლება ყოველთვის იყენებს იმ 40%-ს, რომელიც არჩევნებზე არ დადის. ამ 40%-ს ჰგონია, რომ არაფერი შეიცვლება და სწორედ იმიტომ არ იცვლება, თვითონ რომ არ დადის არჩევნებზე. ხელს უწყობენ იმას, რომ არაფერი შეიცვალოს.

## პატრიარქმა ერის ერთიანობის სიმბოლოდ სამი მუხა დარგო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორის სამების საკათედრო ტაძრის ეზოში ერის ერთიანობის სიმბოლოდ სამი მუხა დარგო.

როგორც უწმინდესმა ბრძანა, სამი მუხა წმინდა სამებისა და საქართველოს ერთიანობის ნიშნად დაირგო.

შეგახსენებთ, რომ უწმინდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს მოუწოდა, რომ თითოეულმა ადამიანმა წლის განმავლობაში 12 ნერგი დარგოს.

პირველი

## ნიკა გილაური აშშ-ში გაემგზავრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ვიზიტით აშშ-ში გაემგზავრა. როგორც „მედიანიუსს" მთავრობის კანცელარიაში განუცხადეს, იგი აშშ-ში დიდი ბრიტანეთიდან გაემგზავრა, სადაც ვიზიტით 25 ნოემბრიდან იმყოფებოდა.

პრემიერ-მინისტრი ნიუიორკში დაგეგმილი კონფერენციის — "პეორგიან Iნვესტმენტ" — მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას, სადაც სიტყვით გამოვა და საქართველოში შექმნილ საინვესტიციო გარემოზე ისაუბრებს.

გილაურის ვიზიტი აშშ-ში 2 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება. იგი საქართველოში 3 დეკემბერს დაბრუნდება.

მედიანიუსი

## დღეს ნათელაშვილი ოპოზიციონერ ლიდერებს შეხვდება

დღეს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდება. შეხვედრა ლეიბორისტული პარტიის ოფისში გაიმართება.

როგორც „მედიანიუსს" პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ქეთი დოლიძემ განუცხადა, შეხვედრაზე თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიაა მოწვეული. მისივე თქმით, შეხვედრის თემა, ჯერჯერობით, უცნობია.

მედიანიუსი

## ქარელში ეკლესია გაძარცვეს

ურბნისისა და რუისის ეპარქიაში, ქარელის რაიონში, სარკის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია გაძარცვეს.

ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ტაძარში მცირე კარის გატეხვის შედეგად შეაღწიეს. ძარცვა შაბათს საღამოს, სავარაუდოდ 18.00-დან ღამის 01.00 საათამდე პერიოდში მოხდა.

ცისკრის ლოცვაზე მისულ მონასტრის წინამძღვარსა და ბერებს ეკლესია უკვე გაძარცვული დახვდათ. მძარცველებს ხატები და სხვა სიწმინდეები არ წაუღიათ, თუმცა გაიტაცეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისთვის შეწირული ძვირფასეულობა, რომლის ღირებულებაც სავარაუდოდ რამდენიმე ათას ლარს შეადგენდა.

ინტერპრესნიუსი

# თვითმმართველობის არჩევნებში პარლამენტის წევრებიც იყრიან კენჭს

ნანა მიშელაშვილი

**მართალია, მაისში არც საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული და არც საპრეზიდენტო, მაგრამ პარტიების ნაწილი საკმაოდ სერიოზულად ემზადება არჩევნებისთვის. თბილისის მერის სავარძლისთვის ბრძოლა აშკარად ისეთ სახეს იძენს, რომ მომავალი მერი პრეზიდენტის ალტერნატივად მოიაზრება. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს პარტიების დიდი ნაწილი.**

თბილისის მერის სავარძელი ოპოზიციისთვის იმდენად მომხიბვლელია, რომ ერთდროულად რამდენიმე კანდიდატი დასახელდა. რამდენიმე რიგში დგას და სათანადო მომენტს ელოდება, რომ საკუთარი კანდიდატურა დაასახელოს.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ოპოზიცია ერთ კანდიდატზე ვერ შეთანხმდებოდა. ამის ილუზია არც არავის ჰქონდა. ოპოზიცია ერთ კანდიდატზე რომ ვერ შეთანხმდებოდა იმ დღიდან გამოჩნდა, როგორც კი ირაკლი ალასანიამ დედაქალაქის მერის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა დაასახელა.

ოპოზიციის ნაწილი ალასანიას ამ გადაწყვეტილებამ თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა. ამის შემდეგ ოპოზიციის ნაწილმა საკუთარი სტრატეგია აირჩია, ნაწილმა კი ალასანიას კრიტიკა დაიწყო.

არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ინიციატივა პრაიმერს, ანუ ე.წ. წინასწარ არჩევნებს უკავშირდება. ჩვენი ოპოზიციის ქმედებებს თუ დავუკვირდებით, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ პრაიმერში ყველა ოპოზიციურმა კანდიდატმა არ მიიღოს მონაწილეობა.

ოპოზიცია ერთმანეთში შეთანხმებას ხშირად ვერ აღწევს, ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ პრაიმერში მონაწილეობა ყველა ოპოზიციურმა კანდიდატმა არ მიიღოს. პრაიმერის გვერდის ავლით კანდიდატების დასახელების საშიშროება რომ არსებობს, ამის შესახებ კონსერვატორებმა არაერთხელ განაცხადეს.

კონსერვატორებმა ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის შესარჩევად, თბილისში პრაიმერის ჩატარების თარიღად მომავალი წლის 31 მარტი დაასახელეს. რაც შეეხება რეგიონებს, პრაიმერი იქ შეიძლება 31 მარტამდეც ჩატარდეს.



პრაიმერის ჩატარება მარტივი რომ არ არის, ოპოზიციამ იცის და ამიტომ შესაბამისი სამუშაო გასწია. კერძოდ, შეიმუშავა დებულების პროექტი, რომელიც მოიცავს საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნას, კენჭისყრის პროცედურას, ხმის დათვლას, დავების განხილვას და ასე შემდეგ.

### თბილისი მერს 4 წლის ვადით აირჩევს

ამ პროექტის განხილვა 1 დეკემბრამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც შეჯერებულ ვარიანტს ხელს მოაწერენ პრაიმერის მონაწილე ოპოზიციური პარტიები.

პრაიმერის ჩატარებას ბუნებრივია გარკვეული თანხები სჭირდება. კონსერვატორები ამბობენ, რომ პრაიმერი დაფინანსდება პოლიტიკური პარტიების შემოწირულობებით, ასევე სპეციალურად პრაიმერის დაფინანსებისთვის გაიხსნება ფონდი.

დღემდე ზუსტად არის ცნობილი, რომ პრაიმერში მონაწილეობას მიიღებს თბილისის მერობის ორი კანდიდატი — ზვიად ძიძიგური და კობა დავითაშვილი. ასევე არსებობს ინფორმაცია, რომ პრაიმერის იდეა მისაღებია ალიანსის ლიდერისთვის ირაკლი ალასანიასთვის, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება პრაიმერში მონაწილეობის შესახებ მას ჯერ არ დაუფიქსირებია.

ალასანიას გუნდს პრაიმერზე მეტად სხვა საკითხი აღელვებს. კერძოდ, თბილისის მერის ასარჩევი ბარიერი. ალასანიას გუნდის მოთხოვნა დედაქა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## თომას ჰამერბერგი ცხინვალში არ შეუშვეს

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარი ოკუპანტებმა და მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებმა ცხინვალში არ შეუშვეს.

როგორც „მედიანიუსს“ შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ვლადიმერ ჯუღელმა განუცხადა, ევროსაბჭოს კომისარი სეპარატისტების თანხმობას ერგნეთში რამდენიმე საათის განმავლობაში ელოდა. მისივე თქმით, სეპარატისტების უარის მიზეზი ქართული მხარისთვის უცნობია.

საბოლოოდ, კოკოითის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლები ევროკომისართან შესახვედრად ნეიტრალურ ზონაში გადმოვიდნენ და ცხინვალში შესვლაზე უარი პირადად განუცხადეს.

ხანმოკლე შეხვედრის პარალელურად, ცხინვალის მხრიდან რამდენიმე გასროლის ხმა გაისმა. რის შემდეგაც ჰამერბერგმა ერგნეთის ტერიტორია დატოვა და გორში შიდა ქართლის გუბერნატორს ვლადიმერ ვარძელაშვილს შეხვდა.

ევროპელმა დიპლომატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად დღევანდელი ინციდენტისა, ის ცხინვალში შესვლაზე უარს არ იტყვის და დაკავებული მოზარდების მოსანახულებლად ყველა ბერკეტს გამოიყენებს.

— მძიმე სამუშაოა, რადგან ძალიან ბევრი პრობლემაა. ჩემი მიზანი არის, რა თქმა უნდა, ის, რომ ბავშვები რაც შეიძლება მალე გათავისუფლედნენ, მაგრამ საკითხავია, ისინი, ვინც მოზარდები დააკავა, ამას როდის დაუშვებენ. მიმაჩნია, რომ ბავშვები უნდა გამოუშვან და ეს მათაც ვთხოვე. მოლაპარაკებები გრძელდება, მაგრამ ამ დრომდე გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. დანებებას არ ვაპირებ. მუშაობას განვაგრძობ, ვიდრე შედეგი არ იქნება. ცხინვალში აუცილებლად შევალ, მაგრამ როდის, ამის თქმა არ შემიძლია, — აღნიშნავს ჰამერბერგი.

ცნობისთვის: ჰამერბერგის ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე იყო ცნობილი, რომ ევროსაბჭოს კომისარი თბილისში ვიზიტის შემდეგ ცხინვალში უნდა ჩასულიყო და მოზარდების გათავისუფლების საკითხზე ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებს შეხვედროდა. ვრცელდებოდა ასევე ინფორმაცია, რომ ჰამერბერგი ცხინვალიდან მოზარდებთან ერთად დაბრუნდებოდა.

**მედიანიუსი**

## ბურჯანაძის პარტია ერთი წლის მუშაობის შედეგებს შეაჯამებს

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ მთავარი საბჭო და პარტიის აქტივი დღეს, დაბა ბაკურიანში, გაფართოებულ შეხვედრას გამართავენ, რაზეც პარტიის ერთი წლის მუშაობის შედეგებს შეაჯამებენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიის პრესსამსახურიდან აცნობეს, აღნიშნულ შეხვედრაში მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძეც ჩაერთვება. მათივე ინფორმაციით, პარტიის აქტივი თავმჯდომარესთან ერთად სამომავლო მოქმედებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს შეაჯერებს.

დაბა ბაკურიანში „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრებს 27 ნოემბრიდან „ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის“ ორგანიზებით ტრენინგები უტარდებათ.

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ 2008 წლის 23 ნოემბერს შეიქმნა.

**ინტერპრესნიუსი**

# კირკიტაძე და ბოკერია ერთმანეთს ისევ დაუპირისპირდნენ

## ოპოზიცია ნაციონალებს დიდ არეულობას უწინასწარმეტყველებს

თეა მარხვაი ე

**ფეხბურთი რომ მხოლოდ თამაში არ არის, ეს ქართველებზე უკეთ არავის მოეხსენება და, ალბათ, არც ერთ ქვეყანაში ფეხბურთი ისე არ არის პოლიტიზირებული, როგორც საქართველოში.**

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ნაციონალებმა ყველაფერი მიითვისეს, ყველა სპორტულ ფედერაციაში თავიანთი კაცი დასვეს, ფეხბურთი კი განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანეს, თუმცა იქ საკუთარი კაცის მიყვანა ძალიან გაუჭირდათ. საამისოდ მათ ყოფილი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ორჯერ დაპატიმრება დასჭირდათ.

ალბათ, გემახსოვრებათ, რა სიამაყით გვაუწყეს ვარდების რევოლუციის გარიჟრაჟზე მერაბ ჟორდანიას დაკავების ამბავი. ხელისუფლებამ ისიც გვამცნო, ჟორდანიას მითვისებული ფულები დავადებინეთ და ამით პენსიონერებს პენსია დავურიგეთო.



პატიმრობიდან გათავისუფლებული ჟორდანია კვლავ თავის პოსტზე დარჩა. ეს კი, როგორც ჩანს, ნაციონალების ნაციონალურ ინტერესებში არ შედიოდა. ამიტომაც საჭირო გახდა ჟორდანიას პატიმრობაში მეორე ვადით გამწესება.

მეორედ ციხის კარი ჟორდანიამ გოკა გაბაშვილთან დაპირისპირების შემდეგ შეაღო. ეს უკანასკნელი მაშინ კულტურის მინისტრი იყო. კულტურის მინისტრის დაქვემდებარებაში შედის სპორტი და ძეგლთა დაცვაც. გაბაშვილს ჟორდანიასთან მთელი რიგი პრეტენზიები ჰქონდა. ეს ამბავი უპასუხოდ არც ჟორდანიას დაუტოვებია და ყველაფერი მისი დაპატიმრებით დასრულდა.

მეორე „სროკზე“ წასულმა ჟორდანიამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი დატოვა. მას შემდეგ ქართული ფეხბურთის სათავეში ნოდარ ახალკაცი მოვიდა. მას შემდეგ ქართული ფეხბურთის საქმე უკან-უკან წავიდა, თავად ფეხბურთი კი პოლიტიკური დაპირისპირების საგნად იქცა. ეს დაპირისპირება არა პარტიათა შორის, არამედ ნაციონალებს შიგნით დაიწყო.

ქართული ფეხბურთის გაკონტროლებისათვის ერთმანეთს გიგა ბოკერიასა და დავით კირკიტაძის ჯგუფები დაუპირისპირდნენ. მათ არც ადრე ჰქონდათ კარგი ურთიერთობა, ფეხბურთმა კი ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გაამწვავა.

მათ შორის ღია დაპირისპირება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე მოხდა. 2007 წლის 13 მაისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში გიორგი ნემსაძემ გაიმარჯვა. არჩევნების დასრულებიდან 45 წუთში მან თანამდებობა დატოვა. ამ გადაწყვეტილებას მაშინვე დიდი სკანდალი მოჰყვა.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, კირკიტაძე და გოკა გაბაშვილი ერთმანეთს კინაღამ ფიზიკურად გაუსწორდნენ. გაბაშვილს შედეგების გაუქმება მოუთხოვია, კირკიტაძეს მისთვის რაღაც შეუთვლია და ა.შ.

საქმეში მიხეილ სააკაშვილი ჩაერია. როგორც ნაციონალები ამბობენ, ბოკერია და გაბაშვილი პირდაპირ პრეზიდენტთან შევიდნენ და აუხსნეს, რომ თუ ნემსაძე გახდებოდა ფედერაციის პრეზიდენტი, იმ შემთხვევაში საქართველოდან ახალგაზრდა ფეხბურთელების გადინება დაიწყებოდა. მათი მტკიცებით, ახალკაცმა ეს პრობლემა მოაგვარა. პრეზიდენტისთვის სხვა არგუმენტებიც დაუსახელებიათ, თუ რატომ არ უნდა დარჩენილიყო ნემსაძე ფედერაციის პრეზიდენტად.

ეტყობა, ისეთი საშინელი პერსპექტივა დაუსახეს სააკაშვილს, რომ ნემსაძე მხოლოდ 45 წუთი აპრეზიდენტა. ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები თავიდან ჩატარდა და ბოკერიას გუნდის რჩეული კვლავ პრეზიდენტი გახდა.

ფეხბურთით დაწყებული დაპირისპირება კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებდა, მაგრამ ოპოზიცია გააქტიურდა. კირკიტაძესა და ბოკერიას ერთმანეთთან საკამათოდ აღარ ეცალათ.



ფიცვერცხლანაჭამი ძმები არც ამის შემდეგ გამხდარან, მაგრამ მათ შორის დაპირისპირებამ იკლო.

ოპოზიციისგან განსხვავებით, ნაციონალებს ერთი კარგი თვისება აქვთ — როცა ნახავენ, რომ მათ რაიმე საფრთხე ემუქრებათ, ძველი წყენის დავიწყებას ახერხებენ და დროებით ერთად დგანან.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გადაგორების შემდეგ ბოკერია-კირკიტაძის გუნდებს შორის დაპირისპირება ისევ განახლდა. გამარჯვებული ამჯერადაც ბოკერიას გუნდი დარჩა. კირკიტაძეს სერიოზული კამპანია ჰქონდა დაწყებული საარჩევნოდ, მაგრამ მოულოდნელად გუბერნატორად დანიშნეს. საარჩევნო სიიდან ის ხალხიც ამოიღეს, რომლებიც კირკიტაძის გუნდთან ასე თუ ისე ასოცირდებოდნენ.

როგორც ამბობენ, სწორედ ამას შეეწირა ვალერი გიორგობიანიც. გახსოვთ, ალბათ, არჩევნების წინ რომ

**გაგრძელება მე-4 გვერდზე**

# თვითმმართველობის არჩევნებში პარლამენტის წევრებიც იყრიან კენჭს

**დასაწყისი მე-2 გვერდზე**

ლაქის მერის ასარჩევი ბარიერი 50% იყოს, არც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაიზიარა და არც საპარლამენტო და არასაპარლამენტო პარტიების ნაწილმა.

8 თუ 9 თვის განმავლობაში ოპოზიცია და ხელისუფლება „ენდიაის“ ოფისში საარჩევნო კოდექსზე მუშაობდა. ამ ფორმატში მუშაობის დროს, ხან ოპოზიციის წარმომადგენლები იბუტებოდნენ, ხან ხელისუფლების. საბოლოოდ, რამდენიმე საკითხზე შეთანხმება მაინც შედგა.

გასულ კვირას, კოდექსზე მომუშავე ოპოზიციამ და ხელისუფლებამ უკვე მიღწეულ შეთანხმებას ხელი მოაწერა. ამ ხელმომწერებს შორის არ იყო ირაკლი ალასანიას ალიანსის წევრების ხელმოწერა. ალიანსისთვის ყველაზე პრინციპულ საკითხზე შეთანხმება ვერ მოხდა. დედაქალაქის მერის ასარჩევი ბარიერი 30%-ით განისაზღვრა, არადა, ალიანსი 50%-იან ბარიერს ითხოვდა.

ალიანსის მოთხოვნა არც საპარლამენტო ოპოზიციამ გაითვალისწინა. საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი ამბობს, რომ მათთვის 30%-იანი ბარიერი მისაღებია და პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს 50%-იანი ბარიერის დაწესებას.

ამ კვირაში პარლამენტში საარჩევნო კოდექსის პროექტის ინიცირება დაიწყება. ეს სწორედ ის პროექტია, რომელიც ყველა პარტიას აღელვებს. ახალ საარჩევნო კოდექსზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუნდაც ის, რა წესით ჩატარდება არჩევნები.

თუ ახალი კოდექსი დროულად არ იქნება მიღებული, მაშინ არჩევნები ისევ ძველი კოდექსით ჩატარდება. ძველ კოდექსში კი თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევა არ წერია. ამდენად, ახალი კოდექსის მიღების აუცილებლობას თითქმის ყველა პარტია გრძნობს.

ახალ წლამდე ამ პარლამენტს რამდენიმე სესიის ჩატარება დარჩა. დეპუტატები უკვე შეგუებული არიან იმ აზრს, რომ მათ საარჩევნო კოდექსის გამო რიგგარეშე სხდომების ჩატარება მოუწევთ.

ახალი საარჩევნო კოდექსის ვარიანტის მიხედვით, თბილისის მერობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მხოლოდ პოლიტიკურ გაერთიანებებს. არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს სხვებზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ 30%-ისა. თუ ხმათა აღნიშნული რაოდენობა ვერ მოაგროვა ვერც ერთმა კანდიდატმა, ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 2 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. მეორე ტურში კი გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

თბილისის მერი აირჩევა პირდაპირი არჩევნებით, 4 წლის ვადით.

რაც შეეხება თბილისის საკრებულოს, დედაქალაქის საკრებულოს წევრთა რაოდენობა 50-წევრიანი იქნება, საიდანაც 25 წევრი პროპორციული წესით იქნება არჩეული, ხოლო 2 — მაჟორიტარული წესით. მაჟორიტარი კანდიდატის დასახელების უფლება აქვთ მხოლოდ პოლიტიკურ გაერთიანებებს. მაჟორიტარულ არჩევნებში ბარიერი არ იარსებებს. მანდატებს მიიღებს ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მოაგროვებს.

თბილისის მერისა და საკრებულოს პროპორციული წესით ჩასატარებელი არჩევნებისთვის იქმნება 10 საარჩევნო ოლქი. კერძოდ: მთაწმინდის, ვაკის, საბურთალოს, კრწანისის, ისნის, სამგორის, ჩუღურეთის, დიდუბის, ნაძალადევის, გლდანის.

სწორედ ეს საკითხი არის ოპოზიციისთვის საკამათო. ოპოზიციის ნაწილი ასეთ დაყოფაში გარკვეულ საშიშროებას ხედავს. ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი ამბობს, რომ ახლა „ნაციონალური მოძრაობა“ გამალებით იკვლევს იმას, სად აქვს უფრო მეტი პარტიული რეიტინგი.

— ხელისუფლებას სადაც უფრო მეტი რეიტინგი აქვს, იმ ოლქს მეტ მანდატს უბოძებს, სადაც ნაკლები რეიტინგი აქვს, იტყვის, რომ ნაკლები ამომრჩეველია და იმ ოლქს მანდატს დააკლებს. ამას თუ მაჭავარიანი-კუბლაშვილი ფიქრობენ, ოპოზიცია ვერ ხვდება? — ამბობს ცაგარეიშვილი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ოპოზიცია არ ეთანხმება, შეეხება იმას, რომ პარლამენტის წევრს უფლება მიეცეს თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ისე, რომ დეპუტატის უფლებამოსილება არ შეუწყდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დეპუტატს შეუძლია მერის ან საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს და თუ წააგო, ისევ უკან დაბრუნდეს პარლამენტში.

ამ საკითხზე ყურადღება ოპოზიციამ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზეც გაამახვილა. „საარჩევნო კოდექსის“ პროექტის განმარტებით ბარათში წერია: „პარლამენტის წევრს უფლება მიეცა თვითმმართველობის არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის გარეშე“.

ამ საკითხზე ოპოზიციონერმა დეპუტატებმა იურიდიულ საკითხთა კომიტეტშიც იდავეს. კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა ოპოზიციას განუმარტა, რომ ეს საკითხი შეთანხმებული არ არის და მასზე პირველი მოსმენის შემდეგ შეუძლიათ იდაონ.

— ეტყობა განმარტებით ბარათში გაეპარათ, რომ პარლამენტის წევრს შეუძლია კენჭი იყაროს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. ეს არის მარაზმი. ასეთი რამის გაკეთება არ შეიძლება, რადგან მიუღებელია. ბარემ დეპუტატი დავნიშნოთ პოლიციის უფროსად, ან სხვა თანამდებობებზე. ეტყობა ვიღაცის მივლინება და თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება უნდათ, არავინ არ ჰყავთ და ახლა ხელისუფლება პარლამენტში ეძებს კადრებს, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციის ნაწილი ვარაუდობს, რომ შესაძლოა ეს ჩანაწერი რუსუდან კერვალიშვილის გამო გააკეთეს, რომელიც შესაძლოა „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი იყოს.

არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ სხვა დეპუტატებსაც სურდათ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება და თან პარლამენტში ადგილის შენარჩუნება. ანუ თუ ეს ჩანაწერი დარჩა, ზოგიერთი პარტიის ლიდერი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს საარჩევნო სიას სათავეში ჩაუდგება და შემდეგ ისევ პარლამენტში დაბრუნდება.

ბევრი დარწმუნებულია, რომ ეს ჩანაწერი არ დარჩება და კოდექსის განმარტებითი ბარათიდანაც ამოვა.

„ქრისტიან-დემოკრატები“ ამბობენ, რომ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება მოხდა, მაგრამ ათჯერ მეტი დარჩა შეუთანხმებელი და განსახილველი.

შეუთანხმებელ საკითხებს შორის „ქრისტიან-დემოკრატი“ ლევან ვეფხვაძე ასახელებს თვითმმართველ ქალაქებში მერების პირდაპირი წესით არჩევნების თემა, თვითმმართველ ქალაქებში საკრებულოს წევრთა რაოდენობის გაზრდა.

ოპოზიციის ნაწილი ასევე საუბრობს იმაზე, რომ პირველი დონის თვითმმართველობის საკითხი ისევ გაურკვეველია. ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი იხსენებს, რომ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი პირველი დონის თვითმმართველობის აღდგენის შესახებ საუბრობდა, თუმცა, ეს ასე არ არის.

## თორთლაძის პარტიას თბილისის მერობის კანდიდატი ეყოლება

„საქართველოს დემოკრატიული პარტია“ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს.

როგორც „მედიანიუსს“ პარტიის ლიდერმა, დეპუტატმა გია თორთლაძემ განუცხადა, მათ უკვე მერობის კანდიდატიც ჰყავთ შერჩეული და მის ვინაობას მომავალ კვირას დაასახელებენ.

— მიზეზს ვერ ვხედავ, რის გამოც არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა მივიღო. ბოლო მონაცემებით ჩვენს პარტიაში უკვე 14 000-მდე ადამიანია გაწევრიანებული. ხუთკაციანი პარტიები მონაწილეობენ და ჩვენ რატომ არ უნდა ვცადოთ?! რაც შეეხება მერობის კანდიდატს, ჩემი თავის წარდგენას არ ვაპირებ. კანდიდატი უკვე შერჩეული გვყავს და მის ვინაობას მომავალ კვირას დავასახელებთ, — განუცხადა „მედიანიუსს“ გია თორთლაძემ.

**მედიანიუსი**

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

**შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**

*ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“*

# სასწრაფოდ უნდა მოხდეს ოპოზიციის ლიდერების ლუსტრირება!

შორენა კოწოწაშვილი

**ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გიორგაძე ოპოზიციის ქმედებას მძიმედ აფასებს და აცხადებს, რომ ხელისუფლებასთან დიალოგი, საარჩევნო ფორმატში თანამშრომლობა და იგივე ზვიად გამსახურდიას მკვლელობის მიზეზების დამდგენი კომისიის შექმნაც ხელისუფლების თამაში და სააკაშვილისთვის პრეზიდენტობის გახანგრძლივებაა. სახალხო პარტიის ლიდერი ოპოზიციაში მოღალატეებსაც არ გამორიცხავს და რეალურ დამოუკიდებელ პოლიტიკოსებს მათგან გამიჯვნას ურჩევს.**



ვინც სააკაშვილის ხელისუფლების განმტკიცებას უწყობს ხელს, მოღალატეა ქვეყნის, აბა, რა არის? — აცხადებს მამუკა გიორგაძე და იქვე დასძენს: ვინც დღეს ოპოზიციის სახელით გამოდის და სააკაშვილს ჩასვრილს უსუფთავებს, მოღალატეა, აბა, რა არის?

გთავაზობთ ინტერვიუს სახალხო პარტიის ლიდერ მამუკა გიორგაძესთან:

***— ბატონო მამუკა, როგორ შეაფასებდით დღევანდელ მდგომარეობას. გამარჯვებულის პოზიციაზეა პრეზიდენტი და მისი გუნდი?***

— გამარჯვებულის პოზიციაზეა და მისი მოქმედებები ამის ნათელი დადასტურებაა. დიდი მიხვედრილობა არ იყო საჭირო, რომ კონტრშეტევაზე გადმოსული სააკაშვილი, ყველაფერს გააკეთებდა, რათა თავის ტყავზე მოერგო კანონმდებლობა და პოლიტიკური ცხოვრება, სადაც თვითონ იქნებოდა წარმმართველი პოლიტიკური ცხოვრებისა. ინიციატივა მის ხელშია და ამის ხელიდან გაშვებას არც აპირებს.

***— ინიციატივა რომ სააკაშვილის ხელშია, ეს ოპოზიციის სისუსტის ნიშანია?***

— რა თქმა უნდა. მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივა იყო ჩვენს ხელში, ოპოზიციამ ვერ მოახერხა ეს პროცესი სწორედ წაგვემართა, დაგვეყენებინა ის შედეგი, რომელიც ქვეყანას სჭირდებოდა. შესაბამისად, ვერ განხორციელდა ის, რაც ერთის მხრივ, ქვეყანას გამოადგებოდა, მეორეს მხრივ, პოლიტიკურ ცხოვრებას გააჯანსაღებდა. სააკაშვილმა გადააგორა პრობლემები იმ პოლიტიკური ლიდერების უნიათობით, უზნეობით და ქვეყნის ინტერესების გაყიდვით, რომლებიც თავს ლიდერებს უწოდებენ. ამიტომ, გავიმეორებ, სააკაშვილი გადმოდის კონტრშეტევაზე და მართავს პოლიტიკურ სპექტრს.

***— თქვენი აზრით, რატომ ვერ შეძლო ოპოზიციამ გაეცნობიერებინა, რომ იგივე საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ხელისუფლებასთან დაჯდომა სააკაშვილის თამაშზე წასვლა იყო?***

## ალასანიას ალიანსი თამაშგარე დატოვეს

— უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე მოსაზრების გამო. პირველი, ეს არ არის მებრძოლი პარტიული სტრუქტურები. ეს არ არიან ის ადამიანები, რომლებსაც ქვეყანა სტკივათ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც პოლიტიკას უყურებენ კომერციის თვალსაზრისით. შესაბამისად ამ ადამიანებს არ ძალუძთ დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების წარმართვა. მათ არასოდეს დამოუკიდებლად პოლიტიკაში არ უმოღვაწიათ. უმეტეს მათგანს, ვინც წარმართავდა თითქოს ამ პროცესებს და იმიტომ, რომ მათ ხელისუფლება აჩენდა ტელევიზორში. და არა იმიტომ, რომ თვითონ გამოიჩინეს თავი, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ამ ადამიანებს გადაწყვეტილების მიღების უნარი არ ჰქონდათ. ამ ადამიანებს არ ჰქონდათ პასუხისმგებლობის გრძნობა, არ ჰქონდათ პოლიტიკურ პროცესებში ოპერატიული მართვის უნარი. სწორედ ამიტომ გამოარჩიეს და დაუთმეს დრო სატელევიზიო ეთერში და თვითონვე გაიხადეს პარტნიორებად. ხელისუფლებამ თვითონ წამოწია ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც მისთვის საშიში არ იქნებოდა. ფაქტი სახეზეა, მოვლენების განვითარებამ ეს დაადასტურა. ყველანაირად ცდილობდნენ, რომ უკანა პლანზე გადაეწიათ ის პოლიტიკური ლიდერები, რომლებსაც შეეძლოთ დამოუკიდებლად, ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღება. აქედან გამომდინარე, აქ ოპოზიცური ლიდერების პრობლემა კი არ ედგა ხელისუფლებას, საზოგადეობის წინააღმდეგობა იყო მისი პრობლემა. საზოგადოების წინააღმდეგობა გატეხა სწორედ ოპოზიციის უნიათობით. დღეს რომ ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულებაა, დღეს რომ ასეთი ჩამკვდარია მუხტი, რომ ასეთი უმოქმედობაა, ეს სწორედ გამოწვეულია იმით, რომ შეგნებულად დაღალეს ქართველი საზოგადოება. გარდა ამისა, სააკაშვილმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ის ლიდერები, რომლებიც თვითონვე გამოაჩინა ტელევიზიით, დაუთმო ეთერი, მისცა საშუალებები მისგან კონტროლირებად ტელევიზიებში გამოჩენის შესაძლებლობა, მიიღო ის შედეგი, რომელიც მას უნდოდა. ხოლო ის მეტნაკლებად თავისუფალი, მეტნაკლებად გულწრფელი და დამოუკიდებელი ადამიანები, რომლებიც ამ პროცესებში მონაწილეობდნენ, დღეს გარიყა პოლიტიკური პროცესებიდან. ის ხალხი კი, რომლებიც ნელ-ნელა წამოიყვანა ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ, დღეს უკვე გონორზე არიან და შესაბამისად იქცევიან. რატომ მიდიხარ სააკაშვილთან, როდესაც მას მტერს ეძახი, უშიშროების საბჭოს სხდომაზე. რატომ მიდიხარ სააკაშვილთან საარჩევნო კოდექსის დამუშავებაზე და საარჩევნო გარემოს გამოსწორებაზე, როცა მას უზურპატორს, დიქტატორს და არალეგიტიმურს უწოდებ. რატომ ჯდები იმ სივრცეში, რომელიც იცი, რომ სააკაშვილის მოედანია. ორი რამის გამო. პირველი, ან ხარ ელემენტარულად უვიცი პოლიტიკაში და მეორე, თავიდანვე თამაშობდი სააკაშვილის თამაშს, ხარ ნაკვები მისი სუფრის ნასუფრალით და შესაბამისად კომერციულად უყურებ საკითხს და ერთ დეპუტატს თუ გაგაყვანინებს, ერთ საკრებულოს წევრს თუ გაგაყვანინებს, ხარ ბედნიერი და ეს არის მათი ინტერესი. ეს ყოველივე ხდება, სააკაშვილის და იმათი თანამშომლობა, თავის თავს ოპოზიციას რომ უწოდებს, ქვეყნის ინტერესების გაყიდვის ხარჯზე.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# რატომ შეიქმნა ადვოკატთა ახალი გაერთიანება

ნათია ხურცილავა

**საზოგადოებისთვის ცნობილი ადვოკატები ადვოკატთა ახალ გაერთიანებას ქმნიან. მათი ინიციატივით ფუძნდება ორგანიზაცია „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“.**

ორგანიზაციის მიზანია ადვოკატის პროფესიის გადარჩენა და დამოუკიდებელ ადვოკატთა ძლიერი კოპუსის შექმნით საქართველოში იურიდიული პროფესიის განვითარება.

ახალი ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან ადვოკატები დავით ასათიანი, დიმიტრი გაბუნია, მანანა კობახიძე, დავით ლანჩავა და სხვები.

ადვოკატების განცხადებით, ახალი ორგანიზაციის დაფუძნება არსებულმა მდგომარეობამ განაპირობა. ისინი მიიჩნევენ, რომ ადვოკატთა ასოციაციამ ვერ შეძლო ადვოკატთა კორპუსის გაძლიერებისა და დამოკიდებლობის უზრუნველყოფა. ახალი გაერთიანების მთავარი პრინციპი იქნება აპოლიტიკურობა, სამართლიანობა, დამოუკიდებლობა და გუნდური მუშაობა.

ორგანიზაციის დამფუძნებელი ადვოკატები მიიმჩნევენ, რომ ისინი შეძლებენ, ერთ გუნდად მოვიდნენ ადვოკატთა ასოციაციაში და ადვოკატთა ასოციაცია გახადონ სტრუქტურა, სადაც მთავარი პრიორიტეტი ადვოკატის პრესტიჟის ამაღლება, გადაწყვეტილების გამჭვირვალე, გუნდური და დემოკრატიული პრინციპების დაცვით მიღება იქნება.

ახალ ორგანიზაციაში ჯერ მხოლოდ 100 ადვოკატია გაწევრიანებული, თუმცა ისინი 1000 მათ კოლეგას ელოდებიან. ადვოკატები მიიჩნევენ, რომ საქართველოში შემთხვევითი და დროებითი ადვოკატების დრო უნდა დასრულდეს.



ადვოკატ დავით ასათიანის განცხადებით, ახალი ადვოკატთა ორგანიზაცია ადვოკატთა ასოციაციის ალტერნატივა არ იქნება.

ადვოკატ დავით ლანჩავას განცხადებით, მათ მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ადვოკატებით იქნება დაკომპლექტებული.

— ჩვენი შეკრების აუცილებლობა საჭირო გახდა, იმ რეალობიდან გამომდინარე, რომელიც ადვოკატთა კორპუსში არის. ადვოკატთა ასოციაციაში 4 ათასი წევრია, მაგრამ უმეტესობა არ არის ადვოკატი. ფილტრაციის საშუალება ადვოკატთა ასოციაციას არ აქვს. ჩვენ 8 თვის განმავლობაში ვიმუშავეთ და მოვამზადეთ კანოპროექტი, რომ

## ადვოკატის პროფესიას გადარჩენა სჭირდება

— ჩვენ დაგვებადა იდეა, რომ შევქმნათ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც არა საწევროების, არა სავალდებულო, არამედ სუფთა, დამოუკიდებელი ადვოკატების გაერთიანება იქნება, რომლებიც ფაქტიურად შექმნიან ძლიერ ადვოკატთა კორპუსს და, ამავე დროს, შეძლებენ ასოციაციის მართვას თავიანთი ნომინირებული კანდიდატების მეშვეობით. ამ ორგანიზაციას, რომელსაც დღეს ჩვენ ვაფუძნებთ, სწორედ ეს დანიშნულება აქვს. გამგეობა ჯერჯერობით 9 წევრისგან შედგება. დაველოდებით ისეთ ადვოკატებს, რომლებიც ჩვენთვის ღირსეული კოლეგები არიან. ჯერჯერობით შიდა არჩევნები უნდა ჩავატაროთ. იქნება რამდენიმე ღირსეული კანდიდატი და აქედან შეირჩევა, — განაცხადა დავით ლანჩავამ.

დავით ლანჩავა არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნების მიზეზებზეც საუბრობს.

ადვოკატთა კორპუსი ჩიხიდან გამოვიყვანოთ. ერთი ადამიანი, თავმჯდომარე, რაც არ უნდა ნიჭიერი ადამიანი იყოს, ვერ შეძლებს მართვას. ის კოლაფსი, რომელიც ადვოკატთა ასოციაციაში იყო, დაძლეულ იქნა, რადგან კანონპროექტი მესამე მოსმენით გავიდა, მაგრამ ჯერ ხელმოწერილი არის. ჩვენთვის ყველაზე მთავარი მოთხოვნა, გუნდური მართვა, არ იქნა გათვალისწინებული კანონმდებლების მიერ, — აცხადებს დავით ლანჩავა.

მანანა კობახიძე, ადვოკატი, „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი:

— ახალი ადვოკატთა გაერთიანების შექმნის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ადვოკატთა ასოციაცია არ არის მოქნილი, ეფექტური ორგანიზაცია. ჩვენ გვინდა, რომ ამ ახალი ორგანიზაციით ხელი შევუწყოთ ადვოკატთა ასოციაციის გაძლიერებას და ადვოკატის პროფესიის განვითარებას, მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას და ახალი საქმიანობების მხარდაჭერას. ძალიან მალე ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაა, სადაც უნდა ავირჩიოთ მმართველი ორგანოები. ჩვენი მიზანია, ამ ორგანოებში რეალურად აირჩიონ ის ადამიანები, რომლებიც არიან მოქმედი, პროფესიონალი ადვოკატები და არა უბრალოდ ფორმალური წევრები 4 ათასი წევრისგან შემდგარი ადვოკატთა ასოციაციისა, რომელიც ზოგჯერ ფორმალურ ნიშანს ატარებს და ვერ არის, სამწუხაროდ, ეფექტური.

***— რა ტიპის ცვლილებები შევიდა კანონში ადვოკატთა შესახებ?***

— სანამ ცვლილებები შევიდოდა კანონში, პრობლემა იყო კვორუმი. 4 ათასი ადამიანისგან შემდგარი კრების მიერ ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღება ძალიან რთული იყო. კვორუმის არარსების პირობებში არჩევნებს ვერ ვატარებდით. ამიტომ ახლა ჩაიდო კანონში, რომ თუ 500-მდე მოქმედი ადვოკატი, ასოციაციის წევრი შეიკრიბება, კრება უფლებამოსილი იქნება და არჩევნების ჩატარება შესაძლებელი გახდება. ამ ახალი ცვლილებით რეალურად კვორუმის პრობლემა იხსნება. ეს არის მთავარი ცვლილება.

***— რა მიზანი ექნება ახალ არასამთავრობო ორგანიზაციას?***

— ადვოკატის პროფესიული განვითარება, მთელი რიგი საქმიანობის განხორციელება, რომელიც გააძლიერებს ადვოკატის პროფესიას და ასევე ხელს შეუწყობს მის დამოუკიდებლობას. ეს არის მიზანი. აბსოლუტურად დამოუკიდებელი ორგანიზაცია იქმნება, რომელიც იქნება არასამთავრობო. ეს ორგანიზაცია მოემსახურება ქვეყანაში ადვოკატის როლის გაძლიერებას. ადვოკატი იგრძნობს, რომ მისი უფლება დაცულია. ეს არ იქნება რაღაც ფორმალური გაერთიანება. ჩვენ ოპონირებას არ გავუწევთ ადვოკატთა ასოციაციას, პირიქით, გვინდა, უფრო ეფექტური ორგანიზაცია შევქმნათ.

# კირკიტაძე და ბოკერია ერთმანეთს ისევ დაუპირისპირდნენ

დასაწყისი მე-3 გვერდზე

გაავრცელეს ჩანაწერი, სადაც გიორგობიანი ცაგერში თათბირს ატარებდა. იმ აუდიოჩანაწერიდან ჩანს, რომ გიორგობიანი ადგილობრივ ხელისუფლებას აფრთხილებს, არჩევნები ნაციონალებმა უნდა მოიგონო.

ამ ფირების გავრცელების შემდეგ ნაციონალებმა გიორგობიანის კანდიდატურა მოხსნეს, საქმე კი გამოსაძიებლად სამართალდამცავებს გადაეცათ. ნაციონალები სხვა შემთხვევაში გიორგობიანს ასე იოლად არ შეელეოდნენ, მაგრამ, როგორც ამბობენ, ნაციონალთა ერთ გუნდს კარგად ახსოვდა გიორგობიანის პოზიცია ფეხბურთთან დაკავშირებით.

კლაუს ტოპ მიოლერის ჩამოყვანას საქართველოში დიდი ზეიმი მოჰყვა. ნაციონალები გვიმტკიცებდნენ, პირველად საქართველოს ისტორიაში ეღირსა ასეთი დონის მწვრთნელი ქართულ ფეხბურთსო. რა დონისაც იყო კლაუსი, ყველამ კარგად ვნახეთ. სანამ ქართველები შეიცხადებდნენ მის უსაქმურობას, გერმანული პრესა ალაპარაკდა ამაზე. გერმანული მედია გაკვირვებული წერდა, ეს კაცი საქართველოს ნაკრებს როგორ წვრთნის, დღე და ღამე გერმანიაშიაო.

როცა საქმე ძალიან ცუდად წავიდა, ნაციონალთა ერთმა ჯგუფმა ამ თემაზე სკანდალი ატეხა. ვალერი გიორგობიანი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც კლაუსის პროფესიონალიზმი ეჭვქვეშ დააყენა. გიორგობიანმა მაშინ სამართლიანად იკითხა, რაში ვუხდით მიოლერს ამდენ ფულს — დამარცხებებშიო? ნაციონალების ერთი გუნდი ამ საკითხის პარლამენტში გატანასაც კი აპირებდა, თუმცა ბოკერიას ძალისხმევით ეს საქმე ჩაიშალა.

ჰოდა, როგორც ამბობენ, გიორგობიანის სადეპუტატო მანდატი სწორედ ამ ძველ ამბავს შეეწირა. იგივე შეიძლება ითქვას ლეგენდარულ ფეხბურთელ ვლადიმერ გუცაევზეც. მისი საარჩევნო სიაში შეტანა გადაწყვეტილი იყო, თუმცა გადამწყვეტ მომენტში გაიხსენეს, რომ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების დროს მან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა.

პარლამენტში აღარც გიგა ბოკერია შეუყვანიათ. ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გახდა. სააკაშვილის კარზე ის ისევ ძველი გავლენით სარგებლობს, რაც ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს ნერვებს უშლის.

კირკიტაძის გარდა, ბოკერიას თურმე კარგი თვალით არც შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი უყურებს. პრეზიდენტის კარზე გავლენა არც მას აკლია. ვანოს სიტყვა რომ ბოკერიაზე მეტად ფასობს, ეს გილაურის გაპრემიერებამაც დაადასტურა.

გავრცელებული ცნობით, პრემიერობისთვის გიგი უგულავას ამზადებდნენ. ეს ამბავი თითქმის უკვე გადაწყვეტილი ყოფილა, თუმცა შემდეგ მერაბიშვილი ჩარეულა საქმეში და პრემიერის პოსტი თავისი დაჯგუფების წარმომადგენელ ნიკა გილაურს დააკავებინა.

გაპრემიერებიდან ცოტა ხნის შემდეგ გილაური მოულოდნელად ქართულ ფეხბურთში შექმნილი სავალალო მდგომარეობით დაინტერესდა. მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ რაღაც სერიოზული მზადდებოდა.

ეს რაღაც სერიოზულიც მოხდა. ნოდარ ახალკაცმა მოულოდნელად თანამდებობა დატოვა. პოსტიდან წასვლისთანავე ის გერმანიაში გაფრინდა. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ახალკაცი აეროპორტში დააპატიმრეს, თუმცა, ბოკერიასა და გაბაშვილის ჩარევის შემდეგ, გაათავისუფლეს. რამდენად ზუსტია ეს ინფორმაცია, ვერ გეტყვით, ნაციონალები კი ამ თემაზე საკმაოდ ბევრს საუბრობდნენ.

ნაციონალთა შიდა დაპირისპირება საფეხბურთო არენაზე ამით არ დასრულებულა. ცოტა ხნის წინ დავით კირკიტაძეს ერთი დიდი უსიამოვნება შეემთხვა. მას მსაჯის ცემას სდებდნენ ბრალად. ეს ამბავი კირკიტაძეს კინაღამ თანამდებობის ფასად დაუჯდა.

ნაციონალ ჩინოვნიკებს მსგავსი ტიპის ინციდენტები ბევრჯერ მოსვლიათ, თუმცა კირკიტაძის მსგავსად არც ერთი ინციდენტი არ დაპიარებულა. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ამის უკან ბოკერიას გუნდი იდგა.

არავინ იცის, რატომ, მაგრამ იმ სკანდალს გაგრძელება არ მოჰყოლია. კირიკიტაძე თანამდებობაზე დარჩა და, როგორც ამბობენ, „აბაროტის“ აღებაც მოახერხა. წინა კვირას ფეხბურთის ფედერაციაში მაგარი ამბები მოხდა. გავრცელებული ცნობით, ამ სკანდალის ამოტივტივების უკან, კირკიტაძის გარდა, ვანო მერაბიშვილიც დგას.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეს სკანდალი ასე იოლად არ ჩაივლის. ამის გამო გიგა ბოკერიას, მართალია, არავინ გაწირავს, მაგრამ შესაძლოა მისი პოზიციები პრეზიდენტის კარზე მკვეთრად შეირყეს.

ამის გაკეთებას ნაციონალთა ერთი ფრთა უკვე დიდი ხანია ცდილობს. აქამდე ბოკერია თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ნაციონალურ დაპირისპირებას დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ოპოზიციაში და დიდი იმედი აქვთ, რომ ფეხბურთის სახელით დაწყებული დაპირისპირება მალე მწვავე სახეს მიიღებს. ოპოზიციის მტკიცებით ნაციონალებში უკვე დაწყებულია დიდი უთანხმოება, რაც მათი მტკიცებით სერიოზული განხეთქილებით დასრულდება.

## პრაიმერისთვის თბილისში 50-მდე საარჩევნო უბნის შექმნა იგეგმება

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის გამოსავლენად 31 მარტს დანიშნული პრაიმერისთვის, დედაქალაქის მასშტაბით, 50-მდე საარჩევნო უბნის შექმნა იგეგმება.ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ განუცხადა. მისი თქმით, თბილისის მერისა და საკრებულოს მაჟორიტარი კანდიდატების წინასწარი არჩევნები პირდაპირი კენჭისყრის გზით ჩატარდება, რომელსაც დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაცია ჩაატარებს.

რაც შეეხება რეგიონებს, კუკავას ინფორმაციით, რეგიონის მუნიციპალიტეტის ქალაქის მაჟორიტარი კანდიდატები გამოვლინდება სოციოლოგიური (სატელეფონო) გამოკითხვების გზით, ხოლო სოფლის მაჟორიტარი კანდიდატები - სოფლის კრებაზე კენჭისყრის გზით ან საარჩევნო კომისიის ყველა პარტიული წევრის კონსენსუსით. პრაიმერში გამარჯვებულად კი ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც 50% +1 ხმას დააგროვებს.

წინასწარი არჩევნების — ე.წ. პრაიმერის დებულების პროექტზე მუშაობა სამუშაო ჯგუფმა 24 ნოემბერს დაასრულა. პროექტის საჯარო განხილვა მომავალი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. შეჯერებულ ვარიანტზე პრაიმერის მონაწილე პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა 7-8 დეკემბრამდე უნდა მოაწერონ ხელი.ამ დროისთვის პრაიმერში მონაწილეობის სურვილი მხოლოდ სამმა პოლიტიკურმა სუბიექტმა — კონსერვატორებმა, ხალხის პარტიამ და მოძრაობამ სამართლიანი საქართველოსთვის გამოთქვეს. კუკავას თქმით, პარტიებთან კონსულტაციები გრძელდება.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოში ღორის გრიპის 30 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა

28-29 ნოემბერს საქართველოში ღორის გრიპის ვირუსის 30 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, დაავადებულებიდან სტაციონარში მხოლოდ 2 მათგანი იმყოფება, დანარჩენები კი, სახლში მკურნალობენ.

ქართველი ექიმები დაავადების რაოდენობის ზრდას უახლოესი ორი კვირის განმავლობაში ვარაუდობენ, რადგან საქართველოში, ტრადიციულად, გრიპი მასობრივად ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის დასაწყისში ვრცელდება.

სულ საქართველოში ღორის გრიპის 177 შემთხვევაა დაფიქსირებული.

**მედიანიუსი**

## ოპოზიციის შეხვედრაში მონაწილეობას გიორგი თარგამაძეც მიიღებს

„ქრისტიან დემოკრატები“ ოპოზიციის ხვალინდელ შეკრებაში მონაწილეობის მიიღებენ.

როგორც „პირველს“ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა ლალიაშვილმა განუცხადა, „ლეიბორისტებისგან“ მიწვევა „ქრისტიან-დემოკრატებმაც“ მიიღეს და შეხვედრას პარტიის ლიდერი გიორგი თარგამაძე დაესწრება.

**პირველი**

# სააკაშვილი მოსკოვში ემისრებს აგზავნის

ნათია ხურცილავა

**ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მოსკოვში გამართულ შეხვედრებზე ღიად საუბრობს. გრიგორი კარასინის შემდეგ ნოღაიდელი პრიმაკოვს შეხვდა. მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი წლის ბოლოსთვის ისევ გეგმავს რუსეთის ფედერაციაში ვიზიტს.**

ზურაბ ნოღაიდელი „ახალ თაობას“ მოსკოვში გამართული შეხვედრების დეტალებზე ესაუბრა.

***— ბატონო ზურაბ, თუ შეიძლება მოსკოვში ვიზიტზე რომ გვესაუბროთ, თქვენ ოფიციალურ პირებს შეხვდით...***

— საუბარი გვქონდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, სახელმწიფო სათათბიროსთან, დუმის ორ ფრაქციასთან. კონკრეტული დღის წესრიგი გვქონდა, რომელიც კონცენტრირებული იყო საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე. ასევე შეხვედრა მქონდა პრიმაკოვთან და ქართულ დიასპორასთან, დიასპორის იმ ნაწილთან, რომელსაც მიხეილ ხუბუტია ხელმძღვანელობს. გარდა ამისა, „საქართველოს ხალხთა ასამბლეას“, რომელსაც გოჩა ძახოხოვი ხელმძღვანელობს, მთელი რიგი შეხვედრები ჰქონდა ამ მიმართულებით.

***— საინტერესოა პრიმაკოვთან შეხვედრის დეტალები, რაზე ისაუბრეთ? როგორც ვიცით, პუტინმა სწორედ პრიმაკოვს დაავალა დაძაბული რუსულ-ქართული ურთიერთობების მოგვარება, ეს იყო ფრაზა უბრალოდ ნათქვამი თუ...***

— ბატონი პრიმაკოვის დაბადების დღე იყო და შესაბამისად სერიოზული განხილვები და დავალება, ასე პირდაპირი მნიშვნელობით, არ იყო. ერთი განცხადებისგან დიდი მოლოდინი არ უნდა შევქმნათ. თუმცა, ბატონი პრიმაკოვი რუსეთში ძალიან გავლენიანი ფიგურაა, რომელიც კარგად იცნობს საქართველოს, ქართველ ერს, რომელსაც დიდი და პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია საქართველო-რუსეთის ურთიერთობების აღდგენაში ეს ნამდვილად ასეა. ჩვენ, სწორედ ამაზე ვისაუბრეთ მასთან. მე ვთხოვე მას, რომ რამდენადაც შეძლებს აქტიურად იყოს ამ საქმეში ჩართული. შევთანხმდით, რომ ამ საკითხზე რეგულარულად გვექნება შეხვედრები.

***— სანამ მოსკოვში გაემგზავრებოდით, ჩვენი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს ხომ არ შეხვედრიხართ?***

— არა, არ შევხვედრივარ.

***— ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ეჭვი გამოიწვია, სააკაშვილთან ხომ არ იყო შეთანხმებული?***

— ეს ყველაფერი თვითონ სააკაშვილისგან მოდის. მას უნდა, რომ ამ ვიზიტების მნიშვნელობა რალაცნაირად დააკნინოს, მაგრამ ამას მაინც ვერ მოახერხებს. მე ვმოქმედებ ისე, როგორც უნდა მოქმედებდეს საჯარო პოლიტიკაში მყოფი ადამიანი, ვმოქმედებ ღიად და გასაგებად. არაფერს ვმალავ და არც არის დასამალი. სააკაშვილის პოლიტიკა არის რუსეთთან კონფრონტაცია, სააკაშვილი აგზავნის კიდეც მოსკოვში ემისრებს ხშირად, ეს დანამდვილებით ვიცი.

***— ვის აგზავნის?***

— შემიძლია გავიგო, მაგრამ არ მაინტერესებს. ემისრებს აგზავნიან სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც. რუსეთთან ურთიერთობა ღია და საჯარო უნდა იყოს. მე იქ ღიად და საჯაროდ დავდივარ, ასე უნდა მოხდეს სხვა შემთხვევაშიც. რაც შეეხება ამ ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც ცხადია, სააკაშვილისგან მოდის, ჩემი დისკრედიტაციის მცდელობაა. ყველა კარგად ხედავს, რომ მისი ტყუილები ერთ საღამოზეა გათვლილი, მაქსიმუმ ორზე. თუმცა, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და ყველა ხვდება სიმართლეს. სიმართლე გითხრათ, ეს არც მაინტერესებს. მე მაქვს ძალიან კონკრეტული ამოცანა დასახული. ჩვენი მთავარი პრობლემა საქართველოს ერთიანობის რღვევაა და ჩვენი ეკონომიკის ნგრევა. ყველა გამოკითხვით, ჩვენი მოსახლეობის უმთავრესი პრობლემა სწორედ ეს არის. ვხედავთ, რომ სააკაშვილი არც საქართველოს გაერთიანებისთვის, არც საქართველოს განვითარებისთვის ნაბიჯებს არ დგამს, ან ვერ დგამს. ის აგრძელებს უაზრო კონფრონტაციას რუსეთთან, რომელიც რეალურად რიტორიკის დონეზეა. ამას ჩვენთვის არანაირი შედეგი არ მოაქვს, რომლის გამოც საბოლოო ჯამში იშლება და ინგრევა ჩვენი ქვეყანა, ვსაუბრობთ უსაფრთხოებაზე და ამ დროს არ არსებობს საქართველოს უსაფრთხოება. ქვეყანა დაინგრა, ეს პროცესი გაგრძელდება, თუ ჩვენ კონკრეტულად არ ვიმოქმედეთ.




***— ამბობენ, რომ უკრაინაში ჩასულ სააკაშვილს პუტინთან შეხვედრის მცდელობა ჰქონდა. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

— ვერ გეტყვით, ამაზე სააკაშვილს სთხოვეთ კომენტარი. არ შეიძლება კონტაქტების მცდელობას პარალელურად მოჰყვეს უაზრო გინება და კონფრონტაცია. არ შეიძლება, რომ ერთ დღეს თქვა: ურთიერთობები აღვადგინოთ სოხუმთან, ცხინვალთან (ჩვენი ფორმულის გახმოვანების შემდეგ) და მეორე დღეს თქვა: ჩვენ მაინც დავბრუნდებით სოხუმში ძალით, იარაღის ჟღარუნით. უაზრო სამხედრო რიტორიკას არანაირი შედეგი არ მოჰყვება. რუსეთთან ურთიერთობების აწყობას და დალაგებას დიდი ძალისხმევა სჭირდება. თანმიმდევრული მოქმედებები სჭირდება. სააკაშვილი ამის გამკეთებელი არ არის. მის მოქმედებებს მხოლოდ ერთი ამოცანა აქვს — ხელისუფლების შენარჩუნება ნებისმიერ ფასად. მისი ხელისუფლების შენარჩუნება კი რუსეთთან კონფრონტაციაზე გადის. ეს არის მისი ფორმულა და ამიტომაც არ ცვლის არაფერს. ვიმეორებ, ის დღეს ერთს ლაპარაკობს, ხვალ მეორეს. ამას ჩვენ მივეჩვიეთ და აღარ გვიკვირს, მაგრამ ეს ნორმალური არ არის მსოფლიო საზოგადოებისთვის. არ შეიძლება ერთი ილაპარაკო ქართულად, მეორე — რუსულად და მესამე — ინგლისურად. ყველა ენაზე ერთი უნდა ილაპარაკო. მე მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, რომ გადადგას ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებისკენ და დაიწყოს მოლაპარაკებები წინაპირობებისა და ულტიმატუმების გარეშე.

***— რუსეთში თუ არის ამის მზაობა?***

— მზაობაზე საუბარი მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როდესაც რაღაც ნაბიჯები გადაიდგმება. ჩვენ ვერ შევცვლით რუსეთის მთავრობას და მათ პოლიტიკას. ჩვენ ჩვენს მთავრობას უნდა მოვუწოდოთ. ასევე მოვუწოდებ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას, რომ თვითონაც გადადგას ნაბიჯები სახალხო დიპლომატიისკენ, რუსეთთან ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. მივესალმები კულტურის მოღვაწეების ნანი ბრეგვაძის, პაატა ბურჭულაძის მოქმედებას, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ რუსულ-ქართული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.

***— თუმცა, ისინი ლამის მოღალატეებადაც კი შეირაცხნენ რაღაც ნაწილის მიერ...***

— შერაცხა რამდენიმე დეგენერატმა, პირდაპირ რომ ვთქვათ. სხვათა შორის, ნიშანდობლივია, რომ პაატა ბურჭულაძეს და ნანი ბრეგვაძეს თავს დაესხნენ, ჩემს მიმართ კი მოსკოვში, მეორე ვიზიტის მიუხედავად, განსაკუთრებული თავდასხმები, ჯერჯერობით, არ შეინიშნება. სააკაშვილმა კარგად იცის, რომ პაატა ბურჭულაძე მასთან საჯარო დისკუსიაში არ შევა, მაგრამ მშვენივრად იცის, რომ მე შევალ საჯარო დისკუსიაში და ის წააგებს.

***— ამიტომაც დუმს?***

— დიახ, ამიტომ დუმს. მან ყველაზე უკეთ იცის, როგორია საზოგადოებრივი განწყობა. მან კარგად იცის, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგება უნდა და ამით პრობლემების მოგვარება. ჩვენ ორი ამოცანა გვაქვს რუსეთთან ურთიერთობებში, რომ შევინარჩუნოთ საქართველოს გაერთიანების შანსი და გადავდგათ ნაბიჯები აქეთკენ. კარგად ვხედავთ, რომ სააკაშვილი ამ ნაბიჯებს არ და ვერ დგამს. მეორე ამოცანაა, რომ დავიბრუნოთ ბაზარი და ეკონომიკური ურთიერთობები აღვადგინოთ, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქცია რუსეთში გაიყიდოს, რომ მხოლოდ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები არ მდიდრდებოდნენ. ამ ამოცანებზე მუშაობას მე ვაგრძელებ. ცხადია ძნელია, ჩვენთვის ეს სახალხო დიპლომატიაა, არც კონკრეტული მანდატი არ გვაქვს, მაგრამ ნაბიჯები მაინც უნდა გადაიდგას. ჩვენ იქ პრობლემები ვსაუბრობდით. პირველი საკითხი ტირძნისელი 4 მოსწავლის განთავისუფლებას ეხებოდა, რომ რუსეთი ჩაერთოს. როგორც ჩანს, სააკაშვილისთვის უკეთესიც კი არის, რომ ეს ბავშვები დაკავებულები არიან. აგრძელებს უაზრო დაპირისპირებას. რაც შეიძლება სწრაფად უნდა განთავისუფლდნენ ბავშვები. ამ საკითხის გარდა, საჰაერო სივრცის გახსნის საკითხიც დავსვით, პირდაპირი ჩარტერული ფრენები რომ განხორციელდეს. ასევე დავსვით ექსპორტის საკითხი, შეიძლება ეს სრული მასშტაბით ვერ მოხდეს, მაგრამ ღვინის, წყლების, ციტრუსების, ხილის ექსპორტი უნდა დაიწყოს, შეიძლება შეზღუდულად, მაგრამ ეს მაინც მნიშვნელოვანი იქნება. ეს იქნება მნიშვნელოვანი სიგნალი როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მოსახლეობისთვის, რომ ნათელი იყოს ხალხისთვის რამდენად სერიოზული პოზიტივის მოტანა შეუძლია მოწესრიგებულ ურთიერთობებს. მესმის, რომ სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს ურთიერთობები არ მოწესრიგდეს (ეს მას არ აწყობს), მაგრამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამისთვის. რუსეთის მილიონ 200 ათასი ქართველი, საქართველოდან ემიგრირებული ცხოვრობს. დაახლოებით 700 ათასი საქართველოს მოქალაქეა, მათ შორის დაახლოებით ნახევარი ამომრჩეველია, რომლებიც საარჩევნო სიაში არიან და რომელთა ხმებსაც სააკაშვილი ითვისებს. დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი მოდის არჩევნებზე. მათ შორის, ნახევარი მილიონი ამომრჩეველი რუსეთში ცხოვრობს და მათ ხმებს სააკაშვილი ითვისებს, რაც სულაც არ არის კარგი საქმე. ამ ხალხს საშუალება უნდა მიეცეს დარეგისტრირების, შემდეგ ლეგალიზების, ეს ყველაზე რთული საკითხია. შეხვედრაზე, რომელიც დიასპორასთან მქონდა, რამდენიმე სააკაშვილის მომხრეც იყო.

***— რაც ადვილი არ იყო...***

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ხელისუფლებას არჩევნების გაყალბება ძვირი დაუჯდება

# უგულავა მწვანე ნარგავებს ანადგურებს

გერა მამულაშვილი

**საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით თბილისში და დანარჩენ საქართველოში გამწვანების საშვილიშვილო პროცესი დაიწყო. თავისუფალ ადგილებში მთელი კორომები იქმნება და ამაში საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები აქტიურად მონაწილეობენ. ხელისუფლება ამ შემთხვევაში იძულებულია, ბუნების მზარდი ხელყოფის მაგივრად, მის გადარჩენასა და განვითარებაზე იფიქროს.**



„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „მწვანეთა პარტიის“ ხელმძღვანელი გიორგი გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ ქვეყანაში მთელი რიგი მწვანე მასივების განადგურების ფონზე, საპატრიარქოს ინიციატივით მასობრივი გამწვანების პროცესის დაწყება მეტად საშუარი საქმეა. მისივე თქმით, ხელისუფლება სხვადასხვა სამშენებლო პროექტს ისე ახორციელებს, რომ აუცილებელ ექსპერტიზებს, მათ შორის, ეკოლოგიურს საერთოდ არ უტარებენ. გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ მსგავსი კანონდარღვევები ქვეყნის შიგნით აუცილებელი პროცედურების გავლის შემდეგ საერთაშორისო სასამართლოებში გასაჩივრდება.

***— როგორ აფასებთ ქალაქში და მთელ ქვეყანაში საპატრიარქოს ინიციატივით გამწვანების პროცესის დაწყებას?***

— ეს ინიციატივა უშუალოდ პატრიარქმა გამოაცხადა, იმიტომ რომ ეს ხელისუფლება და განსაკუთრებით ქალაქის მერია, უგულავას მეთაურობით, ფაქტობრივად, ანადგურებს თბილისის გამწვანებას. აქ ლაპარაკი აღარ არის ორი-სამი ხის მოჭრაზე, ადრე რომ ავტოფარეხებისა რესტორნებისთვის კეთდებოდა. უკვე საუბარია მთელი რიგი მწვანე მასივების განადგურებაზე.

სწორედ ასეთი მასივები გაანადგურეს დიღომში, საბურთალოზე, რესპუბლიკური საავადმყოფოს გვერდით, პავლოვზე; ასევე გაანადგურეს მწვანე მასივი აეროპორტის დასახლების ტერიტორიაზე.

მწვანე მასივებს ვამბობ ისეთ ადგილებზე, სადაც 250-300 ხეს ჭრიან ერთ ღამეში, თავიანთი მიზნებიდან გამომდინარე. ამიტომ არის, რომ საპატრიარქო ამის გამო ძალიან შეწუხებულია და, ბუნებრივია, ჩვენც მივესალმებით ინიციატივას ამასთან დაკავშირებით. ჩვენი პარტიაც გაზაფხულზე უშუალოდ და აქტიურად ჩაერთვება ამ გამწვანების პროცესში.

***— მერიაში შექმნილი გამწვანების სამსახურის მუშაობა ამ თვალსაზრისით რამდენად შედეგიანი აღმოჩნდება?***

— ეს სამსახური დაახლოებით ორი თვეა შეიქმნა, რადგან არა მარტო მწვანეთა პარტიამ და ეკოლოგიური სამართლის ცენტრმა, ბევრმა პოლიტიკურმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ საზოგადოება ფაქტის წინაშე დააყენა, რომ საქმე აქვთ ბარბაროსებთან ქალაქის მერიის სახით. მერიის მხრიდან ეს ჩვეულებრივი პიარის ამბავი იყო, რომ თითქოსდა ასე ზრუნავენ თბილისის გამწვანებაზე; რომ უკვე სამსახურსაც კი ქმნიან ეკოლოგიის დაცვის თვალსაზრისით.

თუ უნდოდათ, გარემოს დაცვის კომიტეტი რომ არსებობდა თბილისის მერიაში, როცა მობრძანდნენ ხელისუფლებაში, არ უნდა გაეუქმებინათ, იმიტომ რომ იქ დარგის უამრავი პროფესიონალი კადრი მუშაობდა.

***— რა მოსაზრებებით გააუქმეს მაშინ ის სამსახური?***

— მოსაზრებებს ვინ კითხულობს ამ ქვეყანაში? ისე ქმნიან და აუქმებენ სამსახურებს, რომ, კაცმა არ იცის, რა უდევთ ამ გადაწყვეტილებების მოტივად. მოუნდება ვილაცას, დილით გაიღვიძებს ცუდ ხასიათზე და გააუქმებს, გაიღვიძებს კარგ ხასიათზე, პირიქით გააკეთებს ყველაფერს და ა.შ. სად არის აქ მოტივირება? ამას ვერ ვხედავ მათ საქციელში.

***— დიღმის ტყე-პარკის საკითხი***

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# სააკაშვილი მოსკოვში ემისრებს აგზავნის

დასაწყისი მე-5 გვერდზე

— პრობლემა არ არის, სააკაშვილის მომხრეებიც რომ არსებობენ, ესეც კარგად ვიცით.

***— ანუ ეს ხალხი იყო იმ დარბაზში?***

— არა, მხოლოდ ეს ხალხი არა. ასეთი სულ 7 ადამიანი იყო 220 ადამიანს შორის. ის 7 ადამიანი განსაკუთრებით ვოკალური მონაცემებით გამოირჩეოდა. ეს იყო დაგეგმილი პროვოკაცია, მაგრამ ეს არ არის პრობლემა. შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო და კმაყოფილი ვარ ამ შეხვედრით, განხილვებით. სხვათა შორის, კმაყოფილი ვარ პროვოკაციული შეკითხვებითაც. მესმის, რომ ეს შეკითხვები სხვაგან დაიგეგმა.

***— ბატონო ზურაბ, ისევ პრიმაკოვის თემას რომ დავუბრუნდეთ, რეალურად რა შთაბეჭდილება შეგექმნათ, როდესაც პრიმაკოვს შეხვდით?***

— ჩვენ არ უნდა გვქონდეს განსაკუთრებით დიდი მოლოდინი ერთი განცხადების. ომი რაღაც ერთი წელია, რაც დამთავრდა. მტრული და კონფრონტაციული ურთიერთობები უცებ მეგობრობაში რომ გადაიზრდება, ტყუილია, ეს შეუძლებელია. ნაბიჯებია გადასადგმელი, სერიოზული ძალისხმევაა საჭირო. ერთი რამ ნათელია, ბატონ ევგენი პრიმაკოვს მისი გავლენის, კავშირების, სიტუაციის ცოდნის გამო შეუძლია განსაკუთრებული დადებითი როლი ითამაშოს ურთიერთობების მოწესრიგებაში. არა მხოლოდ შეუძლია, მზადაც არის ამისთვის პრიმაკოვი.

***— მოსკოვში კიდევ გექნებათ ვიზიტი?***

— როდესაც გადაწყვეტილებების მიღების კონტურები გამოიკვეთება იმ საკითხებზე, რაზეც უკვე შედგა საუბარი, ალბათ წლის ბოლოსთვის კიდევ წავალ კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად.

***— ბატონო ზურაბ, რას იტყვით შიდა პოლიტიკურ პროცესებზე. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განცხადება გააკეთა, რომ ადგილობრივი არჩევნები 2010 წლის მაისში ჩატარდება...***

— ძალიან კარგი, მაგრამ პრეზიდენტის ადმინისტრაციას და პრეზიდენტს ბევრჯერ უთქვამთ დიდი ტყუილები.

***— შეიძლება არ ჩატარდეს ადგილობრივი არჩევნები?***

— ჯერ დანიშნული არ არის. სააკაშვილისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს არჩევნები მისი მოგებით გაფორმდეს. ეს არის შეუძლებელი. ეს ძალიან ცუდად დამთავრდება მისთვის, მაგრამ ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ხელისუფლება არჩევნებით შეიცვალოს. არავის სჭირდება მთავრობა, რომელიც საქართველოს გაერთიანებაზე და განვითარებაზე არ იზრუნებს. ასეთი მთავრობა გვყავს და მეორე ასეთი არ გვჭირდება. სააკაშვილს უნდა, რომ საარჩევნო სისტემა თავის თავზე მოირგოს, რომელიც მხოლოდ მას მისცემს გამარჯვების საშუალებას. ნებისმიერი სისტემით ჩვენ ვიქნებით მზად, რომ არჩევნებში მივიღოთ მონაწილეობა, ვმუშაობთ, რომ საზოგადოებრივი მხარდაჭერა გვქონდეს. ჩვენი სურვილია, რომ ფართო ოპოზიციური გაერთიანება შედგეს და კანდიდატურები პრაიმერით შეირჩეს. ბევრად უფრო რთულია ოპოზიციის გაერთიანება საპარლამენტო არჩევნებისთვის.

***— თუ ადგილობრივი არჩევნები გაყალბდა, გადამწყვეტი შეიძლება ეს იყოს ამ ხელისუფლებისთვის?***

— თუ სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ გარისკა არჩევნების გაყალბება, ეს ძალიან მძიმე შედეგებით დამთავრდება, პირველ რიგში, მათთვის. ეს აღარ არის 2008 წლის 5 იანვარი, არც 2008 წლის 21 მაისი. საქართველოს პოლიტიკური სპექტრი ბევრად უფრო მრავალფეროვანი და ძლიერია. პირობას გაძლევთ, რომ ეს ასე ადვილად არ დამთავრდება.

# რა დგას საბაჟო კავშირის უკან

გერა მამულაშვილი



**რუსეთმა, ბელორუსმა და ყაზახეთმა ერთიანი საბაჟო კავშირი შექმნეს. რიგში ყირგიზეთი და ყაზახეთი დგანან. დამოუკიდებელი ექსპერტები აღნიშნულ ინტეგრაციას დიდ პერსპექტივებს არ უწინასწარმეტყველებენ.**

დმიტრი მედვედევმა, ალექსანდრ ლუკაშენკომ და ნურსულთან ნაზარბაევმა მინსკში „ევრაზესის" საბჭოს ჩარჩოებში ხელი მოაწერეს დოკუმენტების პაკეტს, რომელიც 2010 წლის 1 იანვრიდან საბაჟო კავშირის შექმნას ითვალისწინებს. თვითონ საბაჟო კავშირი საბაჟო კოდექსის ძალაში შესვლისთანავე ამოქმედდება. ეს მოხდება 2010 წლის 1 ივლისს. მაშინვე გაუქმდება საბაჟო კონტროლი რუსეთ-ბელორუსის საზღვარზე, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ ეს რუსეთ-ყაზახეთის საზღვარზე განხორციელდება.

„ევრაზესის" სახელმწიფოთაშორისო საბჭოს შედეგებზე საუბრისას ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ აღნიშნა, რომ მინსკმა, მოსკოვმა და ასტანამ ერთიანი საბაჟო ტარიფის შემოღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს, ეს კი კავშირის პირველი გადამწყვეტი შემადგენელი ნაწილია.

— ჩვენი საბოლოო მიზანი ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნაა, ხოლო საბაჟო კავშირი ამ გზაზე მიზნის მიღწევისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია, — აცხადებს ლუკაშენკო.

— ეს მოვლენები სხვადასხვა მხარესაა მიმართული: ბელოვეჟის ტევრში მომხდარი მოვლენების შედეგად ახალი სახელმწიფოები შეიქმნა, ხოლო ის, რაც დღეს მოხდა, საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით, საბაჟო კავშირის შექმნას გულისხმობს, — აცხადებს პრეზიდენტი მედვედევი.

კავშირის საერთო სატარიფო გეგმის ფორმირებისთვის საფუძვლად რუსეთის ფედერაციის მოქმედი გადასახადების 92 პროცენტია აღებული — ყაზახეთს ხუთი ათასზე მეტი ტარიფის შეცვლა მოუწია.

როგორც ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი თვლის, საბაჟო კავშირის შექმნა რუსეთს 400 მილიარდი დოლარის შემოსავალს მოუტანს, ხოლო ბელორუსიასა და ყაზახეთს — 16 მილიარდზე მეტს.

— რუსეთის, ბელორუსიისა და ყაზახეთის ერთიანი შიდა პროდუქტი შეადგენს 2 ტრილიონ დოლარს, ხოლო სამივე ქვეყნის ერთობლივი ტვირთბრუნვა — 900 მილიარდ დოლარს, — ამატებს ნაზარბაევი. მისივე აზრით, მათ საბაჟო კავშირს მსოფლიო ენერგეტიკულ და ხორბლის ბაზრებზე ძირითადი პოზიციების დაკავება შეუძლია.

— ჩვენი სამი ქვეყნის ერთობლივი სანავთობო რეზერვები 90 მილიარდ ბარელს შეადგენს. ჩვენ ენერგორესურსების ბაზარზე ძირითადი მოთამაშე ვხდებით, — ამბობს ყაზახეთის პრეზიდენტი. ის ასევე აღნიშნავს, რომ სამ ქვეყანაზე „ხორბლის მსოფლიო ექსპორტის 17 პროცენტი მოდის".

მინსკში დოკუმენტებზე ხელმოწერის შემდეგ პრეზიდენტი მედვედევი აცხადებს, რომ საბაჟო კავშირის ქვეყნები პირველად შეთანხმდნენ, სუვერენიტეტის ნაწილი ზენაციონალურ ორგანოს გადააბარონ და აქვე ამბობს, რომ პერსპექტივაში საბაჟო კავშირს სხვა სახელმწიფოებიც შეუერთდებიან.

# ინგუშეთში მილიციის მაღალჩინოსანი მოკლეს

ინგუშეთის სუნჟის რაიონში უცნობმა პირებმა ქარაბულაქის შს მთავარი სამმართველოს უფროსის ადილ-ქირიმ ცეჩოევის ავტომანქანა ააფეთქეს.

ცეჩოევი მიღებული ჭრილობების შედეგად, საავადმყოფოში გარდაიცვალა. ადგილობრივი წყაროების ცნობით, აფეთქების სიმძლავრე 500 გრამი ტროტილის ექვივალენტი იყო.უცნობმა პირებმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა შეძლეს.

**მედიანიუსი**

# სასწრაფოდ უნდა მოხდეს ოპოზიციის ლიდერების ლუსტრირება!

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***— რაც მოხდა საარჩევნო კოდექსთან მიმართებაში, ხელისუფლებას აწყობდა 30%-იანი ბარიერი და ოპოზიციამ მოაწერა ხელი, ეს თავიდანვე იყო განსაზღვრული, თუ როგორც კულუარებში ამბობენ, თითქოს ზეწოლა იყო ხელისუფლების მხრიდან?***

— არანაირი ზეწოლა, ის ხალხი, რომელიც ამას აწერს ხელს, ისინი დიდი ხანია ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ და ხელისუფლების ნასუფრალით იკვებებიან. რად უნდათ ზეწოლა, პირიქით, თვითონ ერთი სული აქვთ, ოღონდ ხელისუფლებამ სათანამშრომლოდ დაუძახოს. იქით ეხვეწებიან, ოღონდ ერთი დეპუტატი გააყვანინონ, ერთი რომელიმე კომერციული სტრუქტურა აამუშავებინონ, ერთი-ორჯერ ტელევიზიაში გამოიყვანონ, ერთი-ორი საკრებულოს წევრი დაუთმონ. თვითონ ეხვეწებიან. რა ზეწოლა სჭირდებათ ამათ, არ მესმის. უტვინოა ის, ვინც ამათთან ერთად ჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან. ჩემთვის გაუგებარია, ის ადამიანები, რომლებსაც რეალურად არ შეუძლიათ დაუპირისპირდნენ სისტემას, ისინი თავის თავს მოიაზრებენ ოპოზიციურ სპექტრში. ამათთან მაგიდასთან დაჯდომა კი არა, საერთოდ ურთიერთობა არ შეიძლება.

***— ანუ იმ ოპოზიციასთან, ვინც საარჩევნო კოდექსზე მუშაობდა და ვინც რეალურად ხელისუფლების პოზიციას იზიარებს, ერთნაირად ეკისრება პასუხისმგებლობა სააკაშვილის ხელისუფლებასთან ერთად დამდგარ შედეგებზე?***

— ბუნებრივია. მაგრამ მეორეს მხრივ, ხელის ბიჭებს რა პასუხისმგებლობა უნდა დააკისრო, თორემ ესენი რომ ქვეყნის გამყიდველები არიან და სააკაშვილზე უარესები რომ არიან, ფაქტია. სააკაშვილზე საზიზღრები არიან. სააკაშვილი გასაგებია, რომ მტერია და იქცევა, როგორც მტერი. ამ მხრივ ყურადღებასაც იმსახურებს, მაგრამ ესენი რომ ვითომ კაი ტიპები და ვითომ ოპოზიციონერებია, ესენი უფრო საძაგლები არიან. ცირკის მეძავებივით დგანან და ელოდებიან ხელისუფლების წარმომადგენლები როდის დაუქნევენ თითს, მანქანაში რომ ჩაუსხდნენ. ეს არის უბედურება.

***— როგორ ფიქრობთ, რა პოზიცია უნდა აირჩიოს ალიანსმა, რომელმაც რეალურად 50%-იანი ბარიერი ვერ მიიღო, საერთოდ გადახედოს თუ არა არჩევნებში მონაწილეობის საკითხს?***

— დღეს, მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ალასანია გარკვეულ სიმპათიას იმსახურებს, სამწუხაროდ, ის მთლიანად მოქმედებს პრესპუბლიკური პარტიის პროგრამის. რესპუბლიკური პარტიის მთელი ამ ხნის მეთოდიკა არის არა რეალური ბრძოლა, არამედ საარსებო ელემენტარული მისთვის საჭირო სივრცის მოპოვება. ხან ვის აეკიდებოდნენ რესპუბლიკელები, ხან ვის. პრაქტიკულად ბოლო პერიოდის პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ მუდამ ლოკომოტივის ძიებაში იყვნენ. ამავე სტრატეგიას თუ გააგრძელებს ალასანია, მისი პოლიტიკური მომავლის კრახი გარდაუვალი იქნება. თუ არ გააგრძელებს და მიიღებს ნორმალურ გადაწყვეტილებას, მას კიდევ აქვს შანსი იბრძოლის. მაგრამ იმ მოედანზე, რომელ მოედანზეც მას რესპუბლიკელები ეპატიჟებიან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სააკაშვილის მოედანზე, ალასანიას არანაირი პერსპექტივა არა აქვს.

***— ბატონო მამუკა, თქვენ ფიქრობთ, რომ ალასანია მეორე ჯგუფის მხარეს უნდა დადგეს, რომელიც გამოსავალს უფრო საპროტესტო აქციების გაგრძელებასა და რადიკალურ ნაბიჯებში ხედავს?***

— მე არ ვსაუბრობ არც აქციებზე და არც არჩევნებზე. ერთიც და მეორეც არის საშუალება, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მაგრამ თუ არ ებრძვი ტირანიას, ერთიც და მეორეც ფაქტობრივად არის ფარისევლური ქცევა, ანდა ბრძოლა პირადი კეთილდღეობისთვის. მე რეალურ ბრძოლაზე ვსაუბრობ. არჩევნებზეც უნდა იყოს ბრძოლა, აქციებიც უნდა იყოს, პიკეტირებაც უნდა იყოს, კონფერენციებიც უნდა იყოს, შესაბამისი კონცეფციების წარმოდგენაც უნდა იყოს. ეს არის კომპლექსური ბრძოლა და არ შეიძლება რომელიმე ერთი საშუალების, ერთი მეთოდის არჩევა. უფრო მეტს მოიგებდა ალიანსი გარედან ზეწოლის მექანიზნების ამუშავებით, ვიდრე ვანო მერაბიშვილთან მოლაპარაკებით და საარჩევნო კომისიაში ჩართვით.

***— მოლაპარაკებებს აწარმოებდა ვანო მერაბიშვილთან ალიანსი?***

— გახსოვთ, ალბათ, უშიშროების საბჭოში მისვლა, შინაგან საქმეთა სამინისტროში მოლაპარაკებები. ელემენტარული საკითხია, გარედან მკაცრი პოზიციის გამოჩენით უფრო მეტს მიაღწევ ამ ხელისუფლებასთან, ვიდრე მათ მოედანზე შესვლით და ხვეწნით შემდეგ რომ იქიდან უკეთესი გარემო შექმნა. ჩემი აზრით, ეს იყო შეცდომა, ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გავარკვიოთ ამ ხელისუფლებასთან ამ მეთოდიკით ბრძოლა რომ ამ შეიძლება.

***— ფიქრობთ, ოპოზიცია ეხვეწება, სახვეწრად დაუდგა საქმე?***

— ბუნებრივია, სახვეწარი გაუხდა. ნაწილი ხელისუფლებას ეხვეწება ლუკმაპურს, ხოლო დანარჩენი ეხვეწება, იმიტომ, რომ პრაქტიკულად როგორც კი თავისი საქმე მოამთავრა და როგორც კი მეტნაკლებად გააკეთებინა ალიანსს სააკაშვილმა თავისი საქმე, ასე ვთქვათ, მუხტი დააგდებინა დაბლა, მაშინ ენდი-ის ოფისიდან საარჩევნო თემატიკა გადაიტანა პარლამენტში, სადაც ალიანსი არ არის წარმოდგენილი და მარტო ის ჯგუფებია წარმოდგენილი, რომლებიც სააკაშვილის ხელის აქნევაზე იმას გააკეთებენ, რას მას სჭირდება. უკვე ნათლად ჩანს, რომ გამოიყენა ის ადამიანები, რომლებმაც რატომღაც ჩათვალეს, რომ სააკაშვილთან ასეთი თანამშრომლობით შედეგის მიღწევა შეიძლებოდა. ფაქტი სახეზეა, ალიანსი უკვე ამოაგდეს ამ პროცესებიდან. ისღა დარჩენია ალიანსს, ისევ გარედან ზეწოლით და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართვით, ისევ აქციებით, ისევ რაღაც კონკრეტული ქმედებებით მოახდინოს ზემოქმედება. რატომ შეუწყვეს ხელი სააკაშვილს, რატომ ჩაუკალით ის მუხტი, რომელიც თბილისში იყო გაზაფხულზე. საკუთარი გადაწყვეტილების მსხვერპლი ხდებიან, საერთოდ რესპუბლიკელები მუდმივად მსხვერპლი იყვნენ საკუთარი გადაწყვეტილებების. დაუჭირეს მხარი ჟვანიას, ჟვანიამ გამოაგდო, დაუჭირეს მხარი სააკაშვილს, სააკაშვილმაც გამოაგდო. დაუჭირეს მხარი საპროტესტო აქციების არგამართვას და შედეგი პრაქტიკულად სახეზეა. არ შეიძლება სააკაშვილთან ამ რეჟიმით თანამშრომლობა, ამ ხალხმა ვერ გაიგო. ახლა უკვე ყოველგვარ ზღვარს გადადის ზოგიერთი მათგანის საქციელი და დადგა დრო, რომ უკვე ჯანსაღი ოპოზიციური სპექტრი გაემიჯნოს ამ ადამიანებს.

***— აუცილებელია თუ არა დროულად ოპოზიციის ლიდერების ლუსტრირება, რათა საზოგადოებამ გაიგოს, ვინ რა თამაშს თამაშობს?***

— დიდ ხანია ამისი დროა. სანამ ეს არ გაკეთდება, საქმე ვერ მოიგებს.

# უგულავა მწვანე ნარგავებს ანადგურებს

დასაწყისი მე-5 გვერდზე

***ახსენეთ. იქ საპროტესტო აქციაზე ადგილობრივი მოსახლეობაც იყო გამოსული. როგორ განვითარდა იქ პროცესები?***

— მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა იქ საშინელ პროტესტს გამოხატავდა, ჩვენც ჩართული ვიყავით და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებიც, აქციებიც ჩატარდა და პრესკონფერენციებიც, არაფერიც არ მომხდარა. საქართველოში სასამართლო ხელისუფლება, როგორც ასეთი, ფაქტობრივად, ხომ არ არსებობს. სადაც გინდა, მიდი, ფეხებზე ჰკიდიათ, გინდათ აქ იჩივლეთ, გინდათ — იქ. მაინც, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ.

საერთოდ, დიღმის ტყე-პარკი უნიკალური დანიშნულებისაა. იგი ჯერ კიდევ კომუნისტების დროს შეიქმნა, 30-იანი წლების შემდეგ. მისი უშუალო დანიშნულება იყო რეკრეაციული ზონის შექმნა მოსახლეობისა და თბილისისთვის. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ტყე-პარკში არის უნიკალური, წითელ წიგნში შეტანილი ჯიშებიც. აქ სწორედ ამაზეცაა საუბარი. მაგრამ რა უნდა ელაპარაკო? ადგნენ და, ჩვენ მაინც გავაკეთებთ, რაც გვინდა, ხეებს მოვჭრით და გავყიდით ამ ტერიტორიასო. ჩვენ, მაგალითად, „მზიურის" მშენებლობასთან დაკავშირებით უკვე ორი სასამართლო პროცესი გვქონდა. რა თქმა უნდა, ამ სასამართლოში გინდა შეიტანე, გინდა გამოიტანე. ბოლოს საქალაქო სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი გვითხრეს და ახლა უფრო მაღალ ინსტანციებში ვასაჩივრებთ, თუმცა, არ მგონია, რომ იქაც რაიმეს მივაღწიოთ, მაგრამ ჩვენ ეს პროცედურა გვჭირდება იმიტომ, რომ საქართველოში ამოვწუროთ ეს პროცესი, როგორც ამას საერთაშორისო სამართალი მოითხოვს. მერე, ალბათ, მოგვიწევს საქმის შეტანა საერთაშორისო სასამართლოებში. აქ რა სამართალი უნდა იპოვო? მაგრამ, რაც საზოგადოებამ იცის ჩვენს სასამართლოებთან დაკავშირებით, ერთია. საერთაშორისო გამოკითხვები და შეფასებებიც არსებობს ამ საკითხზე. სულ რამდენიმე ხნის წინ დავოსის მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა გამოაქვეყნა ფანტასტიკური კვლევები მსოფლიოს 133 ქვეყანაზე. ამ გამოკვლევას ქვეყნის კონკურენტუნარიანობა ჰქვია. ძალზე საინტერესო რეიტინგია. საქართველო 133 ქვეყანაში 90-ე ადგილზე აღმოჩნდა აფრიკის ქვეყნების გვერდით. იქ შეფასების ბევრი ინდიკატორია და ერთ-ერთია სასამართლოსთან დაკავშირებული პრობლემატიკა. „სასამართლო ხელისუფლების თავისუფლება" — ასე ჰქვია. 117-ე ადგილზეა საქართველო ამ მხრივ მსოფლიოში ამ 133 ქვეყანას შორის. რაღა უნდა ილაპარაკო კაცმა?

***— „მზიურში" გზის მშენებლობა ახსენეთ. თქვენ სასამართლოში ასაჩივრებთ, მაგრამ იქ უკვე სერიოზული მშენებლობებია დაწყებული...***

— ვის აინტერესებს შენი სარჩელი და სასამართლო? ისინი უკვე მუშაობენ. თქვენ წარმოიდგინეთ, მშენებელი ერთ-ერთ რადიოში გამოვიდა და ჰკითხეს — ამ მშენებლობაზე პროექტი საერთოდ გაქვთო? პასუხი გასცა, თან ვაკეთებთ და თან პარალელურად ვაპროექტებთო. ასეთი რამ საერთოდ გაგიგიათ? ე.ი. პროექტი არც ეკოლოგიურად არის შეფასებული და არც არანაირად.

ადრე ჩვენ მიერ შექმნილი კანონმდებლობა მკაცრად ითხოვდა, რომ ნებისმიერ პროექტს შედგენისას უმკაცრესი ეკოლოგიური ექსპერტიზა გაევლო. უნდა შეფასებულიყო გარემოს ზიანი და ა.შ. ახლა უკვე მსგავსი აღარაფერი კეთდება, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ. რაზე უნდა ესაუბრო მათ? ჩვენ მაინც ვიბრძოლებთ და ვნახოთ, რა გამოვა.

***— დაბოლოს, ბრძანეთ, რომ მწვანეთა პარტია გამწვანების პროცესში საკუთარი წვლილის შეტანას აპირებს. უფრო კონკრეტულად, რას გეგმავთ?***

— ჩვენ შევარჩევთ ერთ ტერიტორიას თბილისში ან მის მიმდებარე ტერიტორიას და მასზე გამწვანების ვალდებულებას ავიღებთ, სხვადასხვა წერტილში — არა, ერთ კონკრეტულ ადგილას, რომ ერთი კარგი მწვანე კორომი გაშენდეს.

# საქართველოში საწვავის ხარისხი დამაკმაყოფილებელია

**საწვავთან დაკავშირებული საკითხები არაერთხელ მოხვედრილა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. საზოგადოებას მუდმივად აინტერესებს, რა ხარისხის საწვავს მოიხმარს, რამდენად კეთილსინდისიერად ემსახურებიან ავტოგასამართ სადგურებზე, რამდენად შესაბამისობაშია საერთაშორისო ფასები ადგილობრივ ფასებთან, ყველა ეს კითხვა მუდმივად აქტუალურია.**

შორენა გონგლაძე

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირმა და სერთიფიცირების ორგანო „მონიტორინგის" ინიციატივით დაიწყო საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე რეალიზებული საწვავის ხარისხობრივი მონიტორინგი, თუმცა, მკითხველს შევახსენებთ, რომ აღნიშნული მონიტორინგი ნებაყოფლობითია, თუმცა, საინტერესოც. საინტერესოა იმ მხრივ, რომ თუ მე ვარ მეწარმე და ჩემ მიერ შემოტანილ საწვავში ეჭვი არ მეპარება, ამის დასამტკიცებლად სერთიფიცირების ორგანოს სიამოვნებით მივცემ შემოწმების უფლებას, თუ არა... მაშინ ყველაფერი ისედაც გასაგები ხდება. მოკლედ, პროცესი დაიწყო და უხეშად რომ ვთქვათ, თეთრი და შავი სულ მალე გამოჩნდება. პირველი კომპანია, რომელიც აღნიშნულ ინიციატივას გამოეხმაურა „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმია". მონიტორინგში მონაწილეობა მიიღეს ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირმა, ნავთობპროდუქტების სერთიფიკაციის ორგანო „მონიტორინგმა", კავკასიის რეგიონული ეკოლოგიური ცენტრი „რექ-კავკასიის" და ფონდი „ქართული ხარისხის" წარმომადგენლებმა. სინჯების აღება მოხდა ავტოგასამართ სადგურებზე, რომელიც განახორციელა აკრედიტებულმა ექსპერტმა მეცნიერებათა დოქტორმა ალექსანდრე ფერიაშვილმა, სინჯები დაილუქა და გადაიგზავნა ლაბორატორია „მაგი"-ში. ადგილზევე შემოწმდა საწვავის ჩასხმის სიზუსტეც. რაც შეეხება შემოწმებული საწვავის ხარისხობრივ მაჩვენებელს, ლაბორატორიის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, ბენზინის საზავავში ოქტანური რიცხვი შეადგენს 92.8 (მოქმედი კანონმდებლობით კი უნდა იყოს არანაკლებ 91) ტყვიის კონცენტრაცა-0.0028 გრ.დმ3. (მოქმედი კანონმდებლობით უნდა იყოს არა უმეტეს 0.013) რაც იმას ნიშნავს, რომ საწვავში ტყვიის არსებობა ფაქტიურად გამოირიცხა. არომატული ნაერთების მოცულობითი წილი 30% (მოქმედი კანონმდებლობით არის 45%), გოგირდის მასიური წილი — 147-150( კანონმდებლობით უნდა იყოს არა უმეტეს 500), ბენზოლის მოცულობითი წილი — 4.0% (კანონმდებლობით 5%).რაც შეეხება დიზელის საწვავის ლაბორატორიულ შედეგებს, ცეტანის რიცხვი შეადგენს 48.2, მოქმედი კანონმდებლობით 45, აფეთქების ტემპერატურა 63-68, მოქმედი კანონმდებლობით არანაკლებ 62, გოგირდის მასიური წილი — 268-274, მოქმედი კანონმდებლობით უნდა იყოს არა უმეტეს 350. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი შემოწმების შედეგად მიღებული შედეგებით კმაყოფილია და აცხადებს, რომ საწვავის ხარისხის მონიტორინგი პერნამენტულად უნდა განხორციელდეს, მათ შორის რეგიონებში და ნაკლებად ცნობილ კომპანიებში, თუმცა, მისი თქმით, სასურველია, რომ თვითონ კომპანიების მხრიდან იყოს თანამშრომლობისათვის მზადყოფნა, რაც იმის გარანტი იქნება, რომ მომხმარებელს და თვით რეალიზატორ კომპანიას ყოველთვის ექნება ობიექტური ინფორმაცია საწვავის ხარისხთან დაკავშირებით.



— ჩვენ პირველ ეტაპზე მიზნად დავისახეთ აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ა-92 ტიპის ბენზინის საწვავისა და ელ- 62 ტიპის დიზელის საწვავის ხარისხობრივი შემოწმება, ვინაიდან საქართველოს ადგილობრივ სანავთობო ბაზარზე აზერბაიჯანულ საწვავს საკმაოდ სოლიდური წილი უკავია. კერძოდ, ბენზინს მოხმარებულის 50 პროცენტი, დიზელის საწვავს კი 75 პროცენტი. ასეთი მასშტაბური მონიტორინგი ბოლო წლების განმავლობაში არ განხორციელებულა. საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ ვახორციელებთ მოქმედი სტანდარტის გადავადებას, ამიტომ ყოველთვის არის საუბარი იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება აზერბაიჯანული საწვავი ევროსტანდარტის ნორმებს, რამდენად მიმდინარეობს იქ გადაიარაღების პროცესი. მინდა გითხრათ, რომ ამ მონიტორინგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, თუნდაც ის, რომ დღეს აზერბაიჯანულ საწვავში მთელი რიგი კომპონენტების, როგორიაცაა ტყვიის შემცველობა, არომატული ნახშირწყალბადები გოგირდი, ეს, შეიძლება ითქვას, ევროსტანდარტებს აკმაყოფილებს, ერთადერთი კომპონენტი არის ბენზოლი, რომელიც არის შედარებით მეტი, თუმცა, მთლიანობაში ამ საწვავმა ბოლო წლების განმავლობაში დიდი ცვლილებები განიცადა უკეთესობისკენ, ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, ვინაიდან საქართველოს ბაზარზე აზერბაიჯანულ საწვავს მნიშვნელოვანი წილი უკავია, ანუ დღეს უკვე აზერბაიჯანული საწვავი აკმაყოფილებს მოქმედ სტანდარტს და მთელი რიგი კომპონენტების მხრივ ის ევროსტანდარტების ნორმებში ჯდება და რაც მთავარია, რაც საზოგადოებას ყველაზე მეტად აინტერესებს, ეს არის ტყვიის შემცველობა, მასში ტყვიის შემცველობა ფაქტიურად არ არის. — აცხადებს მთვრალაშვილი.

კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ იობაშვილი ამბობს, რომ ამგვარი მონიტორინგები საზოგადოების ინფორმირებულობის მხრივ საკმაოდ მნიშვნელოვანია.

— ამ კომპანიამ გადადგა პირველი ნაბიჯი, რათა საზოგადოებას დაენახა, რა ხარისხის საწვავს მოიხმარს. ჩვენ დღეს ყველანი დავრწმუნდით იმაში, თუ როგორი ხარისხის საწვავი იყიდება, თუ როგორი კეთილსინდისიერი მომსახურებაა მის ავტოგასამართ სადგურებზე, თუ როგორი სიზუსტით ასხამს, მე გაოცებული ვარ, სიმართლე გითხრათ, იმით, რაც ვნახე, ასპროცენტიანი ჩასხმა დაფიქსირდა. რაც შეეხება დანარჩენ კომპანიებს, ეს არის ნებაყოფლობითი, ჩვენ დიდი სიამოვნებით მოვემსახურებით ანალოგიურად ნებისმიერ კომპანიას, ჩავატარებთ მონიტორინგს, თუმცა, ეს არის მათი ნება-სურვილი. მაგრამ ის, რომ საქართველოში უნდა ხდებოდეს პროდუქტის სერთიფიცირება, რომელიც შემოდის, მართალია მას ახლავს თან წარმოშობის სერთიფიკატი, თუმცა, დარწმუნებული ვარ იმაში, რომ სერთიფიცირების შესაბამისობა უნდა ხდებოდეს, ჩვენ არავის არ უნდა მივცეთ უსაფუძვლო ლაპარაკის საბაბი. ჩვენ ამ მონიტორინგით დავრწუნდით, აღნიშნულ საწვავში თუ რამდენი იყო ტყვიის შემცველობა, ანუ იყო იმაზე ნაკლები, რაც არის ნორმით დაშვებული, ამ დროს კი ვიღაც უვიცი ყვირის, რომ სწვავში არის ტყვია. ამიტომ ვფიქრობ, რომ სწორედ ამგვარი მონიტორინგებით შეიძლება საზოგადოებას მივაწოდოთ ობიექტური და უტყუარი ინფორმაცია. — განაცხადა იობაშვილმა.

# ამერიკელი პატრონი ინდაურს ქვაბის ნაცვლად კატარაქტის ოპერაციისათვის ამზადებს

აშშ-ის მასაჩუსეტსის შტატის მკვიდრმა ერთ-ერთმა ქალბატონმა მადლიერების დღეს, გარდა იმისა, რომ აშშ-ის პრეზიდენტს მიბაძა და დასაკლავად განწირული ინდაური შეიწყალა, ფრინველის მკურნალობაც გადაწყვიტა.



როგორც ირკვევა, ინდაურს, მეტსახელად ჯერის, კატარაქტა სჭირს და ოპერაცია არც ისე იაფი სიამოვნება იქნება. მიუხედავად ამისა, დიასახლისმა შემოწირულობების შეგროვება დაიწყო.

25 წლის ლინდსი მედეიროსმა ჯერი ერთ-ერთ ადგილობრივ ფერმაში შეიძინა.

— ზოგჯერ ისე ხდება, რომ ცხოველი ან მისი ისტორია თქვენზე ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს. ეს შემთხვევა სწორედ ასეთია, — აცხადებს მედეიროსი.

კატარაქტისაგან განკურნების შემდეგ ინდაურს „მეუღლეს" დაუბრუნებენ და შესაძლოა შთამომავლობაც შეეძინოს. მედეიროსის თქმით, ჯერის ოპერაცია 2-2.6 ათასი დოლარი დაჯდება. მან ჯერჯერობით ხუთასი დოლარის შეგროვება მოახერხა.

— დიდ მხარდაჭერას არ ველი, მით უმეტეს, რომ ფულს ინდაურისათვის ვაგროვებ, — განაცხადა გოგონამ, პროფესიით ვეტერინარის თანაშემწემ, — არ ვაპირებ, ვინმეს პური ან გაჭირვებული ადამიანებისათვის გადადებული ფული წავართვა.

აშშ-ში მადლიერების დღეს ნოემბრის მეოთხე ხუთშაბათს აღნიშნავენ და ამ დღეს სუფრაზე მთავარი ინდაურისაგან დამზადებული კერძია.

დღესასწაულის ისტორია 1620 წლიდან იწყება, როდესაც ინგლისელი პურიტანები გემ „მეიფლაუერიდან" დღევანდელი მასაჩუსეტსის ნაპირზე გადასხდნენ.

XX საუკუნეში ამ დღესასწაულს ახალი ტრადიცია დაემატა. მადლიერების დღეს პრეზიდენტები ინდაურს დაკვლის ნაცვლად თეთრი სახლის მდელოზე უშვებენ ხოლმე. წლეულს, 25 ნოემბერს, აშშ-ის რიგით 44-ე პრეზიდენტმა, ბარაქ ობამამ, პრეზიდენტის ინდაური, მეტსახელად სიმამაცე და მისი „მოადგილე", ინდაური კაროლინა შეიწყალა.

მომზადა ვენადი თგურმა

# ნაციონალებთან შედარებით, კომუნისტები პატრიოტები იყვნენ

**საარჩევნო კანონზე შეუთანხმებლობით ვითარება გამოუვალ ჩიხში შევიდა**

გულიკო ბალაძე

საარჩევნო კანონზე შეთანხმება ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ვერ შედგა და პროცესები, ფაქტობრივად, ჩიხში შევიდა. ამიტომ შეიძლება არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა, რომელიც წლების განმავლობაში უდიდესი საპროტესტო აქციების ორგანიზატორი გახლდათ, არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს. შედეგად, ადგილობრივ დონეზე ქვეყნის მართვის სადავეებთან შეიძლება ის ძალები აღმოჩნდნენ, რომლებიც ხალხის დიდი მხარდაჭერით არ სარგებლობენ. სწორედ ასეთმა ზოგიერთმა ე.წ. ოპოზიციურმა პარტიამ, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებასთან თანამშრომლობით გამოირჩევა, საარჩევნო კანონის ხელისუფლებისთვის მისაღებ ვარიანტს ხელი მოაწერა, მაგრამ ეს ვითარებას არ ცვლის, პირიქით, ექსპერტები ამბობენ, რომ ვითარების დამძიმება მოსალოდნელი. საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატ **თენგიზ დიხამინჯიას** განცხადებით, საარჩევნო კანონზე შეუთანხმებლობით პროცესი გამოუვალ ჩიხში შევიდა. ამიტომ იგი საზოგადოებასა და პოლიტიკურ ძალებს საპარლამენტო ასამბლეის შექმნის იდეას სთავაზობს, რასაც უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ჯგუფიც ეთანხმება. საპარლამენტო ასამბლეაში კი გაერთიანდებიან 1990 წლიდან დღემდე არჩეული პარლამენტების წევრები, პარტიებისა და საზოგადოების ფართო ფენების წარმოადგენლები პროფესიონალური ნიშნით. ასამბლეა შეიმუშავებს ქვეყნის სამართლებრივ-პოლიტიკური სისტემის ახალ დოქტრინას, შემდეგ კი ხელისუფლებას აიძულებენ, ქართველი საზოგადოების სერიოზულ შეთავაზებას დათანხმდეს.

***— ოპოზიცია და ხელისუფლება ვერ შეთანხმდა საარჩევნო კანონზე, სხვა საკითხებში ისედაც ვერ თანხმდებოდა. შედეგად პროცესი ჩიხში შევიდა თუ კიდევ მოიძებნება გამოსავალი?***

— ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საარჩევნო კანონთან დაკავშირებით შეუთანხმებლობამ პოლიტიკური პროცესი გამოუვალ ჩიხში შეიყვანა. ხელისუფლება არ დათმობს თავის მონაპოვარს და ყველანაირად შეეცდება, ადგილიდან ძვრა ვერ უყონ ვერანაირი მიმართულებით, ოპოზიცია კიდევ, ჯერჯერობით, ვერაფერს სთავაზობს. მათი შეთავაზება ყველანაირ კონსტრუქციულ მოლაპარაკებაზე წასვლა იყო. შემდეგი ნაბიჯი ოპოზიციის მხრიდან პრაიმერის ინსტიტუტის შემოღება გახლდათ. ესეც გამოუვალი მდგომარეობის მაჩვენებელია, იმიტომ რომ პრაიმერი არ შედგება. ეჭვი მეპარება, მაგალითად, თუნდაც, ვთქვათ, შალვა ნათელაშვილმა, რომელსაც მაღალი რეიტინგი აქვს, პრაიმერში გაიმარჯვოს.

***— ვისაც მაღალი რეიტნგი აქვს, პრაიმერში რატომ ვერ უნდა გაიმარჯვოს?***

— წესით, თამაშის წესების სრული დაცვით, იმან უნდა გაიმარჯვოს, ვისაც მაღალი რეიტინგი აქვს, მაგრამ, როგორც კი შეატყობენ, ამ მიმართულებით მიდის საქმე, ეჭვი მაქვს, რომ ჩაშლიან.

***— პრაიმერს ჩაშლიან?***

— დიახ, პრაიმერს ჩაშლიან.

***— ანუ ოპოზიციაშიც არეულია ვითარება და იქაც არ წყდება თამაშის წესების დაცვით საკითხები?***

— ეს ჩემი ვარაუდია. მათ შორის ერთსულოვნება არ არის, რადგან სამართლებრივი სისტემა ჩამოუყალიბებელია, ფსიქოლოგიური მდგომარეობა — მერყევი, ვითარება კი — აბურდული. ასეთ პირობებში გამოსავლის ძიება ძალიან რთულია, თუმცა გამოსავალი არსებობს.

***— რა არის გამოსავალი?***

— ჩემი აზრით, უნდა შეიქმნას ისეთი ორგანო, რომელიც მეტ-ნაკლებად ლეგიტიმური ანუ ლეგიტიმაციის რაღაც ხარისხის მფლობელი იქნება.

***— ლეგიტიმაციას ხომ არჩევნები სჭირდება?***

— მხედველობაში მაქვს საპარლამენტო ასამბლეის შექმნა, რომელშიც გაერთიანდებიან დაწყებული უზენაესი საბჭოდან (რომელიც აბსოლუტურად ლეგიტიმური იყო და მისი არალეგიტიმურობის ნიშანწყალიც არ არსებობდა. ამიტომ უზენაესი საბჭო, როგორც დამხობილი, უკანონოდ განდევნილი ორგანო, რაღაც ბაზისად გამოგვადგება, ყოველ შემთხვევაში, მასში შევიდოდა მათი ნაწილი, ვინც ამაზე დათანხმდებოდა) დეპუტატები, ასევე სხვა, თუნდაც დაბალი ლეგიტიმაციის მქონე ინსტიტუტების ანუ სხვადასხვა დროს — 1992, 1995,



1999 და შემდგომ პერიოდში — არჩეული პარლამენტების (დღევანდელის ჩათვლით) წარმომადგენლები. ისინი გაერთიანდებიან ეროვნული თანხმობის პრინციპების მიხედვით და გადაწყვეტენ, უპირველესად ყოვლისა, საარჩევნო კანონისა და ადმინისტრაციის საკითხს.

***— ხელისუფლებას, რომელსაც ძალაუფლება ხელთ უპყრია, როგორ დაითანხმებდით საპარლამენტო ასამბლეის მიერ შემუშავებულ საარჩევნო კანონსა და კომისიის დაკომპლექტების წესზე? როგორ დაათმობინებს და დაითანხმებს ხელისუფლებას საპარლამენტო ასამბლეა, რაგინდ ლეგიტიმური ორგანო იყოს?***

— ყველასთვის მისაღები საარჩევნო კანონი არ იქნება, მაგრამ აქ ლაპარაკია გლობალურ სქემაზე, რომელსაც სავალდებულო იურიდიული ძალმოსილება არ გააჩნია, თუმცა პოლიტიკურ ნებაზეა დამყარებული. რა რეაქცია ექნებათ, წინასწარ ვერ ვიტყვი, მაგრამ ქართველ და თუნდაც მსოფლიო საზოგადოებას შესთავაზებს იმ მოდელს, რომელიც ქვეყანას კრიტიკული მდგომარეობიდან გამოიყვანს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შექმნილია პატური მდგომარეობა (ჭადრაკის ენაზე რომ ვთქვათ), სადაც სვლები უკვე არ არის დარჩენილი არც ერთი მხრიდან.

***— ხელისუფლება დღეს თავის სვლებს აკეთებს. ოპოზიციასთან შეთანხმებას მიაღწიეს თუ არა, ის მაინც იწყებს საარჩევნო კანონპროექტის პარლამენტში განხილვას.***

— ეს ცალმხრივი მიმართულების ცვლილებებია, რაც მხოლოდ და მხოლოდ მათი ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურება, ტოლერანტობას, აზრთა სხვადასხვაობასა და დემოკრატიულ საწყისებზე მდგომი სისტემის ჩამოყალიბებას კი რადიკალურად უპირისპირდება.

***— მერედა, როგორ დაიყოლიებთ ასე ცალმხრივად მოძრავ ხელისუფლებას, რომელსაც არაფრის შეცვლა არ უნდა?***

— ამ წამოწყებას სჭირდება სერიოზული სამართლებრივი სისტემა. იგი პრაგმატული ხასიათის არ უნდა იყოს. ოპოზიციამ გაუშვა უზარმაზარი შანსები იმისა, რომ პროცესი უფრო ნორმალურად, თავისთვის მომგებიანი პოზიციებიდან წარემართა.

***— რას გულისხმობთ?***

— როდესაც შენთან მოვა 30-50-100 და 150 ათასი კაცი, როცა ხალხი ცდილობს თავისი სახელმწიფოებრივი იდეების რეალიზაციას, შენ ვერაფერს სთავაზობ, ე.ი. ოპოზიცია, ფაქტობრივად, იდეის გარეშე ხარ. ოპოზიცია პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტური შეცვლის გარეშე ცდილობდა არსებული ხელისუფლების მოშორებას. მან ხალხი ვერ გახადა ამ ისტორიული შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილე. ოპოზიციამ ვერ დადო

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# უნივერსიტეტელები დააჯილდოვეს

ეკა ირემაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივითახალგაზრდული ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“ დაარსდა. მისი მიზანი ნიჭიერი თაობის აღმოჩენა და მათთვის გზის გაკვალვაა. გარდა ამისა, ლიტერატურული კონკურსი ქართული კულტურული ძეგლების პოპულარიზაციასაც ემსახურება.

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი ორ ეტაპად განხორციელდა. პირველი ტური პირველ ოქტომბერს დაიწყო და ორი კვირის განმავლობაში ტარდებოდა. შიდაშესარჩევ ტურში უნივერსიტეტის ჟიურიმ 86 კანდიდატს შორის 20 საუკეთესო შეარჩია, რომლებმაც იყალთოს სამონასტრო კომპლექსში გამართულ იმპროვიზებულ კონკურსში მიიღეს მონაწილეობა. მათ ექვსი საათის განმავლობაში ჟიურის მიერ დასახელებულ თემაზე „შეხვედრა“ ნაწარმოები უნდა შეექმნათ.

ლიტერატურული კონკურსის ორგანიზატორებმა გამარჯვებულთათვის ფულადი ჯილდო და ფასიანი საჩუქრები დააწესეს, საუკეთესოები კი კომპეტენტურმა ჟიურიმ დაასახელა, რომლის შემადგენლობაშიც მწერალი ლაშა ბუღაძე, ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე, მწერალი დათო ტურაშვილი და კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძე შედიოდნენ.

„შემოდგომის ლეგენდის“ დასკვნით ღონისძიებას კონკურსში მონაწილე 20-ვე სტუდენტი დაესწრო. გამარჯვებულ სამეულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწესებული ფულადი პრემია უნივერსიტეტის რექტორმა გია ხუბუამ პირადად გადასცა. კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებით, პირველი ადგილის მფლობელი სალომე მხეიძე გახდა, შესაბამისად, მას 1000 ლარი გადაეცა, მეორე ადგილი და 700 ლარი დავით გორგილაძეს ერგო, ხოლო მესამე ადგილზე გასულ მარი ტაბაღუას 500 ლარის ოდენობის ფულადი ჯილდო გადაეცა.

ლიტერატურული კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, 10 საუკეთესო ნაშრომი ბუკლეტის სახით გამოიცემა.

**გიორგი ხუბუა, უნივერსიტეტის რექტორი:**

— კონკურსის ჩატარების იდეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ეკუთვნის, რითაც შევეცადეთ, სტუდენტებში ლიტერატურული ნიჭი და თვითშემოქმედების უნარი უფრო მეტად წარმოგვეჩინა. ასეთი კონკურსის სახით მათ უფრო მეტი დაინტერესება და მოტივაცია მივეცით. ჩვენი პარტნიორი კომპანია „ჯეოსელი“ გახდა, რომელსაც უნივერსიტეტთან დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს, დაწყებული ინფრასტრუქტურული საქმიანობით, გაგრძელებული საპირველსექტემბრო ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობით.

— ***კონკურსი სამნაწილიანია?***

— დიახ. კონკურსი ყოველთვის სამი ნაწილისგან შედგება. პირველ ეტაპზე მონაწილეები და მათი ნაწარმოებები გამოვლინდებიან, შემდეგ ფინალისტები და ბოლოს გამარჯვებულები გახდებიან ცნობილი. საპირველეტაპოდ ჟიური უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორებით დაკომპლექტდება, ხოლო მეორე ეტაპზე გადასულ მონაწილეებს პროფესიული კომისია შეაფასებს, ისევე, როგორც წლევანდელი კონკურსის შემფასებლები, მწერლები დათო ტურაშვილი და ლაშა ბუღაძე, კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძე და ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე იყვნენ.

ძალიან მიხარია, რომ ამ კონკურსით ჩვენ შესაძლებლობა მივეცით, ლიტერატურაში ახალი სახეები წარმოჩენილიყვნენ. „შემოდგომის ლეგენდა“ არის მოტივაცია, რომ ჩვენმა სტუდენტებმა ბევრი და, რაც მთავარია, კარგად წერონ.

**ზაალ სამადაშვილი, მწერალი, საკრებულოს თავმჯდომარე:**

— კონკურსის იდეა ძალიან კარგია. კარგია ის, რომ კონკურსი მხოლოდ თბილისით არ შემოიფარგლება და იგი იყალთოში გაიმართა. ახლა ლიტერატურული პროცესებიდან მძლავრი ნაკადით გამოკვეთის პერიოდი დგება და ეს კონკურსიც ამის ერთ-ერთი რგოლია. ძალიან საინტერესო ნაშრომები მივიღეთ, რაც იმის დასტურია, რომ ნიჭიერი ახალგაზრდების დეფიციტს ნამდვილად არ განვიცდით. ვიცნობ ბევრ ახალგაზრდას, რომლებიც შესანიშნავი ლიტერატორები არიან. მიხარია, რომ მწერლობის ცოცხალი პროცესი უკეთესობისკენ მიდის. ეს პროცესის ძალიან კარგი გაგრძელებაა.

„შემოდგომის ლეგენდა“ შესანიშნავი კონკურსია. დედაქალაქის მერიამ აირჩია თავისი რჩეული მარიამ ბექაური და იგი შესანიშნავი ლეპტოპით დააჯილდოვა. მარიამს ეს საჩუქარი გამოადგება, რომ ახალი ნაწარმოებები შექმნას. როგორც მწერალი, ბედნიერი ვარ, რომ ახალ-ახალი ლიტერატურული კონკურსები ფუძნდება, რაც მომავალ თაობებში ლიტერატურის პოპულარიზაციას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

**სალომე მხეიძე, პირველი ადგილის მფლობელი:**

— ძალიან გახარებული ვარ. ნამდვილად არ ველოდი, თუ გავიმარჯვებდი. როდესაც გამარჯვებულები გამოაცხადეს და ჩემი გვარი ვერ გავიგონე, ჩავთვალე, რომ საპრიზო ადგილებს მიღმა დავრჩი, მაგრამ, როცა პირველი ადგილის მფლობელად დამასახელეს, არ მჯეროდა. დიდი მადლობა ყველას, ჩემს უნივერსიტეტს, დიდი მადლობა ჟიურის, რომელმაც ჩემი ნაშრომი საუკეთესოდ მიიჩნია და პირველი ადგილი მომაკუთვნა.

# გურამ ფირცხალავას საკუთარი ფილმი არ უნახავს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

— ***არ გაქვთ სურვილი, წახვიდეთ კინოთეატრში და ნახოთ, რა გააკეთეთ 20 წლის წინ?***

— კი, როგორ არა. ამ ფილმს აუცილებლად ვნახავ. ძალიან მაინტერესებს.

— ***კრიტიკული თვალით შეხედავთ საკუთარ პერსონაჟს?***

— აბა, რა! მსახიობი ყოველთვის კრიტიკული თვალით უყურებს თავის ნამუშევარს.

— ***ამდენი წელი რომ გავიდა?***

— მსახიობური თვალსაზრისით ცოტა რაღაცებს სხვანაირად გააკეთებდა კაცი. დრო იცვლება, ყველაფერი წინ მიდის, მაგრამ რაღაც ნაწყვეტები ვნახე და მომეწონა. თქვენ ნახეთ ეს ფილმი?

— ***დიახ.***

— შეგძულდით?

— ***არა. ახლა რომ შემოეთავაზებინა ბატონ ლევანს ეს როლი, მაინც ითამაშებდით?***

— აუცილებლად. უწმინდესმა და უნეტარესმა ამ ფილმზე ლოცვა-კურთხევა მოგვცა და ამის შემდეგ მივეცი თავს უფლება, ეს როლი მეთამაშა. კი არ გამიადვილდა, მაგრამ ის სისაძაგლე ჩემი გმირის სახით უფრო „მშვიდად“ ჩავიდინე. საპატრიარქოში ვიყავით მის უწმინდესობასთან მიღებაზე, ჯვარი და სხვა სიწმინდეები გვაჩუქა. ძალიან მერიდებოდა ამ როლის თამაში, მაინც კათალიკოსის ფორმა აცვია რამაზ ჩხიკვაძეს, მაგრამ მისმა უწმინდესობამ მითხრა, ეს როლი აუცილებლად უნდა ითამაშო, ამით შენ მაგალითს აძლევ სხვებს, რომ ბოროტება არ ჩაიდინონ. მისი უწმინდესობის გონივრულმა სიტყვებმა საბოლოოდ თანხმობა მათქმევინა ამ როლზე და ბედნიერი ვარ, რომ ამ ფილმში მივიღე მონაწილეობა.

# ქართული კულტურა ფლორენციაშიც ჩავიდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურა მთელ ევროპაში წარმატებით მოგზაურობს. ამჯერად ქართული კულტურა მრავალმხრივად ფლორენციაში გამოიფინა. თანამედროვე მხატვრების მიერ შექმნილი სხვადასხვა ტიპის ნამუშევრები გრაფიკაში, ზეთის საღებავებში, ფერწერასა და მინიატურულ ქანდაკებებში გაერთიანდა.

იტალიაში ქართული კულტურის დღეები „ქართული სულის“ ეგიდით ფლორენციის ეროვნულ არქივში მოეწყო, სადაც ხელოვანებს არჩევანში სრული თავისუფლება მიეცათ. ხელოვანების უმეტესობამ ფლორენციაში ბოლო პერიოდში შექმნილი ნამუშევრები წარმოადგინა.

იტალიაში ქართული კულტურა მასშტაბურად ბოლოს 20 წლის წინ იყო წარდგენილი, ამიტომ ფლორენციაში გამოფენილი ქართული ხელოვნება იტალიელი საზოგადოებისთვის ორი ათეული წლის შემდეგ განსაკუთრებულად საინტერესო და შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

ქართველი მხატვრების უახლესი ნამუშევრების ექსპოზიციის პარალელურად, ფლორენციაში საერთაშორისო სიმპოზიუმიც მოეწყო, რომელშიც უცხოელმა და ქართველმა მეცნიერებმა და მკვლევარებმა მოხსენებები წაიკითხეს.

სწორედ ქართული კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებზე გახდა ცნობილი, რომ საქართველო ევროპისთვის განსაკუთრებით საინტერესო და მიმზიდველი ქვეყანაა და დიდი ისტორიის მქონე ჩვენი ქვეყანა მკვლევარებისთვის ყოველთვის ამოუწურავ თემად დარჩება.

უკვე გადაწყვეტილია, რომ იტალიაში ქართული კულტურის დღეების დასრულების შემდეგ ქართული ხელოვნება ევროპის სხვა ქვეყნებშიც იქნება წარმოდგენილი.

# ნაციონალებთან შედარებით, კომუნისტები პატრიოტები იყვნენ

დასაწყისი მე-7 გვერდზე

დოქტრინა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის ცვლილების მეშვეობით წარმატებას უზრუნველყოფდა.

— ***ანუ როდესაც ხალხი რუსთაველზე, სტადიონზე და სხვა ადგილებზე იკრიბებოდა, ოპოზიციას მაშინ უნდა მოეთხოვა საარჩევნო კანონის შეცვლა?***

— მაშინ ოპოზიციას არა მარტო საარჩევნო კანონის, არამედ მთელი სამართლებრივ-პოლიტიკური სისტემის შეცვლის დოქტრინა, სქემა, სტრატეგია უნდა დაედო.

— ***კონსტიტუციის ცვლილება უნდა მოეთხოვა, რომელსაც ახლაც თავის თარგაზე ირგებენ?***

— დიახ. ოპოზიციას ამაზე უნდა ეზრუნა. საპარლამენტო ასამბლეა, რომლის შექმნის იდეასაც ვთავაზობ პოლიტიკურ სპექტრს, საზოგადოებას, ალბათ, სიცოცხლისუნარიანი იქნება იმის მიხედვით, როგორი ნება, შეგნება და მომწიფება აღმოაჩნდება ქართველ საზოგადოებას. ოპოზიციას ამ პროცესში უნდა ჩაერთო საზოგადოების ფართო სპექტრი, მეცნიერები პროფესიონალური ნიშნით, მრავალგვაროვანი სპეციალიზაციით — ეკონომისტები, ფინანსისტები, პოლიტოლოგები ადამიანის უფლებათა დაცვისა და კულტურის სფეროდან. მთლიანად ეს ანსამბლი დადებდა დოქტრინას, რომლის მიხედვით კონსტიტუციური და სამართლებრივი საკითხები გადაწყვეტილი იქნებოდა, უპირველესად — თვითმმართველობის ორგანოების საკითხი რეგიონებში. ოპოზიციის აქციებზე ვინც მოვიდა, ფაქტობრივად, თავისი ფუნდამენტური ფუნქციების გარეშე აღმოჩნდა, ანუ აღმოჩნდა ერთეული შეკრებების და არა სტრატეგიული და მრავალგვაროვანი პროცესის მონაწილე.

— ***ასეა თუ ისე, დღეისათვის ხელისუფლებამ ყველაფერი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა...***

— ფაქტობრივად, ვერდიქტი გამოუტანა ოპოზიციას.

— ***ხელისუფლება, ერთი მხრივ, კვლავ თავის თარგაზე აწყობს კონსტიტუციას, მეორე მხრივ, იღებს საარჩევნო კანონს თითქოს ცვლილებებით საერთაშორისო საზოგადოების დასანახად...***

— თვალის ასახვევად...

— ***ამ ფონზე დანიშნულია ადგილობრივი არჩევნები. რა იქნება? ისევ ძველებურად ჩატარდება არჩევნები თუ მანამდე მოესწრება თქვენი ასამბლეის შექმნა და რაიმე ცვლილებების განხორციელება?***

— საპარლამენტო ასამბლეის შექმნა აუცილებლად უნდა მოესწროს. ქართველ საზოგადოებას თუ უნდა ჩიხიდან გამოსვლა, ეს აუცილებელია.

— ***ანუ ოპოზიციამ პარალელურად საარჩევნო კანონი და კონსტიტუციის კანონპროექტი უნდა წარმოადგინოს, შეკრიბოს ხალხი და მოითხოვოს, ხელისუფლებამ ეს მიიღოს?***

— სხვა გზას ვერ ვხედავ. თუ ოპოზიცია ამბობს, რომ დღევანდელი პარლამენტი და პრეზიდენტი არალეგიტიმურია, ანუ სააკაშვილი სრული გაყალბებით მოხვდა პრეზიდენტის სავარძელში და საერთაშორისო დასკვნებიც დიდწილად ამაზე მეტყველებს, ახალი კონსტიტუციისა თუ ახალი საარჩევნო კანონის რედაქციაში არანაირი თანამონაწილეობის გარანტია და უფლება არ გაგაჩნია, მაშინ საზოგადოებას შენი დოქტრინა უნდა შესთავაზო და ხელისუფლება აიძულო, მიიღოს.

— ***ოპოზიციას მონაწილეობის უფლება აქვს, მაგრამ თავის პოზიციას ვერ გაიტანს.***

— ოპოზიცია თავის აზრს ვერ გაიტანს, რადგან კომისია პარიტეტულ საწყისებზე არ არის შექმნილი. 1990 წელს კომუნისტებს იმდენი გამჭრახობა, ქვეყნის სიყვარული აღმოაჩნდათ, რომ ეროვნულ ძალებთან ერთად დასხდნენ და საარჩევნო ადმინისტრაცია პარიტეტულ საწყისებზე დააკომპლექტეს. ამიტომაც ჩატარებული არჩევნები საეჭვო არ დარჩა.

— ***კომუნისტები უფრო პატრიოტები აღმოჩნდნენ, ვიდრე დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები?***

— მაშინ კომუნისტები არა მარტო პატრიოტები აღმოჩნდნენ, არამედ პოლიტიკური ცნობიერებით — გაცილებით მომწიფებულები და შორსმჭვრეტელები, ვიდრე დღევანდელი ხელისუფლება. ეს ფაქტია. ამიტომ პოლიტიკური ოპოზიციური სპექტრი უნდა გააქტიურდეს და შეთანხმდეს. სტრატეგიული ეროვნული თანხმობის იდეის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანა. ქართველი საზოგადოება უნდა შეთანხმდეს მიმავალ და შორსმჭვრეტელურ სტრატეგიულ იდეებზე. რა ორგანო უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი, რომელიც ყველა პოზიტიურ ძალებს გააერთიანებს? ეს უნდა იყოს ორგანო, რომელიც გადაწყვეტს ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს. უნდა იყოს გარკვეული, რა ორგანო იქნება ეს, როგორ გადაწყვეტს, რას გადაწყვეტს და შემდგომ უკვე ვინ გადაწყვეტს საკითხებს და არა პირიქით. ჩვენთან პირიქითაა, ჯერ ვინ არის, შემდეგ რა და როგორ. საპარლამენტო ასამბლეა იქნება ზეპარტიული ორგანო, თუმცა პარტიებსაც თავიანთი პრეტენზიები აქვთ და მათი მონაწილეობის გარეშე ვერანაირად ვერ გადაწყდება საკითხები. მათ თავიანთი წარმომადგენლები ეყოლებათ ასამბლეაში. ყველაფერი დამოკიდებულია მათ შეგნებაზე, შორსმჭვრეტელობაზე, პატიოსნების ხარისხზე. პარტიებს სათავეში ვინც უდგანან, ამა თუ იმ პარლამენტში არჩეული იყვნენ, ამიტომ, მით უმეტეს, მათი მონაწილეობა ეჭვის ქვეშ არ დგება.




მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607
ახალი ქსელები 700 608
გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

## განცხადებები

● გამოცდილი ექიმი ვმკურნალობ მამაკაცურ დაავადებებს: იმპოტენცია და პროსტატა. კონსულტაციისთვის დარეკეთ: 899-53-68-18; 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● სილამაზის სალონი „შარმი“ აწარმოებს მოსწავლეების მიღებას 3-თვიან კურსებზე სამკურნალო გამაჯანსაღებელი და ბავშვთა მასაჟი, სტილისტი-ვიზაჟისტი, კოსმეტოლოგიის კურსები. გაიცემა სერთიფიკატი. ფასი 300 ლარი. გაგიწევთ შემდეგ მომსახურებას: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საქორწილო, საბანკეტო ვარცხნილობები, ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით. მის: მ.მარჯანიშვილი, აღმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87 ირინა.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

● ქირავდება ვაჟა-ფშაველას II კვარტალში ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ყველანაირი ავეჯი, ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გათბობა, ცხელი წყალი) ბინა. ტელ: 899-103-183.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

# რატომ შეინარჩუნა პოსტი რევაზ არველაძემ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მოხვდა, მაშინ, როდესაც ახალკაცის დროს ეს პატივიც ჰქონდა და ფედერაციაში ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის პოსტზეც იმყოფებოდა.

რაც შეეხება კიდევ ერთ სკანდალურ თემას, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დიდი რაოდენობის მიერ დახარჯული თანხა აღმოჩნდა. სახელმწიფოდან, უეფადან, სპონსორებისგან და საქართველოს ნაკრების მატჩების ტელეტრანსლიაციებიდან შემოსულმა თანხამ სფფ-ში 56 მილიონი ლარი შეადგინა, მაგრამ ეს თანხაც არ აღმოჩნდა საკმარისი ფედერაციის მაშინდელი ხელმძღვანელობისთვის და 9 მილიონი ლარი ვალადაც დაიმატეს. ვალები „საქართველოს ბანკიდან“, „ტაოპრივატბანკიდან“ და შვეიცარიული ბანკ „იუბიესიდან“ არის აღებული. გირაოს სახით ჩადებულია სფფ-ს ოფისი და 5-პროცენტიანი წილი „ბორის პაიჭაძის“ სახელობის სტადიონიდან.

ზვიად სიჭინავამ ფედერაციის წინა ხელმძღვანელობას ბრალი არასწორ მენეჯმენტში დადო. როდესაც ახალი პრეზიდენტი ამ სიტყვებს ამბობდა, წინა ხელმძღვანელობის ერთ-ერთი მთავარი პირი რევაზ არველაძე გვერდს უმშვენებდა. მეტიც, არველაძე დღეს უკვე სიჭინავას გუნდში მოიაზრება და ფედერაციაში კვლავაც გენერალური მდივნის რანგში გვევლინება.

ცოტა არ იყო, გაუგებარია. ადამიანი, რომელიც წინა ხელმძღვანელობის არასწორ მენეჯმენტშია დადანაშაულებული, ახლა კვლავაც ფედერაციის მენეჯმენტში მუშაობს. როგორც ჩანს, წინა ხელმძღვანელობა არველაძეს ყველაფერს „უმალავდა“ და მისგან გვერდის „ავლით“ არამიზნობრივად იხარჯებოდა თანხები. დაახლოებით ასეთივე სიტუაციაში არველაძე უფრო ადრეც, მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტობის დროსაც აღმოჩნდა — არველაძე, მაშინაც ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე იმყოფებოდა. რატომღაც, ყველა განთავისუფლებული პრეზიდენტის გუნდიდან ახალ პრეზიდენტთან მხოლოდ რევაზ არველაძე ნახულობს საერთო ენას და ყოველთვის „სუფთად“ გამოდის ამღვრეული წყლიდან.ალმასკომმა სხდომაზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელად თემურ ქეცბაია დაამტკიცა. ანდა, რად უნდოდა ამ საკითხს გატანა — ქეცბაიასთან კონტრაქტი ერთი თვეა გაფორმებულია და საქმიანობას 1 იანვრიდან შეუდგება. უფრო საინტერესო და კურიოზული ის იქნებოდა, ალმასკომს ქეცბაიას ნაკრების წვრთნელად დანიშვნაზე უარი რომ ეთქვა.აუდიტის დასკვნის, ნარკომანიის ფაქტების გამოვლინებისა და ქეცბაიას ნაკრების მწვრთნელად დამტკიცების გარდა სხდომაზე რეგიონებში ფეხბურთის განვითარებაზე და საქართველოს ჩემპიონატის სტრუქტურაზე (კიდევ ერთი ფაქტი სფფ-სა და პფლ-ს დაპირისპირება) ისაუბრეს. რევაზ არველაძეს დამატებით კიდევ ერთი საპასუხისმგებლო საქმე ჩააბარეს — ლიცენზირების პასუხისმგებელი პირი. გარდა ამისა, შეიქმნა მუდმივმოქმედი კომიტეტები.

საფინანსო კომიტეტს თავად პრეზიდენტი უხელმძღვანელებს, სფფ-ს ტურნირების საორგანიზაციო, ტექნიკური და განვითარების, ახალგაზრდული ფეხბურთის, ფუტსალის, ქალთა და პლაჟის ფეხბურთის კომიტეტს ვიცე-პრეზიდენტი გია ფირცხალავა, სტადიონებზე უსაფრთხოების კომიტეტს — გიორგი გეგეჭკორი, სამსაჯო კომიტეტს — სერგო კვარაცხელია, იურიდულ კომიტეტს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მურად ანჯაფარიძე, სპორტულ მედიცინასა და მედიაკომიტეტს — დავით ნამგალაური.

აუდიტის დასკვა არასრულყოფილობის გამო ისევ უკან დაბრუნდა აუდიტორულ კომპანიას და უახლოეს დღეებში სრულყოფილად ჩაბარდება ფედერაციას, ხოლო 7-8 დეკემბერს ზვიად სიჭინავა და რევაზ არველაძე უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის ეწვევიან და მის დასკვნას გააცნობენ.

# კუზილოვმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაო მოიპოვა

კორეის ქალაქ გოიანგში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი ძალოსნობაში, რომელშიც 4 ქართველი შტანგისტიც მონაწილეობდა. გიორგი ასანიძის სპორტიდან პოლიტიკაში გადაბარგების, ხოლო არსენ კასაბიევის ასევე პოლიტიკურად საქართველოს ნაკრებში დროებით მაინც უარის თქმის გამო არავინ ელოდა, რომ კორეაში ქართველი სპორტსმენები რომელიმე სინჯის მედალს შეწვდებოდნენ, მაგრამ ყველას გასახარად ალბერტ კუზილოვმა 105 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

კუზილოვნა 187 კილოგრამი აიტაცა, ხოლო 221 აკრა და ჯამში 408 კილოგრამი მოგროვდა, რაც ბრინჯაოსთვის საკმარისი აღმოჩნდა. ჩემპიონი კი პოლონელი მარლინ დოლეგა გახდა (421 კგ), მეორე ადგილი რუს დიმიტრი ლაპიკოვს ერგო (416). ამავე წონაში მე-8 ადგილზე გია მაჭავარიანი გავიდა. კიდევ 2 ქართველი ძალოსნიდან 94 კილოგრამში თეიმურაზ გოგია მე-15 ადგილით დაკმაყოფილდა (სხვათა შორის ამ წონაში გამარჯვებულის შედეგი არსენ კასაბიევის ოლიმპიადაზე ნაჩვენებ შედეგს ჩამოუვარდებოდა), ხოლო 105 კილოგრამ წონით კატეგორიაში ირაკლი თურმანიძე მე-13 ადგილზე გავიდა.

# საფეხბურთო და ხელჩართული ომი გორში

**საქართველოს 21-ე ეროვნული ჩემპიონატის მე-16 ტურის ეპიცენტრი გორში იყო, სადაც ორი მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართა. უნდა ითქვას, რომ ტური არცთუ მშვიდობიანი აღმოჩნდა — ცენტრალური მატჩისას, რომელშიც ერთმანეთს თბილისის „ვიტ ჯორჯია“ და რუსთავის „ოლიმპი“ ხვდებოდნენ, ფეხბურთელებმა ერთმანეთზე ხელდახელ გაიწიეს.**

### „ვიტ ჯორჯია“ — „ოლიმპი“ 1:2

**0:1 ჭედია (27). 1:1 რაზმაძე (32პ), 1:1 ჭედია (71)**

**„ვიტ ჯორჯია“:** მიქაბერიძე, ბეჭვაია, მგელაძე, ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ.დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი (ჯანელიძე 77), კახელიშვილი, ლიპარტია, ბერიაშვილი

**„ოლიმპი“:** ჭანტურია, აბრამიძე, ფრაგა, რეხვიაშილი, ს.თოდუა, დობროვოლკი, იმედაშვილი, ჯერონიმო (ზ.ჭელიძე 46), ბაბუნაშვილი, ჭედია, აკინო (გველესიანი 82)

**გაძევება:** კახელიშვილი (73), აკინო (82)

ვეტერინარებმა ჩემპიონატის ლიდერს დანაკლისით უმასპინძლეს — გუნდის კაპიტანი ალექსანდრე კვახაძე და გუნდის მთავარმეგოლე ვახტანგ კვარაცხელია დისკვალიფიცირებულები იყვნენ. თუმცა, ვიტჯორჯიელმა ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს და წაგებას ალბათ არ იმსახურებდნენ, მაგრამ ამის გამო ტაბლოზე ანგარიში არ იცვლება.

27-ე წუთზე სტუმართა თავდამსხმელი გიროგი ჭედია მეკარესთან პირისპირ დარჩა და ანგარიში გახსნა. ვნებათაღელვა სწორედ ამ გოლით დაიწყო — მასპინძლები თვლიდნენ, რომ რუსთაველებმა ბურთი თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანეს. 5 წუთში ვიტჯორჯიელებმა ანგარიში კი გაათანაბრეს, მაგრამ მაინც უკმაყოფილო დარჩნენ — მათი აზრით, გრიგოლ ჭანტურიას მიერ წაქცეული ჯაბა ლიპარტიას დროს დანიშნული პენალტისას რუსთაველთა მეკარე გაძევებასაც იმსახურებდა. თერთმეტმეტრიანი ზუსტად გამოიყენა ლუკა რაზმაძემ და ანგარიში გაათანაბრა.

მასპინძლები უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ ბურთი მათ კარში გავიდა. 71-ე წუთზე ბაბუნაშვილის ჩაწოდების შემდეგ ისევ ჭედიამ იხეირა.

2 წუთში ლევან კვარაცხელია მოედნიდან მასპინძელი გიორგი კახელიშვილი კამათისთვის გააგდო. მიუხედავად კაცნაკლულობისა, ვიტჯორჯიელები შეტევებს აგრძელებდნენ და ანგარიშის გათანაბრების შანსიც ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს.პო, კვარაცხელიამ წითელი ბარათი რუსთაველთა ბრაზილიელ ლეგიონერ აკინოსაც უჩვენა, მაგრამ მოედანზე თანაფარდობა არ აღდგენილა — აკინომ წითელი ფერი მაშინ იხილა, როდესაც უკვე შეცვლილი იყო — მიზეზი დროის გაყვანა.

ნამატჩევს კი მასპინძელმა ლაშა ჯაფარიძემ და სტუმარმა ვალერი აბრამიძემ ხელდახელ იჩხუბეს.

### „სპარტაკი“ — „ზესტაფონი“ 3:3

**0:1 დვალი (20), 1:1 ცხადაძე (24), 2:1 მანწკავა (36), 2:2, 2:3 გელაშვილი (67, 70), 3:3 გ.კვახაძე (80)**

**„სპარტაკი“:** ბათიაშვილი, პ.დათუნაიშვილი, ა.გილაური, გ.კვახაძე, დეკანოსიძე, ბაქრაძე, შონია, მანწკავა (შალამბერიძე 66), მაისურაძე, კლოვისი (რ.გოცირიძე 80), ცხადაძე (კანდელაკი (89)

**„ზესტაფონი“:** რ.კვასხვაძე, ბელო, მაგრამ ბოლო წუთზე გაშვებული გოლით მხოლოდ ქულასლა გამორჩნენ.

იმერლები მატჩის დასაწყისში ვაკო ტყემალაძემ დააწინაურა, ბოლოს კი უკვე მიხეილ კობერიძემ



ნაშვილი, ლობჟანიძე, ხიდეშელი, ელიავა, დაუშვილი (ნ.კვასხვაძე 85), ძარია (კორღალიძე 84), აფციაური, გრიგალაშვილი, გელაშვილი (წინამძღვრიშვილი 88), დვალი

ქართული დიდი ოთხეულიდან მხოლოდ „ვიტ ჯორჯია“ შემორჩა, რომელთანაც „სპარტაკს“ ქულა არ აუღია. ბოლო ტურში ცხინვალელებმა 2 ქულა ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ზესტაფონს“ დააკარგვინეს და ვინძლო ეს ქულები იმერლებმა გაზაფხულზე მოიკითხონ.სიტუაცია კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა. თავიდან ჯაბა დვალის გოლით ზესტაფონელები დაწინაურდნენ, ჯერ — ბაჩანა ცხადაძემ, ხოლო შემდეგ მანწკავამ ისარგებლა გიორგი ხიდეშელის შეცდომებით და წინ უკვე „სპარტაკი“ გავიდა.

მეორე ტაიმში ნიკოლოზ გელაშვილმა 3 წუთში დუბლი შეასრულა და იმერლები ისევ დააწინაურა, მაგრამ „ზესტაფონს“ ამ მატჩში გამარჯვება არ ეწერა — 80-ე წუთზე გიორგი კვახაძემ ანგარიში გაათანაბრა — ცხინვალელმა ფეხბურთელმა ამჯერად როინ კვასხვაძის შეცდომით ისარგებლა.

ამ მარცხის შემდეგ „ზესტაფონი“ ჩემპიონატის ლიდერ „ოლიმპს“ უკვე 4 ქულით ჩამორჩა და მომდევნო ტურში სწორედ მას ესტუმრება.

### „გაგრა“ — „სამტრედია“ 1:1

**0:1 ტყემალაძე (7), 1:1 კობერიძე (90)**

**„გაგრა“:** ნადირაშვილი (თევდორაძე 28), შელია, შალიკაშვილი (კუპრეიშვილი 90), ჭაავა, გაბუნია, ვ.ხორგუაშვილი, პ.ხორგუაშვილი, მოიზესი, (პავლიაშვილი 62), ოქრიაშვილი, კობერიძე, გაბედავა

**„სამტრედია“:** ი.შენგელია, კირთაძე, გოგია, კვესეიშვილი (ბ.ხაჭიპერაძე 88), ქორიძე, ფირცხალავა, მბენე, ტყემალაძე, ნინუა, ეცადეიშვილი (ზ.ხაჭიპერაძე 58), ბაკარანძე (კაპანაძე 74)

ლიდერების სისხლის გამშრობ „სამტრედიას“ 3 ქულია აღებაც შეეძლო, მაგრამ ბოლო წუთზე გაშვებული გოლით მხოლოდ ქულასღა გამორჩნენ.

გაათანაბრა. მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე კობერიძის გოლი ლოგიკურიც იყო — გაგრელები სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ და მრავლად მომენტებიც შექმნეს.

### „სიონი“ — „ლოკომოტივი“ 0:0

**„სიონი“:** ბობღიაშვილი, სვანიძე, ი.ვაშაკიძე, კობაური, ქემოკლიძე, მახვილაძე (უგულავა 88), ლ.ნოზაძე (ფიფია 60), უგრეხელიძე, გოგობერიშვილი, ხიდაშელი, კიკნაძე (ჩიმაკაძე 76)

**„ლოკომოტივი“:** ქვილითაია, ხატიაშვილი, გუშარაშვილი, სარალიძე, ლ.ჩაგელიშვილი, ქებაძე, წულაძე, ბოჭორმელი (კ.მახარაძე 66), ა.შენგელია, კაჭახიძე (ს.გილაური 46), გონაძე (აფხაზავა 75)

მას შემდეგ, რაც ბოლნისური კლუბი თემურ მახარაძემ დატოვა და მის ნაცვლად გიორგი ყიფშიძე დაინიშნა, „სიონი“ პირველ ქულას ელირსა, თუმცა, გოლის გატანა კვლავაც ვერ მოახერხა. რაც შეეხებათ ლოკომოტიველებს, აგერ უკვე მეორე ტურია არ წაუგიათ და თავგანწირვით ცდილობენ ხავს ჩაებღაუჭონ. ერთია, ამ შემადგენლობით საჭირო ქულების რაოდენობის დაგროვება მაინც გაუჭირდებათ და უმაღლესში დასარჩენათ დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევთ.

### „დინამო“ — „ბაია“ 1:0

**1:0 მერებაშვილი (14)**

**„დინამო“:** სომხიშვილი, გეთიაშვილი, გ.კაშია, კაკუბავა, თომაშვილი, ედნილსონი, ნემსაძე, შ.კაშია, ჯუისი (ქავთარაძე 77), მერებაშვილი (ჩადუნელი 90), აკირემი (სიხარულიძე 61)

**„ბაია“:** მაქაცარია, ექონია, აქუბარდია, კვეკვესკირი (ეხვაია 79), ვართაგავა, გუჩუა (სიხარულია 67), ლუნგუ, პაჭკორია, გუგუჩია, გ.ქირია (ძალამიძე 61), რ.ჯიქია.

ეს მატჩი ტურში ბოლო იყო და უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც „დინამოს“ მატჩს ცხრილისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ქართული ფეხბურთის ფლაგმანს მიმდინარე ჩემპიონატში პრობლემები ბლომად მოეძალა და ისისც იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ფავორიტად არავინ მიიჩნევს.ამის მიუხედავად, მასპინძლებმა სუსტ მეტოქესთან იძალეს და გიორგი მერებაშვილის ერთადერთი გოლით დაამარცხეს ზუგდიდელები.

ეს მატჩი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ დინამოელთა მაისური პირველად მოიგო პორტუგალიელმა ედნილსონმა. აქამდე ჩვენს ჩემპიონატში პორტუგალიელ ფეხბურთელს არ უთამაშია. რაც შეეხება თავად ფეხბურთელს, კლასი ეტყობა, იცის თამაშის წაკითხვა და მისი გუნდში ყოფნით ახალგაზრდა ფეხბურთელებს ბევრი რამის სწავლა შეეძლებათ „დინამოში“.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ოლიმპი | 16 | 12 | 3 | 1 | 39:11 | 39 |
| 2. | ზესტაფონი | 16 | 10 | 5 | 1 | 29:13 | 35 |
| 3. | ვიტ ჯორჯია | 16 | 8 | 5 | 3 | 24:17 | 29 |
| 4. | დინამო | 16 | 7 | 5 | 4 | 24:11 | 26 |
| 5. | სამტრედია | 16 | 6 | 3 | 7 | 23:32 | 21 |
| 6. | სპარტაკი | 16 | 5 | 5 | 6 | 22:27 | 20 |
| 7. | სიონი | 16 | 3 | 6 | 7 | 10:23 | 15 |
| 8. | გაგრა | 16 | 3 | 4 | 9 | 16:27 | 13 |
| 9. | ბაია | 16 | 3 | 3 | 10 | 14:24 | 12 |
| 10. | ლოკომოტივი | 16 | 1 | 5 | 10 | 5:21 | 8 |

**ბომბარდირები:** აკინო (ოლიმპი) — 15 ბურთი, გელაშვილი (ზესტაფონი) — 12, კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) — 10.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ბლექბერნი-სტოკი | 0:0 |
| ვესტ ჰემი-ბარნლი | 5:3 |
| სიტი-ჰალი | 1:1 |
| პორტსმუთი-მანჩესტერი | 1:4 |
| უიგანი-სანდერლენდი | 1:0 |
| ფულემი-ბოლტონი | 1:1 |
| ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 1:1 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| უდინეზე-ლივორნო | 2:0 |
| ჯენოა-სამპდორია | 3:0 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ხიხონი-ვილეარეალი | 1:0 |
| ვალენსია-მალიორკა | 1:1 |
| სევილია-მალაგა | 2:2 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ვერდერი-ვოლფსბურგი | 2:2 |
| ჰერტა-აინტრახტი | 1:3 |
| მაინც-ჰამბურგი | 1:1 |
| ნიურბერგი-ფრაიბურგი | 0:1 |
| ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი | 1:2 |
| გლადბახი-შალკე | 1:0 |

**საფრანგეთი. I ლიგა**

| | |
|---|---|
| ლილი-ვალანსიენი | 4:0 |
| ლორიენი-გრენობლი | 2:2 |
| მონაკო-მონპელიე გადაიდო | |
| პსჟ-ოსერი | 1:0 |
| სოშო-ნიცა | 1:0 |
| ტულუზა-ბულონი | 1:0 |
| ლანსი-მარსელი | 1:0 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

| | |
|---|---|
| ნაციონალი-ნავალი | 1:1 |
| სპორტინგი-ბენფიკა | 0:0 |

**ჰოლანდია. ეკრედივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალკმაარი-ვენლო | 2:0 |
| ჰერენვენი-ვალვაიკი | 3:1 |
| ჰერაკლესი-როდა | 3:2 |
| ტილბურგი-ტვენტე | 1:3 |

**ბელგია. პროლიგა**

| | |
|---|---|
| ბრიუგე-შარლერუა | 1:0 |
| ვესტერლო-მეხელენი | 2:0 |
| გენტი-სერკლი | 3:1 |
| ბეერსხოტი-რუზელარე | 3:0 |
| მუსკრონი-გენკი | 2:0 |

**ავსტრია. I ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუსტრია-კარტნენი | 1:0 |
| კაფენბერგი-ნოიშტადი | 3:1 |
| ლინცერი-შტურმი | 2:2 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| აბერდინი-რეინჯერსი | 1:0 |
| კილმანროკი-ჰართსი | 1:2 |
| სელტიკი-სტ.მირენი | 3:1 |
| სტ.ჯონსონი-ჰამილტონი | 1:1 |
| ჰიბერნიანი-ფალკირკი | 2:0 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ქსამაქსი-გრასჰოპერსი | 0:1 |
| შტ.გალენი-ლუცერნი | 1:1 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ცსკა-სატურნი | 3:0 |
| მოსკვა-დინამო | 1:2 |
| ხიმკი-ლოკომოტივი | 1:3 |
| კრ.სოვეტოვი-ტომი | 1:3 |
| ყუბანი-რუბინი | 0:3 |
| როსტოვი-ამკარი | 1:1 |
| ზენიტი-სპარტაკი(მ) | 2:1 |
| სპარტაკი(ნ)-ტერეკი | 4:2 |

ნალჩიკელთა შემადგენლობაში **თითო გოლი გაიტანეს ალექსანდრე ამისულაშვილმა და დავით სირაძემ**

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ირაკლისი-ერგოტელისი | 0:2 |
| ასტერასი-ქსანთი | 0:0 |
| აეკ-პაოკ | 1:0 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ფენერბახჩე-ქაშიმფაშა | 1:3 |
| დიარბაქირი-ანკარა | 3:0 |

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

| | |
|---|---|
| პრჟიბრჟამი-კლადნო | 3:2 |
| ლიბერეცი-ბოლესლავი | 3:0 |
| სლოვაცკო-იაბლონეცი | 1:1 |
| ბოჰემიანსი 1905-სპარტა | 0:2 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასი**

| | |
|---|---|
| კრაკოვია-პიასტი | 3:2 |
| ბელხატოვი-ლეგია | 0:1 |
| იაგელონია-ლეჩნა | 0:0 |
| რუხი-კორონა | 0:0 |

**დანია. სასლიგა**

| | |
|---|---|
| ესბიერგი-ოლბორგი | 1:1 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-შარლოტი | 76:92 |
| კლივლენდი-დალასი | 111:95 |
| მიკუოკი-ორლანდო | 98:100 |
| იუტა-პორტლენდი | 108:92 |
| გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი | 97:130 |

### რაგბი

| | |
|---|---|
| იტალია-სამოა | 24:6 |
| ირლანდია-ს.აფრიკა | 15:10 |
| შოტლანდია-არგენტინა | 6:9 |
| რუმინეთი-ფიჯი | 18:29 |
| უელსი-ავსტრალია | 12:33 |
| საფრანგეთი-ახ.ზელანდია | 12:39 |

### ჩოგბურთი

**ატპ. შემაჯამებელი ტურნირი**

**ნახევარფინალები**

| | |
|---|---|
| ფედერერი-დავიდენკო | 2:6;6:4;5:7 |
| დელ პოტრო-სოდერლინგი | 6:7;6:3;7:6 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი-აილენდერსი | 6:1 |
| ატლანტა-ფილადელფია | 1:0 |
| ბუფალო-კაროლინა | 5:1 |
| ბოსტონი-ოტავა | 3:3(1:0ბ) |
| კოლამბუსი-კალგარი | 3:3(0:1ბ) |
| მონრეალი-ვაშინგტონი | 3:3(0:1ბ) |
| პიტსბურგი-რეინჯერსი | 8:3 |
| ნეშვილი-ფლორიდა | 4:1 |
| სენტ ლუისი-დეტროიტი | 3:3(0:1ბ) |
| დალასი-ტამპა ბეი | 4:3(ოტ) |
| კოლორადო-მინესოტა | 2:2(0:1ბ) |
| ვანკუვერი-ედმონტონი | 7:3 |
| ლოს ანჯელესი-ჩიკაგო | 1:1(1:0ბ) |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## დღის კალენდარი



### 30 ნოემბრისთვის

წლის 334-ე დღე,
ახალ წლამდე დარჩა 31 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

26-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ორშაბათი. ხსენება წმინდა მოწამეების: გობრონისა, წმინდა ნათლობით მიქაელისა და მასთან ერთად 133 მხედრისა; მღვდელმთავარ გრიგოლ საკვირველმოქმედისა, ნეოკესარიელი ეპისკოპოსისა; ღირსი მამის ნიკონისა, რადონეჟელი იღუმენისა, ღირსი სერგის მოწაფისა; ღირსი მამის ლაზარესი.

წმინდა მოწამეები: გობრონი, წმინდა ნათლობით მიქაელი და მასთან ერთად 133 მხედარი — ტომით ქართველები იყვნენ. ისინი X საუკუნეში ევნენ ქრისტეს სახელისათვის, როცა საქართველოს სამხრეთ ნაწილს, სომხითს ურჯულო არაბები შემოესივნენ აბულ-კასიმის წინამძღოლობით.

წმინდა მოწამე მიქაელი წარმოშობით დიდგვაროვან ქართველთა ოჯახიდან იყო. სიყრმიდანვე იგი დიდი სიმხნევითა და ვაჟკაცობით გამოირჩეოდა, რისთვისაც სარკინოზებმა მას გობრონი უწოდეს.

914 წელს სარკინოზებმა აბულ-კასიმის წინამძღოლობით მთელი სომხეთი მოაოხრეს, დაიპყრეს ქალაქი დვინი და ყველის ციხესაც შემოეწყვნენ გარს, რომელსაც ნეტარი გობრონი იცავდა თავის მხედრებთან ერთად. სარკინოზებმა ვერაგულად დაარღვიეს საზავო პირობა და ციხე-სიმაგრეში შეიჭრნენ, სადაც მისი მხნე დამცველნი დაატყვევეს გობრონის მეთაურობით.

ქართლის მეფემ ადარნასე მეორემ მრავალი ტყვე გამოისყიდა, მაგრამ გობრონის დაბრუნებაზე არაბებმა უარი განაცხადეს. ამირას წინაშე მიყვანილმა წმინდანმა მხნედ აღიარა რწმენა ქრისტესი და მტკიცე უარი განუცხადა სარკინოზთა მთავარს, რომელიც დიდი გასამრჯელოსა და დიდება-პატივის დაპირებით ცდილობდა თავის რჯულზე მიექცია ქრისტეს აღმსარებელი. მაშინ ამირამ წმინდა გობრონის დასაშინებლად ბრძანა მის თვალწინ გაეჟლიტათ მისი 133 მხედარი. ბოლოს ამირას ბრძანებით წმინდა გობრონს თავი მოჰკვეთეს და 133 მოწამე მხედრის სხეულთან ერთად ერთ დიდ ორმოში ჩააგდეს.მოწამეთა საერთო საფლავთან მრავალი სნეული იღებდა სასწაულებრივ კურნებას.ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანთა ხსენების დღედ მათი მოწამებრივი აღსასრულის დღე 30 ნოემბერი (ახ.სტ.) დააწესა.

ღირსი მამა ლაზარე, ხატთმწერალი კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა. იგი ხუცესი იყო და მკაცრ მოსაგრე ცხოვრებას ეწეოდა, რომელშიც მარხვასა და ლოცვის გარდა მის მთავარ საქმიანობას წმინდა ხატების შექმნა შეადგენდა. წმინდანი გარდაიცვალა დაახლოებით 857 წელს. მისი ნეშტი კონსტანტინოპოლში წმინდა ევადრეს სახელობის ეკლესიაში დაკრძალეს.

### დაიბადნენ:

1667 — ჯონათან სვიფტი, ინგლისელი მწერალი. გარდაიცვალა 1745 წელს.

1813 — შარლ ალკანი, ფრანგი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1883 წელს.

1817 — თეოდორ მომზენი, გერმანელი ისტორიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 1903 წელს.

1835 — მარკ ტვენი (სემუელ კლემენზი), ამერიკელი მწერალი, გარდაიცვალა 1910 წელს.

1869 — ნილს გუსტავ დალენი, შვედი ინჟინერ-გამომგონებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 1937 წელს.

1874 — უინსტონ ჩერჩილი, დიდი ბრიტანეთის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 1965 წელს.

1879 — გრიგოლ გიორგაძე, ქართველი ისტორიკოსი, პუბლიცისტი, იურისტი. გარდაიცვალა 1937 წელს.

1882 — ნინო დავითაშვილი, ქართველი მსახიობი, გარდაიცვალა 1958 წელს.

1886 — გიორგი ნიორაძე, ქართველი არქეოლოგი, ქართული არქეოლოგიის ფუძემდებელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გარდაიცვალა 1951 წელს.

1894 — მარიამ ლეონიძე, პედაგოგი, თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი სტენოგრაფი, ქართული სტენოგრაფიის ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1972 წელს.

1908 — ელენე ნაკაშიძე, ქართველი ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, გარდაიცვალა 1968 წელს.

1929 — გურამ გურგენიძე, ექიმი-თერაპევტი, ალერგოლოგი, პროფესორი.

### გარდაიცვალნენ:

1884 — რომანოზ გველესიანი, ქართველი ფერმწერი და გრაფიკოსი.

1900 — ოსკარ უაილდი, ცნობილი ინგლისელი მწერალი.

1901 — ედვარდ ჯონ ეირი, ავსტრალიის ინგლისელი მკვლევარი.

1925 — სოფრომ მგალობლიშვილი, ქართველი მწერალი-ხალხოსანი.

1957 — ბენიამინო ჯილი, გამოჩენილი იტალიელი ტენორი.

1972 — კონსტანტინე მეღვინეთუხუცესი, ქართველი კომპოზიტორი.

1978 — ალექსანდრე მუსხელიშვილი, საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო ცენტრის დაარსების ინიციატორი.

1987 — ჯეიმს არტურ ბოლდუინი, ამერიკელი მწერალი.

### მოვლენები:

1699 — რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტში პირველად აღმართეს ანდრია პირველწოდებულის ალამი.

1700 — გაიმართა ნარვას ბრძოლა. შვედების არმიამ დაამარცხა რუსთა ჯარი.

1840 — ნაპოლეონ I-ის ნეშტი წმინდა ელენეს კუნძულიდან პარიზში გადაასვენეს.

1853 — რუსული ფლოტის გამარჯვება თურქებზე სინოპის მახლობლად.

1872 — პირველი საერთაშორისო საფეხბურთო მატჩი შოტლანდიასა და ინგლისს შორის დამთავრდა ანგარიშით 0:0.

1939 — დაიწყო ფინეთ-საბჭოთა კავშირის ომი.

1967 — იემენმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

1968 — საერთაშორისო საავიაციო ფედერაციამ დააწესა იური გაგარინის სახელობის ოქროს მედალი.

1968 — ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ არმში მოხდა სასტიკი სისხლიანი შეტაკება კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის.

1976 — ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა კანონი შოტლანდიისა და უელსისათვის ნაწილობრივი ავტონომიური უფლებების მინიჭების შესახებ.

1986 — ივან ლენდლი პირველი ჩოგბურთელი გახდა, რომელმაც კარიერის მანძილზე 10 მილიონ დოლარზე მეტი გამოიმუშავა.

1993 — ბორის ელცინმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც რუსეთის სახელმწიფო გერბი ორთავიანი არწივი გახდა.

2000 — იაპონიის პარლამენტმა მიიღო კანონი ადამიანის კლონირების აკრძალვის შესახებ.

**მედიანიუსი**

# იყო მსახიობი, ნიშნავს, იყო დიდი ეგოისტი

**თავის ერთ-ერთ ბოლო ნამუშევარში, მილოშ ფორმანისა და ჟოლ ზენცის ფილმში „გოიას აჩრდილები", მსახიობმა ნატალი პორტმანმა ახალგაზრდა არისტოკრატის, დიდი ესპანელი მხატვრის, ფრანსისკო გოიას ინეს ბილბატუასა და მისი მოზარდი შვილის, ალისიას როლები ითამაშა.**



ჰოლივუდში ნატალი პორტმანი „ჭკვიან გოგოდ" ითვლება, ჰარვარდის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, ექვს ენას ფლობს, თუმცა, ამ ფილმამდე ესპანური ინკვიზიციის პერიოდზე, რომელშიც მისი პერსონაჟი ცხოვრობდა, მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

***— გვარი პორტმანი ბებიისაგან გერგოთ მემკვიდრეობით?***

— დიახ, პორტმანი დედაჩემის დედის ქალიშვილობის გვარია, იგი რუსეთიდან ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც შემდეგ ავსტრიელს გაჰყვა ცოლად. არ მინდოდა, რომ ჩემი საქმიანობის თანმდევ მოვლენებს ჩემი ექიმი მამის კარიერაზე მოეხდინა ზეგავლენა.

***— ჟურნალისტების მიერ გავრცელებულ ყოველნაირ ჭორებს გულისხმობთ?***

— როდესაც შევიტყვე, რომ თურმე მზად ვარ, დაუფიქრებლად მივიდე ბრედ პიტთან პაემანზე, თუ დამიძახებდა, გამეცინა. მაგრამ კარიბებზე წელსზემოთ შიშვლად ჩემი ფოტოსურათების გამოქვეყნების შემდეგ სიცილისათვის აღარ მცხელოდა. მამას ერთმა მისმა კოლეგამ დაურეკა და უთხრა: „მე თქვენი ქალიშვილი ვნახე..."

***— არ ნანობთ, რომ ჰოლივუდში გადაღებების ნაცვლად ოთხი წელი ჰარვარდში სწავლას მოანდომეთ?***

— ჩემს მშობლებს ძალიან აღელვებდათ ის, რომ მე არასაიმედო და ამორალურ ინდუსტრიაში აღმოვჩნდი. ამიტომ თავიდანვე წამოაყენეს მოთხოვნა, კინოში მხოლოდ არდადეგების დროს გადამიღებდნენ. შემდეგ — უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ.

***— კინობიზნესზე ასეთი ცუდი აზრი რატომ აქვთ?***

— „ლეონში" მატილდას როლის შესრულების შემდეგ პედოფილებმა წერილებით ამავსეს. ლამის თითოეული პედოფილის ოცნებად ვიქეცი...

***— ახლა თუ გიყვართ ჰოლივუდში ყოფნა?***

— რაიმე ღონისძიებაში მონაწილეობა თუ მიხდება, აუცილებლად სკოლის რომელიმე მეგობარი მიმყავს თან, ჩემთვის ისინი ლაკმუსის ქაღალდივით არიან, „ამან ხელი არ ჩამომართვა, არც კი შემოუხედავს ჩემთვის, ის კარგი ადამიანი ჩანს, ეს არა". მაშინვე ცხადი ხდება, თუ ვინ როგორია. მე ყველა გაღიმებული მხვდება.

***— ჰარვარდის აუდიტორიებიდან მთავარი რა გამოიტანეთ?***

— სწავლის უნარი. ასე, მაგალითად, „გოიას აჩრდილებში" ჩემი პერსონაჟი ავადაა. ჩემს ყოფილ პროფესორს, ფსიქოლოგს დავურეკე, მან გარდა იმისა, რომ ამ დაავადების სიმპტომები ამიხსნა, ვიდეოფილმიც გამომიგზავნა.

***— ერთდროულად ორი როლის შესრულება ძნელი იყო?***

— სინამდვილეში ამ ფილმში სამ როლს ვთამაშობ. ახალგაზრდა ინესს, მასვე სიბერეში, ინკვიზიციის ციხეში 15-წლიანი წამებისა და პატიმრობის შემდეგ, აგრეთვე მის მეძავ შვილს, რომელიც ციხეში ინკვიზიტორ ლორენცოსაგან შეეძინა.

***— როგორ მიიღეთ ეს როლები?***

— მილოშ ფორმანმა ჩემი ფოტო „ვოგის" გარეკანზე ნახა და მიიჩნია, რომ მე გოიას „ბორდოელ მერძევეს" ვგავდი. ფორმანს „ვარსკვლავური ომები" ნანახი არ აქვს, ასე რომ, ნაცნობებს ჩემ შესახებ ჰკითხა და შეიტყო, რომ მანამდე ფილმში „სიახლოვე" ვიყავი გადაღებული. ფილმი ნახა, მასთან და ფილმის თანაავტორ ჟან-კლოდ კარიერთან პარიზში შეხვედრა მთხოვა, მითხრა, რომ გოიას თანამედროვე რომ ვყოფილიყავი, შეიძლება მისი მუზა გავმხდარიყავი.

***— ამ ფილმის გადაღებაზე ფიქრი ფორმანმა და პროდიუსერმა ზენცმა 20 წლის წინ დაიწყეს. გადაღებები რამდენ ხანს გაგრძელდა?***

— ოთხ თვეს, თუმცა, ბევრი თავისუფალი დრო მქონდა. მადრიდის ყველა მუზეუმში ვიყავი. ალბათ ოცჯერ მაინც, გარდა ამისა, ძველ ფილმებს ვუყურებდი. მიყვარს ძველი ფილმების ცქერა.

***— ესპანეთმა ყველაზე მეტად რით გაგაკვირვათ?***

— მოხდა ისე, რომ სწორედ ესპანეთში მკითხეს პირველად, კოკაინის მოწევა ხომ არ მინდოდა. ღმერთო, როგორ შემეშინდა, კიდევ კარგი, მარტო არ ვიყავი.

***— ვისთან ერთად იყავით?***

— მამასთან ერთად. გადაღებებზე მშობლები დღემდე დამყვებიან. ერთხელ გადამღები ჯგუფის წევრებთან ერთად ღამის კლუბში წავედი, სადაც კარგ მუსიკას ასრულებდნენ. დილის ხუთ საათამდე ვცეკვავდით. მთელი ღამის განმავლობაში პირველად ვმხიარულობდი, შემდეგ კი თავს დამნაშავედ ვგრძნობდი.

***— ნამდვილი იდეალი ხართ, არ სვამთ, არ ეწევით...***

— ჩემი სისუსტე ხელჩანთებია. მაგრამ არა ტყავის. მე ვეგეტარიანელი და ცხოველთა უფლებების დამცველი ვარ. ტყავისას არც ფეხსაცმელს ვიცვამ.

***— მართალია, რომ მამაკაცებს ჭკვიანი ქალები არ უყვართ?***

— მე ვფიქრობ, რომ ჭკვიან ქალებს ჭკვიანი მამაკაცები უფრო მეტად უყვართ, ვიდრე ჭკვიან მამაკაცებს — ჭკვიანი ქალები. მახსოვს, ბევრი სტუდენტი ამბობდა, „ჰარვარდიდან გოგოს ცოლად არ მოვიყვან, საჭმელს არ გააკეთებსო".

***— თქვენი აზრით, სამეცნიერო კარიერა მსაიხობის კარიერისაგან რით განსხვავდება?***

— კინობიზნესი სამედიცინო ინსტიტუტი არ არის, სადაც დიდხანს სწავლობთ და გარკვეული შესაძლებლობებისა და სიბეჯითის წყალობით აუცილებლად გახდებით ექიმი. შეგიძლიათ ძალიან ნიჭიერი იყოთ,

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. საჯაყი; 2. „ლეგო"; 3. გალომანია; 4. საბრი; 5. მანტისა; 8. დენევი; 9. პოლიფონია; 12. ჩუვაჩი; 14. როტორი; 16. ესაძე.

**თარაზულად:** 1. სერვოლანი; 6. „მარაკანა"; 7. ჯანდაგი; 9. პილონი; 10. კილი; 11. ბეითალი; 13. პორტა; 15. ბურიმე; 17. ბანდიტი; 18. ქაფშია; 19. „ავერსი"; 20. ბეთანია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. „იკარუსი"; 3. სტატისტი; 4. „იუვენტუსი"; 5. პალმა; 6. ალმასი; 8. მაიორი; 11. შპალერი; 14. ორნიტოლოგია; 15. ვაშგერდი; 16. კალანდაძე; 17. რობაია; 18. ლატავრა; 20. დინგო; 21. პოემა.

**თარაზულად:** 1. ჰიუსტონი; 5. „პუმა"; 7. შამანი; 9. ბარათაშვილი; 10. მუშაითი; 12. ესკადრა; 13. ქლუხორი; 16. კარერასი; 17. რახი; 18. „ალილო"; 20. პოტომაკი; 22. პირეი; 23. გამბიტი; 24. ასკერი; 25. განგი.

## სკანვორდი



1. სასროლეთი; 2. ქართველი მწერალი; 3. კურორტი თურქეთში; 4. ბერძნული ანბანის ასო; 5. რწმენა, თვალსაზრისი; 6. ქალბატონი (ფრანგულად); 7. ვისიმე მონათხრობი; 8. თევზის ძვალი; 9. ... პაჩინო; 10. ამერიკის კოსმოსური სააგენტო; 11. ქალაქი იტალიაში; 12. მამის და; 13. მაგნიტი; 14. პატივმოყვარეობა; 15. მდინარე გერმანიაში; 16. ნაბიჯით ...; 17. ქრისტეფორე ...; 18. რასაც ჩვენ ზემოთ ვხედავთ; 19. სახოტბო ლექსი; 20. სოფელი კასპის რაიონში; 21. სამაგიდო თამაში; 22. ... მერფი; 23. პიკი ესპანეთში; 24. ... ესაკია; 25. ვულკანი სიცილიაზე; 26. იტალიური ღვეზელი; 27. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 28. დოლარის მეასედი; 29. ... ნორისი; 30. შხამიანი გველი; 31. ძველებური მსუბუქი ხომალდი; 32. ესპერანტოს ვარიანტი; 33. ერთგვარი თოფი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

# თავი დღემდე „ბითლზში“ მგონია

ბრიტანელმა მუსიკოსმა და კომპოზიტორმა, ანსამბლ „ბითლზის“ ყოფილმა სოლისტმა პოლ მაკარტნიმ განაცხდა, რომ საკონცერტო გამოსვლები მისთვის „ბითლზის“ სხვა მუსიკოსებთან და განსვენებულ მეუღლე ლინდასთან შეხვედრის შესაძლებლობას წარმოადგენს.

მაკარტნი ამჟამად ლონდონში თავისი ახალი „ცოცხალი“ ალბომის პრეზენტაციით არის დაკავებული, რომელიც აუდიო და ვიდეოფორმატით გამოდის. მუსიკოსი აღიარებს, რომ ხანდახან სცენაზე ემოციებს ვერ ერევა.

— „ბითლზის“ სიმღერებს რომ ვასრულებ, რა თქმა უნდა, მახსენდება ის, თუ როგორ ვიწერდით მათ, ამბობს პოლ მაკარტნი, — სიმღერას „ჰია თუდეი“ რომ ვასრულებ, რომელიც ჯონის ხსოვნის ნიშნად დავწერე, ემოციებს ვერ ვერევი.

პატარა, თითქმის პრივატული პრესკონფერენციის დროს პოლ მაკარტნიმ განაცხადა, რომ დანარჩენი სიმღერები მას ჯონ ლენონს, ჯორჯ ჰარისონსა და ლინდა მაკარტნის აგონებენ.

— რაიმე „სამთინგის“ მსგავსს რომ ვმღერი, რა თქმა უნდა, ჯორჯი მახსენდება, იმას, თუ როგორ უკრავდა იგი უკელეზე... ეს შესანიშნავი გრძნობაა, თითქოს ისევ ერთად ვართ, — ამბობს პოლ მაკარტნი, — იგივეა ჯონისა და ლინდას შემთხვევაში. თითქოს კვლავ ერთად ვართ, ეს ერთდროულად სამწუხაროც არის



და გულისამაჩუყებელიც.

პოლ მაკარტნი ამბობს, რომ საკონცერტო დივიდიზე „საღამო მშვიდობისა, ნიუ იორკ“ ჩანს, თუ როგორ სძლევენ მას ემოციები ლენონისადმი მიძღვნილი სიმღერის შესრულების დროს.

— ამ ვიდეოვერსიაში ჩანს, რომ მე მის მიმართ სიყვარულზე ვსაუბრობ, აი, ასე, ყველას თვალწინ, თან ვფიქრობ, ღმერთო, რას ვაკეთებ. თვრამეტი წლის ასაკში საკუთარ თავის ამის უფლებას, ცრემლის ან რაიმე მსგავსის უფლებას არ მივცემდი. ახლა კი შეიძლება, უკვე მივეჩვიე.

შეკითხვის პასუხად, გრძნობს თუ არა სცენაზე „ბითლზის“ სულისკვეთებას. პოლ მაკარტნიმ ასე უპასუხა:

— დიახ, თავი დღემდე „ბითლზში“ მგონია და ამ გრძნობის დაკარგვა არ მინდა. ერთი პერიოდი ჯგუფ „უინგზთან“ ერთად სპეციალურად არ ვმღეროდი, „ბითლზის“ სიმღერებს, რადგან რაღაც სხვისი შექმნა მინდოდა. მაგრამ „უინგზის“ პერიოდი დასრულდა, ეს ეტაპი განვვლე და ვიფიქრე, რომ კარგი იქნებოდა და ვიცი, რომ მაყურებელს „ბითლზის“ მოსმენა სურდა. ასე რომ, „ბითლზის“ სიმღერების შესრულება დავიწყე და ამას დიდი სიამოვნებით ვაკეთებ.

მიმდინარე წლის დეკემბერში პოლ მაკარტნი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პირველი საკონცერტო ტურნესათვის ემზადება.

მისი გასტროლები ჰამბურგში 2 დეკემბრისათვის დანიშნული კონცერტით იწყება. „ბითლზის“ წევრებმა თავიანთი ოსტატობის დახვეწა სწორედ აქ დაიწყეს, 1960-62 წლებში, ჰამბურგის კლუბებში გამოსვლით.

საკონცერტო ტურნე 22 დეკემბერს ლონდონში „ოუთუს“ არენაზე დასრულდება.

# ბრიტანეთის დედოფალმა მოდების სამყარო გააოცა

მოდების სამყაროში ნამდვილი სენსაცია მოახდინა ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ, რომელიც ტრინიდად და ტობაგოში სახელმწიფო ვიზიტის დროს გამართულ მიღებაზე, ეგზოტიკური ფრინველებითა და მცენარეული ორნამენტით მოქარგული თეთრი მაქმანიანი კაბით გამოჩნდა.



ლონდონის გაზეთმა „დეილი ტელეგრაფმა“ დედოფლის სამოსს „სარისკო და მოულოდნელად თამამი“ უწოდა.

ელისაბედ II ტრინიდად და ტობაგოს კუნძულოვან სახელმწიფოს თანამეგობრობის სამიტის ფარგლებში ეწვია. ამ სამიტის მუშაობაში მონაწილეობენ იმ 53 ქვეყნის ლიდერები და მთავრობის წევრები, რომლებმაც დიდ ბრიტანეთთან მჭიდრო კავშირი შეინარჩუნეს.

ჟურნალისტების თქმით, სამიტზე თავმოყრილი ლიდერები გაოცებული დარჩნენ, როდესაც გასულ პარასკევს, საზეიმო ვახშმის დროს დარბაზში ელისაბედ II მონარქისათვის უჩვეულო სამოსში გამოწყობილი გამოცხადდა.

კაბის მარცხენა მხარეს პუანსეტიას ყვავილი იყო გამოსახული. ეს მცენარი კარიბის ზღვის სამხრეთ ნაწილში მდებარე სახელმწიფოს ეროვნულ ყვავილად ითვლება.

დედოფალმა საღამოსათვის გარდა ამისა, ალმასებითა და ლალით მოჭედილი ყელსაბამი შეარჩია. მონარქის გარეგნობის ნიუანსებში ჩახედული ადამიანები იმანაც გააკვირვა, რომ დედოფალს თავზე ალმასების საქორწინო გვირგვინი ედგა, რომელსაც იგი იშვიათ შემთხვევებში იკეთებს ხოლმე.

1947 წელს, ედინბურგის ჰერცოგთან ქორწინების დროს მას სწორედ ეს გვირგვინი ედგა.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, 83 წლის დედოფალს მოდისადმი ინტერესი არ დაუკარგავს და კვლავაც მოდის ერთ-ერთ გავლენიან კანონმდებლად რჩება.

ბრიტანეთის მონარქის ჩაცმულობაზე დიზაინერი ენჯელა კელი ზრუნავს. როგორც მოდის კრიტიკოსები აღნიშნავენ, ტრინიდად და ტობაგოს ვიზიტისათვის კოსტიუმის შექმნით მან ელისაბედ II-ისთვის თანამედროვე იმიჯს მიაგნო, რომელშიც კუნძულოვანი სამეფოს ეროვნული სიმბოლოები და ბუნება ჩართო.



# მიშელ ობამა ყველაზე კარგად იცვამს

აშშ-ის პრეზიდენტის, ბარაქ ობამას მეუღლე მიშელი გავლენიანმა ფრანგულმა ჟურნალმა „ელმა“ მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე ელეგანტურ ქალად მიიჩნია.

ჟურნალის ექსპერტების აზრით, აშშ-ის პირველ ლედის ყველაზე კარგად ჩაცმა შეძლებია.

მეორე ადგილზე ჟურნალმა საფრანგეთის პრეზიდენტის მეუღლე კარლა ბრუნი-სარკოზი დაასახელა.

მოდებისა და მაღალი საზოგადოების ქრონიკის წამყვანი ჟურნალები ამ ორი ქალბატონის გულის მოსანადირებლად ერთმანეთს ტოლს არ უდებენ. აშშ-ისა და საფრანგეთის პირველი ქალბატონები სხვადასხვა რეიტინგების სათავეში მონაცვლეობით ხვდებიან, მაგრამ როგორც ჩანს, „ელის“ მხარდაჭერის შემდეგ სასწორი ნელ-ნელა მიშელ ობამასაკენ იხრება.

„ელის“ რეიტინგის მესამე ადგილზე საფრანგეთის სპორტის მინისტრი რამა იადე გავიდა. მეოთხეზეა ესპანეთის პრინცესა ლეტიცია. პოლიტიკური ხუთეულის საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სეგოლენ რუაიალმა დააგვირგვინა.

გარდა „პოლიტიკური შიკისა“, „ელმა“ მსოფლიო რეიტინგები სხვა კატეგორიებშიც შეადგინა. ესპანელი მსახიობი პენელოპა კრუსი „წითელი ბილიკის“ ლიდერად გამოაცხადეს. რუსი მოდელი ნატალია ვოდიანოვა კი „დახვეწილი სტილის“ რეიტინგის პირველ ადგილზე მოხვდა.

# იყო მსახიობი, ნიშნავს, იყო დიდი ეგოისტი

დასაწყისი მე-10 გვერდზე

გულმოდგინედ დახვეწოთ თქვენი ოსტატობა, მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ, თუკი ჰოლივუდში სამუშაოს არ შემოგთავაზებენ.

— *საყვარელი ფილმები გაქვთ?*

— დიახ, „დიდი ლებოვსკი“, მისი ცქერა არ მწყინდება. და კიდევ „ბინძური ცეკვები“. ამ ფილმზე გავიზარდე. მაგრამ ჩემი სისუსტე წიგნებია, მადრიდში გადაღებებზე თან 30 წიგნი ჩავიტანე.

— *ახალი ამბები არ გაინტერესებთ?*

— დიახ. ყოველდღე ვამოწმებ ჩემს ფოსტას, „ნიუ იორკ თაიმსისა“ და „ჰაარეცის“ საიტზე ახალ ამბებს ვათვალიერებ. ტელევიზორი კი არ მიყვარს.

— *თქვენ ბავშვი ვარსკვლავი და თქვენს ოჯახში პირველი მსახიობი იყავით. ისურვებდით თუ არა, რომ თქვენმა შვილებმაც გააგრძელონ ეს საქმე?*

— იყო მსახიობი, ნიშნავს, იყო დიდი ეგოისტი. ამიტომ არ მინდა, რომ ჩემი შვილები გადასაღებ მოედანზე გაიზარდონ.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## 39 ნოემბერი — 6 დეკემბერი
## ამინდის პროგნოზი

**სოხუმი**
30.11 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 6-7
01.12 მზე, დღისით — 14-15, ღამით — 6-7
02.12 მზე, დღისით — 17-18, ღამით — 8-9
03.12 მზე, დღისით — 17-18, ღამით — 5-6
04.12 მზე, დღისით — 13-14, ღამით — 4-5
05.12 მზე, დღისით — 12-13, ღამით — 4-5
06.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 3-4

**ზუგდიდი**
30.11 წვიმა, დღისით — 12-13, ღამით — 8-9
01.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
02.12 მზე, დღისით — 18-19, ღამით — 9-10
03.12 მზე, დღისით — 17-18, ღამით — 6-7
04.12 მზე, დღისით — 15-16, ღამით — 6-7
05.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
06.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 5-6

**ბათუმი**
30.11 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 11-12
01.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 9-10
02.12 მზე, დღისით — 20-21, ღამით — 10-11
03.12 მზე, დღისით — 19-20, ღამით — 8-9
04.12 მზე, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
05.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
06.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 7-8

**ქუთაისი**
30.11 ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 8-9
01.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 7-8
02.12 მზე, დღისით — 17-18, ღამით — 7-8
03.12 მზე, დღისით — 15-16, ღამით — 5-6
04.12 მზე, დღისით — 14-15, ღამით — 6-7
05.12 მზე, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
06.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 14-15, ღამით — 5-6

**გორი**
30.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 3-4
01.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 1-2
02.12 მზე, დღისით — 11-12, ღამით — 0-1
03.12 ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — -2 -1
04.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — 0-1
05.12 მზე, დღისით — 9-10, ღამით — 1-2
06.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 0-1

**თბილისი**
30.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 5-6
01.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 2-3
02.12 მზე, დღისით — 7-8, ღამით — 1-2
03.12 ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — 1-2
04.12 მზე, დღისით — 7-8, ღამით — 2-3
05.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 0-1
06.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 3-4

**გურჯაანი**
30.11 ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 1-2
01.12 ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 0-1
02.12 მზე, დღისით — 8-9, ღამით — -3 -2
03.12 ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — -5 -4
04.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — -3 -2
05.12 მზე, დღისით — 7-8, ღამით — -2 -1
06.12 ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — -3 -2

**მანგლისი**
30.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 2-3
01.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 0-1
02.12 მზე, დღისით — 4-5, ღამით — -2 -1
03.12 თოვლი, წვიმა, დღისით — 1-2, ღამით — -1-0
04.12 ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — 1-2
05.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — -2 1-
06.12 ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — 0-1

**დმანისი**
30.11 ღრუბელი, დღისით — 3-4, ღამით — -9 -8
01.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 1-2, ღამით — -12 -11
02.12 მზე, დღისით — 2-3, ღამით — -13 -12
03.12 თოვლი, დღისით — -1-0, ღამით — -14 -13
04.12 მზე, ღრუბელი, დღისით — -1-0, ღამით — -13 -12
05.12 ღრუბელი, დღისით — 0-1, ღამით — -13 -12
06.12 ღრუბელი, დღისით — 0-1, ღამით — -13 -12

## სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე ლეილა ბაქრაძე, შვილები კახა, ირმა, სიძე თენგიზ მეფარიძე, რძალი ლალი ნანავა, შვილიშვილები ლევან, ნიკა ცხვედიანები, ნინო, ქეთი მეფარიძეები, დები ნანული, გულდამი და ღუღუნი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვაჟა ცხვედიანი**

პანაშვიდი: 30 ნოემბერს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 1 დეკემბერს, 14 საათზე.

მისამართი: ფალიაშვილის ქ.№2, II სადარბაზო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე,
კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა
## ორშაბათი 30 ნოემბერი

**07.00** ჩვენი დილა **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.30** სერ. **"ელიზას ქალიშვილი"** **13.30** დოკ. ფილმი "აფრიკა, ჯადოსნური კონტინენტი" **14.00** მეხსიერება – ნინო რამიშვილი **15.00** სერ. **"პირისპირ"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** დოკ. ფილმი "ლეონარდო და ვინჩი" **19.05** "მეხსიერება" – "კავკასიური ცარცის წრე" **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. **"ელიზას ქალიშვილი"** **22.00** თოქ-შოუ "არენა" **23.30** "ერთი ისტორია" - სპორტული არქივი **00.00** კიკბოქსინგი **01.30** ღამის ჩვენება მაყურებელთა შერჩევით:
ა) მხ. ფილმი **"დაკარგული სულები"** (15) (ვ. რაიდერი)
ბ) მხ. ფილმი **"სფერო"** (U) (დ. ჰოფმანი)

**19.00** ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** სერ. "ფილიპის ფილოსოფია" **20.10** მეხსიერება **21.05** სერ. **"პირისპირ"** **22.00** სერ. **"ელიზას ქალიშვილი"** **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.50** მხ. ფილმი **"დამიბრუნდი"** (U)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** **11.00** ვანოს შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.40** კურიერი **12.20** სერ. **"გზა დიდებისკენ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფროხილდი ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"გულის ძახილი"** **16.50** სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **19.50** სერ. **"ანხელის საიდუმლო"** **22.00** ჯეოსტარი **00.00** საფეხბურთო ღამე **01.30** პატრული **02.00** მხ. ფ. **"შუაღამის კოვბოი"** (18) (დ. ჰოფმანი)

**08.00** მულტფილმი "პატარა მოჩვენებები" **09.00** სერ. **"მარია ემილია"** **09.50** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.50** სერ. **"ტყუპები"** **11.50** სერ. **"სი-ეს-აი"** **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** **15.50** მხ. ფილმი **18.00** სერ. **"ტყუპები"** **19.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **20.00** ზღაპარიყო **20.15** სიცილი მზეზე **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **23.30** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.30** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ორმაგი თამაში"** **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.45** სპეცრეპორტაჟი ვ. სანაისთან ერთად **12.30** ჟურნალისტის დღიური **15.00** ღამის შოუ **16.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერ. **"სიყვარულის აჩრდილი"** **19.05** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **21.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **22.00** მხ. ფ. **"იღბლიანი სლევინი"** (15) (ჯ. ჰარტნეტი) **00.00** სერ. **"სანდრა პაოლის კლანი"** 1-ლი ს. **01.00** მხ. ფ. **"მტრის საწოლში"** (U) (ჯ. რობერტსი) **02.45** ქრონიკა **03.00** სერ. **"კლონი"**

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.55** მხ. ფილმი **"რობინზონ კრუზო"** **10.30, 19.30** სერ. **"სამოთხის კუთხეები"** **11.45, 21.00** სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** **12.45** მხ. ფ. **"ცოლების გაცვლა"** **14.50** "ფერისცვალება" **15.20** მხ. ფილმი **"ფერფლი"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **21.25** ტელევიქტორინა **23.00** პერსონა **23.30** მხ. ფილმი **"დაცემული ანგელოზები"** **01.05** მხ. ფ. **"თეთრი მტრედი"**

ერთსულოვნება **09.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.10** სატ. არქივიდან **10.55** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.10** მხ. ფილმი **"ამაღლება"** **13.30** კონცერტი **15.05** საეკლესიო კალენდარი **15.10** მულტ-სერ. "კეროტის თავგადასავალი" **15.35** მხ. ფილმი **"ჭირვეული მეზობლები"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** გაცოცხლებული წარსული **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** სატ. არქივიდან **19.15** მხ. ფილმი **"ჩვენი ეზო"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** დედა ეკლესია **22.00, 00.00** სიახლენი **22.20** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 30 ნოემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**


აშშ დოლარი — 1,6825


ევრო —2,4035


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536


რუსული რუბლი — 0,0533

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 11-14, ღამით — 2-6

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7-12, ღამით — 7-12

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 3-4, ღამით — -8 -7

## ამინდის პროგნოზი 30 ნოემბრისთვის







ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

### უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


## რატომ შეინარჩუნა პოსტი რევაზ არველაძემ

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი წევრმა, საპატრულო პოლიციის უფროსმა, გიორგი გეგეჭკორმა, გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები ნარკოტიკების მოხმარება-შენახვაში იყვნენ მხილებული. ეს ფეხბურთელები რატი ალექსიძე და ლევან ცქიტიშვილი აღმოჩნდნენ. ორივე მათგანს 500-ლარიანი ჯარიმები აქვთ გადახდილი სხვადასხვა დროს.**



ალექსიძეს ნარკოტიკებთან დაკავშირებით მართლაც ჰქონდა პრობლემები, ერთი პერიოდი ამის გამო ფეხბურთის თამაშსაც შეეშვა, მაგრამ შემდეგ მოახერხა ამ მავნე ქმედებისგან თავის დაღწევა და იმდენი შეძლო, რომ საქართველოს ნაკრებშიც დაიბრუნა თავი. თუმცა, როგორც ჩანს, ძველი საქმეები ამოუჩხრიკეს. რაც შეეხება ცქიტიშვილს, მის შესახებაც დადიოდა ხმები, თუმცა, რაღა ხმები, გეგეჭკორმა ფაქტები დადო. სამწუხაროდ, ცქიტიშვილთან დაკავშირება და მისგან კომენტარის გაკეთება ამ თემაზე ვერ მოვახერხეთ, ალექსიძე კი საქართველოში არ არის და წარმატებით თამაშობს უნგრულ „დიორ ეტოში".

გეგეჭკორმა ნარკოტიკების მოხმარებაში კიდევ 2 ადამიანი ამხილა — პროფესიული ფეხბურთის ლიგის (პფლ) პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი გელა ინალიშვილი. ინალიშვილმა აღიარა და აღნიშნა, რომ ამის გამო სასჯელიც მოიხადა, ხოლო რამიშვილი ყველაფერს პოლიტიკურ სარჩულს აკერებს. მისგან ასეთი განცხადება გასაკვირიც არ არის, რადგან ბოლო დროს რამიშვილსა და ფედერაციის ახალ პრეზიდენტს შორის შავმა კატამ გაირბინა — სიჭინავას არ მოსწონს პფლ-ის საქმიანობა და ამასთან, რამიშვილი ახალარჩეულ აღმასკომშიც ვერ

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი 30 ნოემბრისთვის

### წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, ყველაფერი კარგად იქნება. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **სასწორი** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარი აზრი დააფიქსირეთ. **ღრიანკალი** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მშვენიერი დღეა, თქვენი საქმე კარგად არის. **მერწყული** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეებს!



## გურამ ფირცხალავას საკუთარი ფილმი არ უნახავს

ეკა ირემაშვილი

თბილისის კინოთეატრებში კიდევ ერთი ქართული ფილმი, რეჟისორ ლევან თუთბერიძის „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა" გამოვიდა, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს მსახიობი გურამ ფირცხალავა ასრულებს.

სურათი რეჟისორმა ლევან თუთბერიძემ ზუსტად 20 წლის წინ ერთ თვეში გადაიღო, თუმცა 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა რეჟისორსაც და მსახიობებსაც ამ ფილმის არსებობა მიავიწყა და უკანა პლანზე გადაატანინა.

სცენარი ფილმისთვის „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა" აკაკი გაწერელიას მოთხრობის მიხედვით დაიწერა, რომელიც ისტორიულ ფაქტებზეა შექმნილი. ეს სურათი კი ლევან თუთბერიძის სადიპლომო ნამუშევარი იყო. ფილმში ქუთაისის მიტროპოლიტ ნაზარი ყვანიასა და წითელი კომისრის დაპირისპირებაა წარმოდგენილი. მიტროპოლიტი მართლმადიდებელი ეკლესიის დასაცავად იბრძვის და საბჭოურ წყობას გმობს. ფილმში მთავარ როლებს გურამ ფირცხალავა და რამაზ ჩხიკვაძე ასრულებენ. ფილმი ყველანაირი კანონიკის დაცვით არის გადაღებული. ისტორიულ-ფსიქოლოგიური დრამა თბილისელმა მაყურებელმა დიდი ინტერესით მიიღო.

როგორც ფილმში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა, მსახიობმა გურამ ფირცხალავამ გვითხრა, ფილმი, რომელიც რეჟისორმა 20 წლის წინ გადაიღო და მხოლოდ ახლა გახდა საზოგადოებისთვის მისი ჩვენება შესაძლებელი, თვითონ არ უნახავს:

— ძალიან კარგად მახსოვს ამ ფილმის გადაღებები. მართალია, მაშინაც აქტუალური იყო ჩვენი რელიგიის, მართლმადიდებლობისა და ეკლესიის საკითხი, მაგრამ ახლა ბევრად უფრო დროულია ეს ფილმი, ვიდრე მაშინ. ლევან თუთბერიძის ფილმში მარადიული თემაა, რომელიც სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლას შეეხება. ამ საკითხის აქტუალობა დღევანდელ თაობებს ძალიან სჭირდებათ. ზუსტად მოაჯდა ახლანდელ პერიოდს. ადრეც საინტერესო იყო ეს სურათი, მაგრამ მერე აირია-დაირია ქვეყანა და ფილმისთვის ვიღას ეცალა. სხვათა შორის, ახლაც დროულია.

*— კიდევ გახსოვდათ ეს ფილმი?*

— კი, ნამდვილად მახსოვდა, იმიტომ რომ საინტერესო ფილმი იყო.

გაგრძელება მე-8 გვერდზე



## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ზღვის წვრილი თევზი; 4. სახელმწიფო ევროპაში; 8. ეტლი, რომლის ხელნებშიც ადამიანია შებმული; 9. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 10. ... ზურაბიშვილი (ქართველი ფსიქიატრი); 12. კუნთების ანთება; 14. ხვიარა ბალახოვანი მცენარე; 15. წინასწარ დასახული გზა; 16. თხელი მსუბუქი ნამცხვარი; 18. ნათესების მავნებელი მწერი; 21. ქალაქის მუნიციპალიტეტი; 22. ტაეპები, რომლებიც გარკვეული წესით მეორდება ლექსში; 23. კარაქწასმული პურის თხელი ნაჭერი.

**შვეულად:** 1. სარტყელი; 2. სამკითხაო ქვიშა; 3. ქართული ფული; 5. „მდოგვის გაზი"; 6. ბატკანი ანუ...; 7. დებულება, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს; 11. კორპუსზე წვრილი სასტამბო შრიფტი; 13. თამაში ბურთებითა და ჯოხებით; 14. მაგიდაზე გადასაფარებელი ქსოვილი; 15. გამომწვარი და შეღებილი თიხის ფილა; 16. დიდი ღამურა; 17. საკანი; 19. კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღოლი; 20. სიმინდის ყვავილედი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

## იუმორი



* * *

— ბაზრის ხელი არცთუ ისე შეუმჩნეველია, ყოველ შემთხვევაში, შუა თითი გარკვევით ჩანს...

* * *

— ეკონომიკური ვითარება იმდენად მძიმეა, რომ ქალები მხოლოდ სიყვარულით თხოვდებიან...

* * *

— თუ ვინმემ გითხრა, რომ გამოთაყვანდი, ნუ აღელდები, უბრალოდ, გეუბნებიან, რომ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გახდი...

* * *

— რომ არა ბოლო დღე, ყველა საქმე დაუსრულებელი დარჩებოდა...

* * *

— ოოო, რამდენი ხანია, არ მინახიხარ, აბა, ერთი მითხარი, როგორ ხარ, სად ხარ, ვინ ხარ, რა ხარ...

* * *

— სილამაზის სალონში ზომიერების გრძნობადაკარგულ ქალზე საშინელი არაფერია...

* * *

— იდეალური მამაკაცი არის ის, ვისაც შენი ცოლი შენზე გათხოვებამდე იცნობდა...

* * *

— რატომაა, რომ სარკე მარჯვენას და მარცხენას ატრიალებს, ზედას და ქვედას კი არა?

— შენ, რა, ზედა და ქვედა თვალიც გაქვს?

* * *

ახალგაზრდა ცოლ-ქმარს დიდხანს არ ჰყავდა შვილი. ვიღაცამ რომში წასვლა და წმინდა პეტრეს ტაძარში სანთლის დანთება ურჩია. რამდენიმე წლის შემდეგ ის კეთილისმსურველი შემთხვევით მათთან ოჯახში მოხვდა. კარი რომ გაუღეს, წინ ერთიმეორეზე პატარა ბავშვები შემოეგებნენ.

— დედიკო სად არის?

— სამშობიაროში.

— მამიკო?

— რომში წავიდა, რაღაც სანთელი უნდა ჩააქროოო...

გ.თ.

## გამაღიზიანებელი წვრილმანები

ტესტი



**ტესტის შეკითხვებს უნდა გასცეთ პასუხები. დიახ (1 , არა (9 , ხანდახან (9.5 .**

1. ვღიზიანდები, როდესაც ტელეფონზე ვრეკავ, ნომერი კი სულ დაკავებულია.
2. ვბრაზდები, როდესაც მანქანის მართვის დროს ვიღაც სულ რაღაცას მირჩევს.
3. მაღიზიანებს, როდესაც ვამჩნევ, რომ თვალს მადევნებენ.
4. ვღიზიანდები, როდესაც ფიქრს მაწყვეტინებენ.
5. ვღიზიანდები, როდესაც ვინმეს ვესაუბრები, მესამე კი საუბარში ერევა.
6. ვღიზიანდები, როდესაც ვინმეს ხელს ვართმევ და საპასუხო ხელის მოჭერას ვერ ვგრძნობ.
7. ცუდად ვხდები, როდესაც ერთმანეთთან შეუსაბამო ფერების კომბინაციას ვხედავ.
8. მაღიზიანებს იმ ადამიანთან საუბარი, ვინც ყველაფერი ჩემზე უკეთ იცის.

### პასუხები

**6-8 ქულა:** მცირე უსიამოვნებები თქვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. შესაძლოა იმიტომ, რომ ცდილობთ ბოლომდე გააკონტროლოთ სიტუაცია და არ შეგიძლიათ შეურიგდეთ იმას, რომ რაღაც ისე არ მიდის, როგორც დაგეგმეთ.

**3-5 ქულა:** წვრილმანები ხშირად გაღიზიანებთ, მაგრამ არც ისე, რომ სიცოცხლე აღარ გიხაროდეთ, იქნებ სჯობდეს ნაკლებად დაფიქსირდეთ ამ წვრილმანებზე, რათა უფრო მნიშვნელოვანი დეტალები არ გამოგრჩეთ.

**0-2 ქულა:** უსიამოვნო წვრილმანი შეიძლება დიდი უსიამოვნების სიმპტომად იქცეს. თუ ახერხებთ, ვერ შეამჩნიოთ ბუზი, მაგრამ ამჩნევთ ბანანის ქერქს ფეხქვეშ, ყურადღებას ოპტიმალურად ანაწილებთ.

გ.თ.